№ 100 / 1 -7 დეკემბერი / 2011 ფასი 2 ლარი

დიბეხალი

მთავარი თემა

დასაქმება - საქართველოს გადაუჭრელი პრობლემა

საიუბილეო გამოცემა

ფრაგმენტი კონდოლიზა რაისის წიგნიდან

საქართველოში ომი იწყება

კომენტარი

სტუმრობა ოლიგარქთან

ბიზნესი

ვინ აპონტროლებს ქართულ ნიადაგსეულს

ISSN 1987-7528
9 771987 752008

www.ucnobifm.ge

ლიბერალი

№ 100 / 1 -7 დეკემბერი / 2011

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები
სოფო ბუკია
მაგდა მემანიშვილი

ჟურნალისტური გამოძიება
ნინო ზურიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნანა საჯაია

ჟურნალისტები:
მაია წიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ ფარადაშვილი, ცირა გვასალია, მალხაზ ჭკადუა, ზურა ვარდიაშვილი, ანიტა თვაური, ანი ჭანკოტაძე, ლიკა ზაკაშვილი, თათია ხალიანი, სალომე ცეცხლაძე

კონტრიბუცია:
გიორგი ცხადაია, მარკ მალენი, მანანა ვარდიაშვილი, გიორგი მგელაძე, ინალ ხაშიგი, დიანა ჩაჩუა, თიკო ცომაია, კახა თოლორდავა

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია
კორექტორი თამარ ღონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი

კლიენტთა მომსახურების და დისტრიბუციის მენეჯერი
ნათია რუსაძე

გაყიდვების მენეჯერები:
ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი, ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი, მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ ზანდარაშვილი, თინა ოსეფაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ გედენიძე

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: 2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი, 08:00 -16:00 სთ.

www.liberali.ge

რედაქტორისგან

„პირველად გამოიცა 1843 წელს იმისათვის, რომ მონაწილეობა მიეღო უმწვავეს დაპირისპირებაში გონიერებას – რასაც წინ მივყავართ, და უღირსს უგუნურებას შორის, რაც აფერხებს პროგრესს“. ეს ციტატა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჟურნალის, „ეკონომისტის“ ყველა ნომერში შეგხვდებათ, პირველივე გვერდებზე.

ამ რედაქტორის სვეტს ვაშინგტონში ვწერ, კარნეგის ცენტრში, რომელიც, როგორც საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, თავისი არსებობის მე-100 წელს აღნიშნავს. ეს ცენტრი უკვე საუკუნეა ამერიკის ადმინისტრაციას მიუკერძოებელ, ექსპერტულ და ხშირად ხისტ რეკომენდაციებს აწვდის. თუმცა, ამ რეკომენდაციების შედეგად, ამერიკის სახელმწიფო პოლიტიკა უფრო რეალისტურია.

რამდენიმე წლის წინ ვიყავი ჩემი საყვარელი ჟურნალის, „ნიუიორკერის“ ფესტივალზე, რომელმაც თავისი 85-წლიანი არქივის ციფრული ვერსია გამოსცა. უნიკალური ესეისტიკის, სიღრმისეული რეპორტაჟებისა და ლიტერატურული გემოვნების წყალობით, „ნიუიორკერი“ უკვე ამერიკის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

თქვენს წინაშეა ჟურნალ „ლიბერალის“ მე-100 ნომერი და ძალიან მინდა, „ლიბერალმაც“ აღნიშნოს თავისი 100 წლის იუბილე, უკვე 22-ე საუკუნეში, მაშინ, როცა აღარავის ემახსოვრება ვინ იყო მისი გამომცემელი ან პირველი რედაქტორი. ამბიციური განაცხადია და შესაძლოა, გაგეღიმოთ კიდეც, მაგრამ სწორედ ეს მისია გვაქვს – რომ „ლიბერალი“ გახდეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი, რომელიც ინახავს ისტორიას და გამოცდილებას, მაშინ როცა შეიცვლებიან მთავრობები, თაობები და რეალობები; მოახერხებს „მონაწილეობა მიიღოს უმწვავეს დაპირისპირებაში გონიერებასა და უგუნურებას შორის“; მოახერხებს იყოს მოვლენების მიუკერძოებელი მკვლევარი და ხისტი „მრჩეველი“ და რაც მთავარია, ადამიანების და არა ძალაუფლების ინსტიტუციების ერთგული.

ამისათვის ბევრი შრომაა საჭირო, კვირიდან კვირამდე, თუმცა მიზანი ამად ღირს.

დიდი მადლობა ჩვენს ერთგულ მკითხველებს, კრიტიკოსებსა და გულშემატკივრებს.

სიყვარულით,
შორენა შავერდაშვილი

დასაქმება საქართველოს ბაღაჟჭიელი ჰიობლემა - ის ხდებოდა 2006 წლიდან დღემდე

2006 წლიდან მოყოლებული საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში დასაქმების ოთხი ოფიციალური პროგრამა განახორციელა, მათი უმრავლესობა წინასაარჩევნო პერიოდში იქნა წამოწყებული. არის, თუ არა მიღწეული ამ ღონისძიებების მთავარი მიზანი – უმუშევრობის შემცირება?

2006 წელს საქართველოში შრომისუნარიანი მოსახლეობის 13,6% უმუშევარი იყო. 2010 წელს ეს მაჩვენებელი 16,3%-მდე გაიზარდა. რევოლუციიდან 7-8 წლის გასვლის მიუხედავად, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ქვეყანაში დასაქმების კუთხით ძირეული ცვლილებები გატარდა. ბოლო მონაცემებით, საქართველოში დასაქმებულთა აბსოლუტური უმეტესობა თვითდასაქმებულია.

მარი როჭიკაშვილი – სტუდია „მონიტორი“
33.48

ვინ აკონტროლებს ქვითელ ნიალისეულ ჩესუსებს

ლითონების, მათ შორის, ოქროს, მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ლიცენზია საქართველოში თითქმის ორი თვის წინ აუქციონის წესით გაიყიდა. 2011 წლის 3 ოქტომბერს, ლიცენზიის მოსაპოვებლად ბუნებრივი რესურსების სააგენტოში გამართულ აუქციონზე მხოლოდ ორი კომპანია გამოცხადდა. შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ და შპს „Anglo-Georgian Mining Company“ ერთმანეთს დაახლოებით 40-50 წუთი ეპაექრებოდნენ. საბოლოოდ, ლიცენზია 93.5 მილიონ ლარად გაიყიდა. ლიცენზიის ახალ მფლობელზე მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მისი 100%-იანი დამფუძნებელი ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიაა.

ცირა გვასალია
33.14

თავი 52

საქართველოში ომი იწყება

(ფრაგმენტი კონდოლიზა რაისის წიგნიდან)

კონდოლიზა რაისის წიგნმა „მემუარები ვაშინგტონში გატარებული წლების შესახებ“ საქართველოში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გადავწყვიტე, მთლიანად მეთარგმნა თავი, რომელშიც კონდოლიზა რაისი აგვისტოს ომზე, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებსა და მსოფლიო



პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოწყობაში ამ მოვლენის გავლენაზე საუბრობს. თავს ჰქვია „საქართველოში ომი დაიწყო“ და ის მთლიანად საქართველოს თემას ეხება, თუმცა კონტექსტის აღწერისას, წიგნის ავტორი და ყოფილი სახელმწიფო მდივანი მსოფლიოში იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენებზეც საუბრობს, ასევე, მის პირად ურთიერთობაზე სერგეი ლავროვთან თუ მიხეილ სააკაშვილთან. წიგნი კონდოლიზა რაისის თეთრ სახლში მოღვაწეობისას მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარი მოვლენების გახსენება და ანალიზია.

დავით ჩაგანავას თარგმანი
33.30

სტუმრობა ოლიბარჩთან

კაცი, რომელსაც მე შევხვდი, გაცილებით ჩამოყალიბებული და პოლიტიკურად საზრიანი მომეჩვენა. ერთ თვეში მან, როგორც პოლიტიკოსმა, დიდი ზრდა განიცადა.

შუშის უზარმაზარი ფანჯრიდან თანამედროვე სკულპტურებით სავსე ტერასა ჩანს, შემდეგ ხედი სააკაშვილის ახალ საპრეზიდენტო შენობაზე, ბოლოს კი სამების ტაძარზე იშლება, რომლის მშენებლობაც ივანიშვილმა დააფინანსა. ამ მომენტში თავში ერთმა აზრმა გამიელვა: ვისურვე, საქართველო ასეთი დამოკიდებული არ ყოფილიყო დიდ პერსონალიებზე: სააკაშვილზე, პატრიარქზე და მილიარდერზე, რომლის გვერდითაც ვიდექი.

თომას დე ვაალი

გვ.26

ფოტოჰეპოჰტაჟი

ბამჭალი თბილისი

გვ.58–65

ასევე ნომერში:

04 მოკლედ

06 რიცხვები, ციტატები

კომენტარი

10 რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვის შანსი მცირეა
გიორგი ცხადაია

12 რა სურთ პროფკავშირებს?
მარკ მალენი

14 წარმოშობის პარადოქსი და ქართული ექსპორტი
კონსტანტინე ვეკუა

ინტერვიუ

16 „პოლიტიკა, როგორც სახელმწიფო, მოქალაქის სამსახურში უნდა იყოს“
როლანდ ვერნერი

რეპორტაჟი

20 უსახსრო ზუგდიდის თეატრი

პოლიტიკა

24 „ქართული ოცნება“ დარეგისტრირდა

ეკონომიკა

40 10 პუნქტით მოდერნიზაციისა და დასაქმებისკენ

ბიზნესი

43 ვინ აკონტროლებს ქართულ წიაღისეულ რესურსებს

ჯანდაცვა

52 დავიყვანოთ ნულამდე

საზოგადოება

54 უხილავი ბავშვები

ლიბერალის ვებგვერდიდან

66 ყველაზე დიდი, დიდებს შორის

ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები

68 ცოტა რამ კაზიოლების შესახებ

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა გამოცემები:
„ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად,, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ცხინვალში არჩევნების შედეგები გაუქმდა

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში 27 ნოემბერს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგები ადგილობრივმა სასამართლომ უკანონოდ გამოაცხადა. უმაღლესმა სასამართლომ მმართველი პარტიის „ედინსტვოსა“ და დე ფაქტო პრეზიდენტობის კანდიდატის ანატოლი ბიბილოვის სარჩელი დააკმაყოფილა.

არჩევნების შედეგების გაუქმების მიზეზად პრეზიდენტობის კანდიდატის ალა ჯიოევას მხარდამჭერების მიერ კანონის დარღვევა დასახელდა. დე ფაქტო უზენაესი სასამართლოს ცნობით, ჯიოევას მხარდამჭერებმა პრეზიდენტის არჩევნების შესახებ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი დაარღვიეს.

სააგენტო „რია ნოვოსტის“ ცნობით, ალა ჯიოევა განმეორებით არჩევნებში მონაწილეობას ველარ მიიღებს. „კანონი მას ამ უფლებას ართმევს, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებით დარღვევები მისი მხრიდან დაფიქსირდა ჩატარებული არჩევნების დროს“, – განუცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ აცამაზ ბიჩენოვმა „რია ნოვოსტის“.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, 62 წლის ყოფილმა პედაგოგმა და კოკოითის მთავრობის ყოფილმა განათლების მინისტრმა ალა ჯიოევამ ხმების 56,74 პროცენტი მიიღო. ანატოლი ბიბილოვმა კი 40 პროცენტი დააგროვა. ბიბილოვი საგანგებო სიტუაციის მინისტრი იყო და მის კანდიდატურას კრემლი ღიად უჭერდა მხარს.

ჯიოევას მხარდამჭერები გამარჯვებას ცხინვალის ცენტრალურ მოედანზე ზეიმობდნენ, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდა. მიუხედავად ამისა, ოპოზიციის კანდიდატმა ალა ჯიოევამ განაცხადა, რომ ის გამარჯვებულად უკვე აღიარა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ. ჯიოევას მომხრეებმა ცხინვალში საპროტესტო მსვლელობები გამართეს და პრეზიდენტობის კანდიდატს მმართველი პარტიიდან ანატოლი ბიბილოვს დამარცხების აღიარებისკენ მოუწოდეს. სეპარატისტული რეგიონის პარლამენტმა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საგანგებო სხდომაც მოიწვია. დე ფაქტო პარლამენტმა განმეორებითი არჩევნების თარიღად 2012 წლის 25 მარტი დაასახელა.

ალა ჯიოევას გამარჯვების მიზეზად ცხინვალში ჯამბულატ თედეევის მხარდაჭერას ასახელებენ. თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს და სამხრეთ ოსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის ოპონენტ თედეევს თავადაც სურდა არჩევნებში მონაწილეობა. თუმცა იმის გამო, რომ 10 წელია სამხრეთ ოსეთში არ უცხოვრია, კენჭისყრის უფლება არ მისცეს. საბოლოოდ თედეევმა ჯიოევას კანდიდატურას დაუჭირა მხარი. არჩევნების პირველ ტურამდე, ჯიოევამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს განაცხადა, რომ მას შემდეგ გადაწყვიტა არჩევნებში ჩაბმა, რაც ყველა „მძიმეწონიან“ ოპოზიციურ კანდიდატს არჩევნებში მონაწილეობა აეკრძალა.

ეგვიპტელები პარლამენტს ირჩევენ

ეგვიპტეში საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს. ეს არის პირველი არჩევნები ჰოსნი მუბარაქის მმართველობის დასრულების შემდეგ. ამჟამად ეგვიპტელები პარლამენტის ქვედა პალატას ირჩევენ. ეგვიპტეში პარლამენტის არჩევნები სამ ეტაპად, სხვადასხვა რეგიონში ცალ-ცალკე ტარდება.

პირველი ეტაპი კაიროში დაიწყო, ალექსანდრიასა და სხვა რეგიონებში პროცესი იანვრამდე უნდა დასრულდეს. მომდევნო ეტაპი კი მარტში ჩატარდება და ეგვიპტელები უკვე პარლამენტის ზედა პალატის შემადგენლობას აირჩევენ. ეგვიპტის ახალმა პარლამენტმა 2012 წლის ივნისამდე საპრეზიდენტო არჩევნების წინ ახალი კონსტიტუცია უნდა დაამტკიცოს. არჩევნებში წარმატებას მუსლიმურ პარტიებს უწინასწარმეტყველებენ.

საარჩევნო პროცესი ეგვიპტეში ამ ეტაპზე მშვიდობიანად მიმდინარეობს. ამ პროცესს მიესალმა ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკამ მოიწონა ეგვიპტელი ამომრჩევლების მაღალი აქტივობაც.

საპარლამენტო არჩევნების პარალელურად, კაიროში საპროტესტო აქ-

ციები მიმდინარეობს. არჩევნებამდე საპროტესტო აქციის მონაწილეები კაიროს ქუჩებში სახელისუფლებო ძალებს დაუპირისპირდნენ, რის გამოც დაახლოებით 40 ადამიანი გარდაიცვალა. საპროტესტო აქციის მონაწილეების მოთხოვნით, სამხედრო საბჭომ ახალი პრემიერ-მინისტრი კამა განზური დანიშნა, რომელიც ქვეყნის ახალ მთავრობას დააკომპლექტებს. თუმცა დემონსტრანტები სამხედრო საბჭოს გადადგომას ისევ ითხოვენ.



მედვედევის მუქარა

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ამერიკის შეერთებული შტატების ანტისარაკეტო თავდაცვის გეგმა გააკრიტიკა. მედვედევის თქმით, რუსეთი თავის რაკეტებს ევროპაში ამერიკის ანტისარაკეტო თავდაცვისათვის განკუთვნილი ობიექტების წინააღმდეგ მიმართავს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის ინტერესებს არ გაითვალისწინებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ანტისარაკეტო თავდაცვის გეგმა 2020 წლამდე ევროპაში ანტისარაკეტო სისტემის განთავსებას ითვალისწინებს. თუკი ვაშინგტონი და მოსკოვი ვერ შეთანხმდნენ, რუსეთმა შესაძლოა თავისი რაკეტები ქვეყნის დასავლეთით კალინინგრადის ოლქში და კიდევ რამდენიმე რეგიონში განათავსოს. მედვედევის თქმით, რუსეთი შესაძლოა ბირთვული შეიარაღების კონტროლის შეთანხმებებიდან გამოვიდეს და შეიარაღების კონტროლზე სხვა მოლაპარაკებებიც შეაჩეროს.

რუსეთში ფიქრობენ, რომ ანტისარაკეტო სისტემა ქვეყნის ბირთვულ არსენალს დაასუსტებს.

„სიტუაციის არასასურველი გზით განვითარების შემთხვევაში, რუსეთი იტოვებს უფლებას, უარი თქვას შემდგომი ნაბიჯების გადადგმაზე განიარაღების სფეროში – და, შესაბამისად, შეიარაღების კონტროლის სფეროში. გარდა ამისა, იმ განუყოფელი კავშირის გათვალისწინებით, რომელიც არსებობს სტრატეგიულ შემტევ და თავდაცვით შეიარაღებას შორის, შესაძლოა შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ ჩვენი ქვეყანა გამოვიდეს ბირთვული იარაღების შემცირების შეთანხმებიდან“, – განაცხადა მედვედევმა.

მედვედევის პასუხად ანდერს ფოგ რასმუსენმა, ნატოს გენერალურმა მდივანმა, განაცხადა, რომ რუსეთის მუქარით „ძალიან იმედგაცრუებულია“.

„რუსეთის ეს ნაბიჯი წარსულს შეგვახსენებს და არ მიესადაგება იმ სტრატეგიულ ურთიერთობას, რომელზეც ნატო და რუსეთი არიან შეთანხმებული“, – განაცხადა რასმუსენმა.

შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს პრეს-მდივანმა, ტომი ვიეტორმა განაცხადა, რომ ევროპაში ამერიკის ანტისარაკეტო სისტემის განთავსების გეგმის შეჩერების საფუძველი არ არსებობს. შეერთებულ შტატებში ფიქრობენ, რომ ანტისარაკეტო თავდაცვა ისეთი ქვეყნებისგან მომავალი საფრთხეების ასაცილებლადაა საჭირო, როგორიცაა ირანი.

ბელარუსში უფლებადამცველი ბაასამართლეს

ბელარუსის სასამართლომ უფლებადამცველ ალეს ბელიაცკის ოთხი წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ ბელიაცკი გადასახადებისათვის თავის არიდებაში დაადანაშაულა. დაპატიმრების გარდა, სასამართლომ ბელიაცკის ქონების კონფისკაციის გადაწყვეტილებაც მიიღო. ბელიაცკის ლიტვასა და პოლონეთში პირადი ანგარიშები ჰქონდა, რომელთა საშუალებითაც თავისი ორგანიზაციისათვის უცხოელი დონორების დახმარებას იღებდა.

ბელიაცკი ორგანიზაცია „ვიასნას“ ხელმძღვანელია. ამ ორგანიზაციას 2003 წელს რეგისტრაცია ოფიციალურად გაუუქმეს.

ბელიაცკის საკითხზე პოზიცია დააფიქსირა ევროპარლამენტმა. ევროპარლამენტის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „უკიდურესად შეშფოთებულია ბელიაცკისთვის პატიმრობის მისჯით“ და საქმეს პოლიტიკურად მოტივირებული, დაუსაბუთებელი უწოდა. ევროპარლამენტის პრეზიდენტმა ერჟი ბუზეკმა ბელარუსის ხელისუფლებას ბელიაცკისა და სხვა პოლიტპატიმრების გათავისუფლებისკენ მოუწოდა.

რიცხვები, ციტატები

8, 67 პროცენტიანი აქციები ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ბანკმა“ კახი კალაძის „პროგრეს ბანკისგან“ იყიდა.

219 მილიონი ლარით გაიზარდა საქართველოს 2011 წლის ბიუჯეტი და მან 7 მილიარდ 564 მილიონი ლარი შეადგინა.

1 მაღაროელი დაიღუპა ტყიბულის მაღაროში 24 ნოემბერს ჭერის ჩამონგრევის შედეგად.

11 დეკემბერს ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია გაიმართება.

11 სამუშაო ჯგუფს შექმნიან „რესპუბლიკელები“, „თავისუფალი დემოკრატები“ და ბიძინა ივანიშვილის გუნდი.

80 დოლარით გააიაფა რუსეთმა გაზი ბელარუსისთვის.

10 ათას რუმინელს ქალაქ ბრადაში ცენტრალური გათბობა გაეთიშა, რის გამოც ქალაქის მერი ფლორინ კაზაკუ შიმშილობს.

85 წლის ასაკში გარდაიცვალა იოსებ სტალინის ქალიშვილი სვეტლანა სტალინა-ალილუევა.

2 მილიონ 357 ათას 759 ლარი კონტროლის პალატის ცნობით არამართლზომიერად გაიხარჯა ტუბერკულოზის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის არაჯეროვანი მართვის გამო.

„ვფიქრობ, სერიოზული სტრატეგიული შეცდომაა ტალიავინის კომისიის დასკვნის იგნორირება, ანუ აფხაზური და ოსური მხარეების კონფლიქტის მხარეებად არაღიარება. შესაბამისად, ჩვენი ხელისუფლება უსაფრთხოების გარანტიებზე მათთან მოლაპარაკებას არ აპირებს. მხედველობაში მაქვს მოლაპარაკება მხარეებთან და არა – საერთაშორისო სამართლის სუბიექტებთან“.

ბიძინა ივანიშვილი, ბიზნესმენი

„რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, რომელიც პირდაპირ კრემლის ფილიალია, გამოაცხადა ჯვაროსნული ლაშქრობა საბჭოთა კავშირის აღსადგენად და საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, მათ შორის, თავისუფალ საქართველოს, უწოდა „ისტორიული რუსეთის შემადგენელი ნაწილები“, რომლებიც უნდა დაბრუნდნენ უკან, რუსეთში“.

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი

„მოსკოვში ვიზიტი იყო მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ეკლესიისთვის! გვქონდა საუბარი ლტოლვილების შესახებ და იმედი არის, რომ ისინი დაბრუნდებიან თავის სახლებში“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

„მე განვაგრძობ პრეზიდენტის მოვალეობების შესრულებას და არ დავუშვებ რესპუბლიკაში სიტუაციის დესტაბილიზაციისკენ მიმართულ პროვოკაციებს“.

ედუარდ კოკოითი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი

„ვცდილობდი, მთელი ამ დროის განმავლობაში სამართლებრივ ველში დავრჩენილიყავი, მაგრამ ოპონენტები უკიდურესად არასასურველ სცენარს გვახვევენ თავს და დაე, საკუთარი ქმედებებისთვის მათ თავად აგონ პასუხი. ამჯერად პასუხისმგებლობას ვეღარ გაექცევიან. ამ ქმედებებს უკვე აღარავის ვაპატიებთ. გამარჯვებას ვერავინ მოგვპარავს“.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტობის კანდიდატი ალა ჯიოევა

12th

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი

THE 12th TBILISI INTERNATIONAL FILM FESTIVAL

06 - 11. 12. 2011

კ/თ ამირანი

EMBASSY OF SWEDEN
Si. Swedish Institute
GOETHE INSTITUT TBILISI
TBILVINO
Citadines APART'HOTEL
Georgian National Film Center
Marriott TBILISI
OUTdooR.ge
DHL

ილუსტრაცია: ფირარა მაცაბაძე

ბამპოთლებელია თუ არა ასოციალური სხვა სკოლაში გადაყვანა, ან ს



კახა ანჯაფარიძე
საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

როცა საქმე მოზარდებს ეხება, არ შეიძლება, საზოგადოება მხოლოდ მაყურებლის პასიურ როლს დასჯერდეს და ბავშვი თავის პრობლემებთან ერთი ერთზე დავტოვოთ. დღეს ვხედავთ ახალგაზრდებს, რომლებიც დანაშაულის ნიშნების შემცველ დევიანტურ ქცევას სჩადიან, მაგრამ, ბუნებრივია, ისინი ვერ დაისჯებიან სისხლის სამართლებრივი წესით. საზოგადოება კი მხოლოდ მეთვალყურეა და პროცესში მინიმალურად ერევა.

მაგრამ, ადამიანი რასაც 10 წლის ასაკში აკეთებს, იმავეს გააკეთებს 14 წლისაც. თუკი ჩვენ დროულად არ ჩავერევით და ბავშვს არ დავეხმარებით, ის ციხეში აღმოჩნდება.

შესაბამისად, ეს კანონი არ უნდა განვიხილოთ, როგორც ზემოქმედების მექანიზმი, იძულება და სადამსჯელო ღონისძიება ბავშვის მიმართ. პირიქით, ეს მათთვის გაწვდენილი ხელი და გამოსწორების საშუალებაა.

თუკი მოზარდი სისტემატურად ავლენს დევიანტურ ქცევას, მისი საკითხი კომისიის წინაშე დაისმება. ამ კომისიის წევრები არ არიან მოსამართლეები და პროკურორები, არამედ პედაგოგები, ფსიქოლოგები, სოცმუშაკები... ისინი განიხილავენ მოზარდის საქციელს, მის ფსიქიკას და შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას. შეიძლება კომისიამ ჩარევა საჭიროდ არ ჩათვალოს, ან გადაწყვიტოს, რომ ბავშვს სჭირდება, ვთქვათ, ფსიქოლოგთან სიარული, გარემოსა და სკოლის გამოცვლა. თუ ბავშვი განსაკუთრებით საშიშ გზას ადგას, რომელიც მას აუცილებლად ციხემდე მიიყვანს, ბუნებრივია, ჩარევა უფრო მიზანმიმართული იქნება და ბავშვს გადაამისამართებენ სპეციალურ სკოლაში, სადაც უკეთესი პირობები და ფსიქოლოგთან ინტენსიური კურსებია. ბავშვისთვის სამართლებრივ შედეგს არ გამოიწვევს ერთი ქმედება – კონკრეტული ქცევა მხოლოდ იმის მოტივია, რომ შევისწავლოთ, რა სჭირს ბავშვს.

სპეციალური სკოლები გამჭვირვალე იქნება და ნებისმიერს შეეძლება შესვლა და სიტუაციის შეფასება. ამავე დროს, დაწესებულებებში მუდმივ მონიტორინგს ჩაატარებენ ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სპეციალური ჯგუფები.

ჩემი ხედვა ამ კანონპროექტზე ძალიან მარტივია – ჩვენ, ბუნებრივია, მივესალმებით, თუკი მას გამოუჩნდება ოპონენტები, რომლებიც პროცედურაზე იდავებენ და რაიმე ახალს შემოგვთავაზებენ. მაგრამ, ვერანაირად ვერ დავეთანხმები მას, ვინც არსზე კამათს დაიწყებს და იტყვის, რომ ეს ცუდი კანონია და მოვლენები თვითდინებაზე უნდა მივუშვათ.

და ჰიპერაქტიური ქცევის ბავშვების პესიალურ ჰიოზიამაში ჩაითვა?



ნატალია ზაზაშვილი
ბავშვთა ფსიქოლოგი

სანამ საკითხს დავსვამდეთ, უნდა ვიცოდეთ, რა ტიპის სკოლაში გადაჰყავთ ბავშვი, რას შესთავაზებს მას ახალი სკოლა, პროგრამა, ვინ მიიღო გადაწყვეტილება გადაყვანა/რეფერირების შესახებ, რის საფუძველზე, ან რა იგულისხმება ასოციალურ და ჰიპერაქტიურ ქცევაში.

პარლამენტში წარმოდგენილ კანონ-პროექტში არის რამდენიმე პუნქტი, რაც ბუნდოვანია. დევიანტური ქცევა გამოიხატება რთულ ან/და ანტისაზოგადოებრივ ქცევაში, რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის არასრულწლოვნის განვითარებას, მის ან სხვა ადამიანების უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ან მართლწესრიგს და ვლინდება არანაკლებ 6 თვის მანძილზე. ეს განმარტება საკმაოდ ზოგადია და მრავლისმომცველი, რის გამოც უფრო რთულდება იდენტიფიცირებაც და მონიტორინგიც იმისა, თუ რამდენად სწორად იყვნენ ბავშვები შერჩეული ამა თუ იმ პროგრამაში, ან სკოლა-პანსიონში გადასაყვანად.

რთული ქცევა ძალიან ზოგადი და ფართო ტერმინია და სხვადასხვა სპეციალისტმა შეიძლება განსხვავებულად განმარტოს, ბავშვის ბედი კი არ უნდა იყოს დამოკიდებული ჩვენს ინტერპრეტაციაზე.

რთული ქცევა ყოველთვის უარყოფით კონოტაციას არ გულისხმობს. მაგალითად, ტომ სოიერი და ჰეკლბერი ფინი დევიანტური თუ კრიმინალური ქცევისა იყვნენ და დღევანდელ საქართველოში რომ ეცხოვრათ, სად მოუწევდათ ყოფნა? ავჭალის სპეციალურ დაწესებულებაში, სკოლა-პანსიონში თუ სადმე სხვაგან?

რამდენად ეფექტიანია რეფერალის გამოყენება 10 წლის ბავშვების მიმართ? 10 წლის ბავშვის ბიოფსიქოსოციალური განვითარება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ბავშვმა გაიაზროს, გააცნობიეროს თავისი ქცევა, ამ ქცევის შედეგები და პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს.

მნიშვნელოვანია, რა ინსტრუმენტებით მოხდება ბავშვის ფსიქოსოციალური შეფასება, უნდა ვიცოდეთ, რა რისკების შემცველი იყო მისი სოციალური გარემო (ოჯახი, სკოლა და ა.შ.).

მიუხედავად იმისა, რომ კანონში არის ერთი ადგილი, სადაც სიტყვა „მზრუნველობაა“ გამოყენებული, მთლიანობაში მგონია, რომ სწორედ ეს მზრუნველობა აკლია მას. თუ კანონს უფრო ფართო, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების კონტექსტში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ის თავისი დამოკიდებულებით, პათოსით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში დანერგილი „განრიდებისა და მედიაციის“ პროგრამის გაგრძელება უნდა იყოს, რომელიც სწორედ მზრუნველობითი ხასიათისაა.

ასევე, როგორც კი დაიწყება ბავშვის რეფერირების/გადამისამართების პროცესი, ბავშვის მშობელი მაშინვე უნდა ჩაერთოს.

ჩუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვის შანსი მსჩრეა

გიორგი ცხადაია
ილიას უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრანტი



უახლოესი ხუთი წლის მანძილზე საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ძალიან შეზღუდული მექანიზმები რჩება. მაქსიმუმი – ამჟამინდელი სტატუს კვოს შენარჩუნება იქნება.

საქართველოში ბოლო დროს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ რუსეთთან ურთიერთობები უნდა გამოვასწოროთ („გადავტვირთოთ“, ხელახლა დავიწყოთ), თუმცა ბოლომდე გაუგებარია, თუ რას გულისხმობენ. რუსული კომპანიების ინვესტიციებს საქართველოში პრობლემა არც ახლა ექმნებათ. „მადნეული“, „კვარციტი“, „აზოტი“, „ბილაინი“, „ლუკოილ ჯორჯია“, „ხრამჰესი-1“, „ხრამჰესი-2“, „თელასი“, „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ – ეს იმ აქტივების არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც დღეს რუსული კომპანიები საქართველოში ფლობენ.

აქედან გამომდინარე, „ურთიერთობის გამოსწორებაში“ სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა და მშვიდობის უფრო მყარი გარანტიების მიღწევა იგულისხმება. ამ ორ ძალზე მნიშვნელოვან საკითხზე კი, რუსეთის მხრიდან დათმობებზე წამოსვლა, ჩემი აზრით, ნაკლებ სავარაუდოა. უფრო მოსალოდნელია, რომ რუსეთი დათმობების სანაცვლოდ, ამერიკასთან ჩვენი მეგობრობის შეწყვეტას მოითხოვს.

საქართველოში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირების საგანია, ამიტომ, ზოგიერთი მკითხველი ჩემს შეხედულებასაც რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის პოზიციას მიაკუთვნებს. დასაწყისშივე მინდა აღვნიშნო, რომ შიდაპოლიტიკურ დებატებს ვემიჯნები და აღნიშნულ საკითხზე მხოლოდ ნეიტრალური დამკვირვებლის პოზიციას გთავაზობთ.

დავიწყებ რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვით და რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის შექმნილი დღევანდელი საგარეო პოლიტიკური გაურკვევლობის აღწერით.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ამერიკასთან აქტიური თანამშრომლობა დაიწყო. დასავლეთთან ირიბ კონფრონტაციაზე კრემლი მხოლოდ პუტინის მეორე საპრეზიდენტო მმართველობის დროს – გაზზსა და ნავთობზე გაზრდილი ფასების ფონზე და უკრაინასა და საქართველოში მომხდარი რევოლუციებით გაღიზიანების შემდეგ წავიდა. 2007 წელს პუტინი საუბრობდა ამერიკისა და ევროპის შემცირებულ გავლენაზე და ამბობდა, რომ 2020 წლისთვის რუსეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი, დინამიკური და პროგრესული ქვეყანა გახდება.

კონფრონტაციამ პიკს 2008 წლის აგვისტოში მიაღწია.

რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ერთგვარი სტაგნაციის პერიოდი აგვისტოს ომის შემდეგ და მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში დადგა. 2009 წლის დასაწყისში მთავარი რუსული საფონდო ბირჟის ინდექსი 90 პროცენტით დაეცა (2008 წლის მაისის პიკურ მონაცემთან შედარებით), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) კი 2008-2009 წლების პერიოდში 45 %-ით შემცირდა.

მსოფლიო ფინანსური კრიზისი რუსეთმა განსაკუთრებით მწვავედ გადაიტანა. 2009 წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) თითქმის 8 %-ით დაეცა (შედარებისთვის, იმავე პერიოდში კრიზისის ეპიცენტრის – აშშ-ის მშპ მხოლოდ 2.6 %-ით შემცირდა).

ამ პერიოდში რუსეთმა ეკონომიკურ დარტყმასთან ერთად, პოლიტიკური დარტყმაც მიიღო. არცერთმა მისმა მოკავშირე ქვეყანამ, მათ შორის, ყაზახეთმა, ბელარუსმა და ჩინეთმა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ ცნო. ყირგიზეთის პარლამენტმა კი მანასის სამხედრო ბაზა კვლავ ამერიკელებს დაუტოვა.

კრახით დასრულდა რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ოთხი ყველაზე მდიდარი განვითარებადი ქვეყნის ალიანსის იდეაც (ე.წ. BRIC , რომელშიც ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი შედიან). ცხადია, რომ ინდოეთსა და ჩინეთს აშკარად განსხვავებული გეოპოლიტიკური ინტერესები აქვთ და მაინცდამაინც არც ჩინეთისა და რუსეთის ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს.

ამ დროისთვის იკვეთება რუსეთის განვითარების ორი ხედვა, რომელსაც მედვედევი და პუტინი გამოხატავენ. მედვედევის ხედვას პირობითად შეგვიძლია „ლიბერალური მოდერნიზაცია“ დავარქვათ, პუტინისას – „კონსერვატორული მოდერნიზაცია“. ზოგადად, მოდერნიზაციის აუცილებლობაზე ორივე ლიდერი თანხმდება.

მედვედევის პოლიტიკური კურსის მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ რუსეთმა უნდა დაამყაროს „მოდერნიზაციის ალიანსები“ ამერიკასა და წამყვან ევროპულ ქვეყნებთან, განსაკუთრებით, გერმანიასთან, საფრანგეთთან და იტალიასთან. ამ ქვეყნებს რუსეთი მჭიდრო პოლიტიკურ თანამშრომლობას შესთავაზებს, რის სანაცვლოდაც ის ინვესტიციებსა და „ნოუ-ჰაუს“ მიიღებს.

მედვედევი რუსული კვლევითი ცენტრის – „თანამედროვე განვითარების ინსტიტუტის“ ნომინალური თავმჯდომარეა. ამ ინსტიტუტის ვებგვერდზე ქვეყნის ნაციონალური პრიორიტეტების სიაა

ჩამოწერილი: მაღალი ხარისხის განათლება, ხელმისაწვდომი საცხოვრებელი სახლები, თანამედროვე ჯანდაცვის სისტემა და დემოგრაფიული მდგრადობა.

2010 წლის ივნისში მედვედევი ამერიკაში გაემგზავრა იმისთვის, რომ მისივე განცხადებით, ენახა „თუ როგორ მუშაობს იქ ყველაფერი“. მას მაღალი ტექნოლოგიების ამერიკული ცენტრის ე.წ. სილიკონის ველის მსგავსი დასახლების შექმნა მოსკოვის სიახლოვეს სურს. ამისათვის მედვედევმა ამერიკული ფირმებისგან გარკვეული მხარდაჭერა მოიპოვა კიდეც. მაგალითად, მან დაარწმუნა ცნობილი კომპანია CISCO SYSTEMS, რომ რუსულ კომპანიებში 1 მილიარდიანი ინვესტიცია განეხორციელებინათ.

ამავე პერიოდში, მედვედევის დადებითი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების რიცხვს მიეკუთვნება ამერიკასთან ბირთვული იარაღის შემცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, ირანზე სანქციების დაწესებაზე თანხმობის განცხადება და ამერიკისთვის ავღანეთზე გამავალი მომარაგების გზების შეთავაზება.

საბოლოო ჯამში, მედვედევის ექსპერიმენტების მიუხედავად, იმთავითვე ცხადი იყო, რომ რუსეთში ლიბერალურ მოდერნიზაციას იმაზე გაცილებით ნაკლები შანსები ჰქონდა, ვიდრე ოპტიმისტები ვარაუდობდნენ.

მოდერნიზაციის გზაზე მთავარი დაბრკოლება სახელმწიფოსა და დიდი ბიზნესის აღრევაა. ოლიგარქების და სახელმწიფო კორპორაციების ლობი უცხოელებთან კონკურენციაში ჩაბმას არ დაუშვებს. ზომიერ კონსერვატორებს – მათ შორის პუტინს, გააზრებული აქვთ, რომ რუსეთის მოდერნიზაცია მაღალ პოლიტიკურ რისკებს და შესაძლოა, სამოქალაქო არეულობის საფრთხესაც შეიცავდეს.

პუტინი ფიქრობს, რომ დასავლეთიდან ტექნოლოგიების ათვისება რუსეთს სასიცოცხლოდ სჭირდება, მაგრამ პირველ რიგში, ეს სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა მოახერხონ – მაგალითად, სამხედროებმა. მისი აზრით, უცხოური ფირმები მოგების მიღების მიზნით რუსეთის ბაზარზე ინვესტიციებს ისედაც ჩადებენ და მათ სინამდვილეში, დემოკრატიაზე უფრო მეტად, სტაბილურობა აღელვებთ. ამიტომ, ავტორიტარული რეჟიმის პირობებში მოდერნიზაცია ზემოდან უნდა წამოვიდეს.

ვლადიმირ პუტინი

ფოტო რაბ ნიკოლსი / REUTERS

მართალია, მედვედევი და პუტინი მოდერნიზაციაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ როგორც ჩანს, მათ გააზრებული აქვთ, რომ მომდევნო ათწლეულის მანძილზე რუსეთის ბედს ისევ ნავთობისა და გაზის ფასები გადაწყვეტს.

ამას გარდა, პუტინის ბანაკი იმასაც ამტკიცებს, რომ მოდერნიზაცია ნელი ტემპებით უნდა განხორციელდეს და არა სწრაფი ნახტომებით. რუსეთში მოდერნიზაციის მტრებად შეიძლება ჩავთვალოთ არა მხოლოდ ბიუროკრატია და არაეფექტური კორპორაციები და მონოპოლიები, არამედ თავად რუსეთის მოსახლეობა, რომლის დიდ ნაწილსაც ინოვაციის მიმართ ინსტინქტურად უარყოფითი რეაქცია აქვს.

„ერთიანი რუსეთის“ მიერ პუტინის საპრეზიდენტო კანდიდატად დაყენება, შეიძლება იმის ნიშნად მივიჩნიოთ, რომ რუსეთში სწორედ ამ უკანასკნელმა ხედვამ გაიმარჯვა. რუსეთის დღევანდელი ბიუჯეტის დაახლოებით ერთ მესამედს ნავთობისა და გაზის ექსპორტისგან მიღებული შემოსავლები შეადგენს. მართალია, მედვედევი და პუტინი მოდერნიზაციაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ როგორც ჩანს, მათ გააზრებული აქვთ, რომ მომდევნო ათწლეულის მანძილზე რუსეთის ბედს ისევ ნავთობისა და გაზის ფასები გადაწყვეტს.

მოსალოდნელია, რომ სულ მცირე მომდევნო ხუთი წლის მანძილზე რუსეთის საგარეო პოლიტიკა რადიკალურად არ შეიცვლება. რუსეთი გააგრძელებს ევროკავშირის ინდივიდუალურ წევრებთან ურთიერთობების პოლიტიკას, სავარაუდოდ, შეინარჩუნებს საქართველოს მიმარ პოზიციას და შეეცდება, რომ ამერიკის ადმინისტრაციის გავლენა კიდევ უფრო მეტად შეამციროს.

ამ პირობებში საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ძალიან შეზღუდული მექანიზმები რჩება; მაქსიმუმ, იმას შეიძლება მივაღწიოთ, რომ ამჟამინდელი სტატუს კვო შევინარჩუნოთ.

რა სუხთ პროფკავშირებს?

მარკ მალენი

საქართველო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე ოფიციალურ მოლაპარაკებებს იწყებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ორ მხარეს შორის არაერთი გაუგებრობა და აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მათ შორის იმაზეც, თუ რამდენად სასიკეთოა ეს საქართველოსთვის. შრომა ერთ-ერთი ყველაზე საკამათო თემაა.

საქართველოს მთავრობაში და დასავლეთ ევროპელებში, კერძოდ ევროკავშირში, ამ საკითხისადმი ძალიან განსხვავებული მიდგომები არსებობს. ხელისუფლების დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს ბიზნეს-ომბუდსმენის, გიორგი პატარაიას Eurasia.net-თვის გაკეთებული განცხადება: „სამუშაო ადგილებს ბიზნესი ქმნის და არა ევროკავშირი ან საქართველოს ხელისუფლება. ესპანეთის ან ჰოლანდიის მსგავსი შრომის კოდექსი რომ გვქონდეს, შრომის ღირებულება აქაც ისეთივე მაღალი იქნებოდა, როგორც იქ“.

ამ ლიბერტარიანული ხედვის ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ შრომის რეგულაციები პირდაპირ უკავშირდება ხელფასების ზრდას, რაც ბიზნესს ზიანს აყენებს. საკითხი აქ საფასურს ეხება. საქართველოში შედარებით დაბალი შრომის საფასურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელფასებიც დაბალია. ხელისუფლება შრომის დაბალი ანაზღაურების შენარჩუნებას ცდილობს, რადგან ეს ბიზნესის მეპატრონეებისთვის არის სასიკეთო.

როდესაც საქართველოს ხელისუფლებას ვახსენებ, ხელისუფლების ყველა წევრს როდი ვგულისხმობ. ტექნიკურად ბიზნეს-ომბუდსმენი არც არის ხელისუფლების წევრი და მხოლოდ დამოუკიდებელ მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს. ეს შესაძლოა ასეც აღმოჩნდეს, თუმცა ჯერჯერობით რთულია დასკვნების გაკეთება. ხელისუფლებას დამოუკიდებელი უწყებების ხელმძღვანელებად დამოუკიდებელი წარმომადგენლების დანიშვნის საკმაოდ ბუნდოვანი გამოცდილება აქვს. საფუძვლიანი დაკვირვება მოგვიწევს იმაში დასარწმუნებულად, თუ რამდენად დამოუკიდებლად იმოქმედებს ეს ახალი ფიგურა. ამიტომაც, როდესაც ვამბობ „ხელისუფლება“, მმართველი გუნდის წევრებში ან მათთან დაახლოებულ პირებში (რომელთანაც მე კომუნიკაცია მაქვს) გავრცელებულ არაფორმალურ შეხედულებებს ვგულისხმობ.

ისინი საკითხს ძალიან იდეოლოგიურად აღიქვამენ: ხელისუფლების მხრიდან გარკვეული ან სრული რეგულირება ბიზნესს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს. ამასთანავე, ფაქტობრივად, ყველაფერი, რის გაკეთებაც ბიზნესის მეპატრონეს სურს, არა მხოლოდ ეკონომიკისთვის იქნება კარგი, არამედ იდეოლოგურადაც სიკეთის მომტანი გახდება. ბიზნესის მფლობელად ყოფნა ადამიანს სხვა მუშაკებისგან გამოარჩევს და გარკვეულ ელიტურ ჯგუფში აწევრიანებს. ეს იდეა ყველაზე სრულყოფილად მწერალმა აიან რენდმა ჩამოაყალიბა, რომელსაც 1960-იან წლებში აშშ-ში რესპუბლიკელებზე გარკვეული გავლენა ჰქონდა. მას შემდეგ ამ მიდგომით ნაკლებად თუ ხელმძღვანელობს ვინმე, თუ არ ჩავთვლით საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ პირებს.

ევროკავშირს განსხვავებული ხედვა გაჩნია. ისინი ამ საკითხს უფლებების კონტექსტში განიხილავენ, ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია დასაქმებულების უფლებები ისევე დაიცვას, როგორც საქართველოს (მრავალჯერ შესწორებული და ახლახან შეცვლილი) კონსტიტუციის სხვა მუხლები. ამ უფლებების შესახებ შეხედულებები, რა თქმა უნდა, განსხვავდება, თუმცა მაინც არსებობს გარკვეული სტანდარტები, რომლებსაც მსოფლიოს ყველა განვითარებადი სახელმწიფო იზიარებს. ერთ-ერთი ასეთი კავშირებში გაერთიანების და ამ კავშირებსა და ბიზნესის მფლობელებს შორის მოლაპარაკებების უფლებაა.

რა თქმა უნდა, პროფკავშირები საბჭოთა კავშირშიც არსებობდა, მაგრამ რადგანაც მაშინ ყველაფერი პარტიას და აპარატს უკავშირდებოდა, დიდი ვერაფერი გააკეთეს. ისღა მოახერხეს, რომ კორუფციული სისტემის ნაწილად იქცნენ, რისი წყალობითაც საბჭოთა კავშირში (სახლს გარეთ), ფაქტობრივად, შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდნენ.

საბჭოთა კავშირი ერთადერთი ადგილი არ ყოფილა, სადაც კორუმპირებული პროფკავშირები არსებობდნენ. ამას თითქმის ყველგან ჰქონდა ადგილი. ამიტომაც ისევე, როგორც სხვა ინსტიტუტების შემთხვევაში, აქაც მართებული იქნება დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი მოვიშველიოთ.

უნდა გვახსოვდეს, რომ შაბათ-კვირის დასვენებებს პროფკავშირებს უნდა ვუმადლოდეთ, ბიზნესის მფლობელები ამის საჭიროებას ვერ ხედავდნენ. დამსაქმებლები ხშირად უყურადღებოები არიან სამუშაო გარემოს უსაფრთხოებასთან, სუფთა პირობებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მათ უყურადღებობის გამოჩენა ნებისმიერი რამის მიმართ შეუძლიათ, რაც მათ ფინანსურ ხარჯად უჯდებათ. განვითარებად ქვეყნებში, ფაქტობრივად, ყველა პოლიტიკოსს სჯერა, რომ სახელმწიფო დასაქმებულების სამუშაო და სხვა პირობების მინიმალური სტანდარტების უზრუნველსაყოფად დიდ როლს თამაშობს. თუმცა საქართველოში ხელისუფლებას რაიმეს რეგულირების სურვილი არ გააჩნია. მნიშვნელოვანია, რომ მთავარი ამ ფუნდამენ-

ტური უფლებების დაცვაა, ასე რომ, ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვინ იცავს მათ – ხელისუფლება თუ კავშირები. თუმცა როდესაც ხელისუფლება პასუხისმგებლობას თავიდან იცილებს, ამ როლის შესრულების პრეროგატივა პროფკავშირებზე გადადის.

საქმე ისაა, თუ რამდენად კარგად ართმევენ თავს პროფკავშირები ამ დავალებას. კომუნისტურ ქვეყნებში პროფკავშირების მუშაობაში ნაკლებად ვარ გარკვეული, თუმცა კაპიტალისტურ ქვეყნებში მათ, ტრადიციულად, დიდი როლი ითამაშეს. გარკვეულ ადგილსა და გარკვეულ დროში, რა თქმა უნდა, ძალიან კორუმპირებული კავშირებიც ყოფილან და ამის ბევრი მაგალითი არსებობს. აშშ-ში პროფკავშირები წლების განმავლობაში იშლებოდა, განსაკუთრებით მრეწველობის დარგში. ეს აშშ-ის მრეწველობის ჩინეთში და სხვა ქვეყნებში გადანაცვლებას დაემთხვა.

მთავრობაში დასაქმებულების, მასწავლებლების და სხვათა პროფკავშირები დღეს ამერიკაში მოქალაქეების შეშფოთების საგანს წარმოადგენს. მღელვარებას ის ფაქტი იწვევს, რომ ამ სამსახურებში დანიშვნის შემდეგ ისინი პროფკავშირების გზით ყველა ღონეს მიმართავენ იმისკენ, რომ მათი სამსახურიდან გათავისუფლების მექანიზმები მოსპონ, რაც უნდა არაკომპეტენტური და გადამხდელებისთვის ძვირადღირებული იყოს მათი დასაქმება. აშშ-ში დემოკრატებს ამ საფრთხეებზე საუბარი არ უყვართ. ისინი არც „დემოკრატების“ პარტიაზე პროფკავშირების გავლენაზე ამბობენ რამეს. მეორე მხრივ, პროფკავშირების საფრთხეებზე „რესპუბლიკელები“ ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა ამ შემთხვევაშიც, მათი ყურადღების მიღმა რჩება ის რეალური პრობლემები, რომლებზეც პროფკავშირები მუშაობენ.

დანია ძალიან კარგი მაგალითია. მოსახლეობის სამი მეოთხედი პროფკავშირების წევრია, თუმცა მათ განსაკუთრებული აგრესია ან გავლენა არ ახასიათებთ. ამის მიზეზი ის არის, რომ სახელმწიფო თავადაც ეფექტურად უმკლავდება დასაქმებულების რეგულირებას. იქ მსოფლიოში ყველაზე მაღალი გადასახადებია, თუმცა ეს უფასო ჯანმრთელობის დაცვას და სამუშაო ადგილზე, მაღაზიაში და ქუჩაში უსაფრთხო გარემოს გულისხმობს. ამიტომაც იქ ნაკლებად დგას პროფკავშირების საჭიროების საკითხი. ამის გამო დასაქმების ბაზარი ძალიან მოქნილია, რაც იმას ნიშნავს, რომ დამსაქმებლისთვის დაქირავებულის გათავისუფლება იოლი და იაფი პროცესია. დანიაში ადამიანები სამუშაო ადგილებს და კარიერასაც კი მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყნის წარმომადგენლებზე ხშირად იცვლიან. ეს ძალიან პოზიტიური მოვლენაა. თანამედროვე გლობალური ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსახლეობა, რომელიც ერთ მუდმივ სამსახურზე არ არის მიჯაჭვული და საჭიროების შემთხვევაში, დასაქმების ადგილის ცვლილების გამო დისკომფორტს არ განიცდის.

■ საქართველომ სხვა მხარეს გადაუხვია, რაც ევროპაში და აშშ-ში შეუმჩნეველი არ დარჩენილა. საქართველოს ხელისუფლების პროფკავშირებისადმი აგრესიული დამოკიდებულება ბრიუსელისთვის და ვაშინგტონისთვის მტკივნეულ თემად იქცა.

ნაკლებად მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში შრომა ისეთივე ძვირი გახდეს, როგორც ჰოლანდიაში ან ესპანეთშია. თუმცა ისიც მართალია, რომ ესპანეთში და ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ადამიანის სამსახურიდან გათავისუფლება იმდენად რთული პროცესია, რომ დამსაქმებლებისთვის ახალი თანამშრომლების დაქირავება გამოწვევას წარმოადგენს. ამიტომაც, პრობლემა არა მაღალ ხელფასებში ან სამუშაო ძალის ძვირადღირებულობაში, არამედ პროფკავშირების მიერ უაღრესად რეგულირებულ და დაცულ დასაქმების უსაფრთხოების მექანიზმებშია, რაც ადამიანებს დასაქმების შესაძლებლობის მიღმა ტოვებს. ესპანეთს ევროკავშირში ყველაზე მაღალი უმუშევრობა აქვს.

საქართველომ სხვა მხარეს გადაუხვია, რაც ევროპაში და აშშ-ში შეუმჩნეველი არ დარჩენილა. საქართველოს ხელისუფლების პროფკავშირებისადმი აგრესიული დამოკიდებულება ბრიუსელისთვის და ვაშინგტონისთვის მტკივნეულ თემად იქცა. საკმარისია გავიხსენოთ მასწავლებლები და ქუთაისის ფოლადის ქარხანა. მასწავლებლების მიმართ ხელისუფლებას ცვალებადი, საზოგადოებისთვის ნაკლებად გამჭვირვალე პოლიტიკა გააჩნია, რომლის შესრულების ხარისხიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამის გათვალისწინებით სრულიად გასაგებია მასწავლებლების მხრიდან დამოუკიდებელ პროფკავშირებში გაერთიანების სურვილი, რაზეც ხელისუფლებამ სრულიად მიუღებელი რეაქცია გამოიჩინა. ეს უსამართლო და არაგონივრულია. ასევე ლოგიკური იყო ქუთაისის ფოლადის ქარხანაში გაჩენილი საჩივრებიც. ხელისუფლებამ აქაც არაგონივრული რეაქცია გამოიჩინა. მოგვიანებით ხელისუფლებამ თავისი საწყისი ქმედების გამოსწორება სცადა, თუმცა ბევრს სჯერა, რომ პირველმა რეაქციამ მისი ნამდვილი დამოკიდებულება გამოაჩინა.

ეკონომიკური ზრდის გარდა სხვა არაერთ მიზანზეა საუბარი. საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობები გააჩნია, რომელთაგან ზოგს უკვე მოაწერა ხელი, ზოგის გაფორმება კი მომავალში მოუწევს, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე ელიტარული კლუბის, მაგალითად, ევროკავშირის თავისუფალი სავაჭრო ზონის წევრობა სურს. სახელმწიფოს დასაქმებულების სამუშაო გარემოს უსაფრთხოება უნდა სურდეს. პროფკავშირების გაქრობის ნაცვლად, მას მისი ირელევანტურობის დემონსტრირება უნდა სურდეს. სამთავრობო გუნდმა იდეოლოგია უკან უნდა მოიტოვოს და პროფკავშირების არსებობის ჭეშმარიტ მიზნებს დაუკვირდეს, რაც ლეგიტიმური მიზნების მიღწევის ერთ-ერთი გზაა. ერთმანეთთან საუბრისთვის ადამიანების გათავისუფლება ვერასოდეს გახდება გონივრული გრძელვადიანი სტრატეგიის საფუძველი.

წარმოშობის პარადოქსი და ქართული ექსპორტი

კონსტანტინე ვეკუა
ფერმერი

როგორ უნდა დაიმკვიდროს ქართულმა პროდუქციამ ადგილი „შვეიცარიული საათების“, „ფრანგული ღვინისა“ და „გერმანული მანქანების“ ეპოქაში? წარმოშობის პარადოქსი – არის თუ არა ეს გადაულახავი ბარიერი ქართული კომპანიებისთვის?

რა პერსპექტივა აქვს ქართულ პროდუქციას უცხოეთის ბაზრებზე? ვგულისხმობ არა მხოლოდ იმას, თუ რა შეგვიძლია შევთავაზოთ, არამედ რამდენად მომგებიანად შევძლებთ ჩვენი ნაშრომის რეალიზებას.

ამის შესახებ ყველაზე რეალურ წარმოდგენას თქვენი კომპანიის პროფილის შესაბამისი გამოფენის სტუმრობა და თქვენს პოტენციურ კლიენტებთან გულახდილი საუბარი შეგიქმნით. ჩვენი კომპანია აგრარულ სექტორში მუშაობს და რამდენიმე თვის წინ ბერლინში ერთ-ერთ უდიდეს აგრარულ გამოფენაზე ვიმყოფებოდით. ყველაზე მეტად გვაინტერესებდა, რა კრიტერიუმებით შეფასდებოდა ჩვენი ნაწარმი. ზოგადად, შეფასების კრიტერიუმებს ვგულისხმობ და არა – ერთ ერთეულ კილოგრამზე კონკრეტულ ფასს. ყველაზე ხშირად ასეთი წინადადება გვესმოდა: „არა აქვს მნიშვნელობა, სჯობია თუ არა თქვენი ნაწარმი ხარისხითა და გემოთი იტალიურ და ბერძნულ ანალოგებს. მიუხედავად ყველაფრისა, თქვენი პროდუქციის ფასი იტალიურ და ბერძნულ ნაწარმზე დაბალი უნდა იყოს, რადგან თქვენი ქვეყანა მომხმარებელთა შორის ამ პროდუქტთან არ ასოცირდება. თავიდან ასე უნდა იყოს და მერე ვნახოთ“.

ერთი შეხედვით უსამართლობაა – თუ უკეთესია, რატომ არ უნდა დაიმსახუროს უფრო მაღალი შეფასება, ანუ უფრო მაღალი ფასი?! მოგვიანებით გავიგეთ ასეთი ტერმინი: წარმოშობის პარადოქსი. ამ ტერმინმა და მისმა განმარტებამ ნიუანსებზე დაგვაფიქრა.

რას ნიშნავს წარმოშობის პარადოქსი? ასე დაარქვა პირველად ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა როჰით დეშპანდემ მომხმარებლის მიერ „ნამდვილობის“ (authenticity) შეხედულებების გამომუშავებას დროთა განმავლობაში: შვეიცარიული საათები, ფრანგული ღვინო, გერმანული მანქანები და სხვა.

ჩვენმა კომპანიებმა უნდა გააკეთონ არჩევანი ხარისხზე, მის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე. და ეს უნდა შეეხოს უმცირეს დეტალებსაც. ყველაფერი გათვლილი უნდა იყოს.

პროდუქტის ფასს განაპირობებს არა მხოლოდ მისი ხარისხი, შეფუთვა და მიწოდების სიადვილე, არამედ ისიც, თუ რომელ ქვეყანაშია ეს პროდუქტი წარმოებული. ანუ მწარმოებელი ქვეყნის მიმართ არსებული ფაქტობრივი და წარმოსახვითი შეხედულებები მნიშვნელოვნად ზემოქმედებს პროდუქტის ფასზე.

მაგალითი: ერთი ვენესუელური კომპანია კაკაოთი ამარაგებს ცნობილ შვეიცარიულ შოკოლადის კომპანიებს და თავადაც აწარმოებს შოკოლადს, მაგრამ მისი პროდუქტი გაცილებით ნაკლებ ფასად იყიდება, ვიდრე იმავე კაკაოთი, ოღონდ შვეიცარიაში დამზადებული შოკოლადი.

სავაჭრო ფირმები და საცალო ქსელები ყოველთვის შეეცდებიან მომხმარებელთა შეხედულებები ფასწარმოქმნის დროსაც გამოიყენონ და რაც შეიძლება ნაკლები ფასი დაადონ ახალი, ნაკლებად ცნობილი ქვეყნიდან შეთავაზებულ პროდუქტს.

არის თუ არა ეს გადაულახავი ბარიერი ქართული კომპანიებისთვის? ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად ირაციონალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე და სრულიად უიმედოდ გვეჩვენება ფანებად ქცეული მომხმარებლების ჩვენკენ მობრუნება. თუმცა, სანამ გამოსავლის ძებნას დავიწყებთ, უფრო ღრმად დავუკვირდეთ ამ ერთი შეხედვით „სამუდამო ერთგულების“ გამომწვევ მიზეზს: ჩვენ სპეციალურად გამოვიყენეთ შემდეგი სიტყვები „წარმოშობის პარადოქსის“ ახსნისას: „შეხედულებების გამომუშავება დროთა განმავლობაში.“ ხომ გაგიგიათ კამათი რომელიმე პროდუქტზე, რომელიც „თავიდან ხარისხიანი იყო და მერე გააფუჭეს“? ხარისხის შექმნა, მისი შენარჩუნება და თუ შესაძლებელია, გაუმჯობესება არის მთავარი საშუალება იმისთვის, რომ ახალ მომხმარებლებს დროთა განმავლობაში ნდობა გამოუმუშავდეთ ახალი პროდუქტის მიმართ. ამის ერთ-ერთი ბოლო მაგალითია „ჰიუნდაი“, რომელიც თავიდან

მხოლოდ „ფასზე მუშაობდა“, ახლა კი ხარისხის გაუმჯობესებით მაღალფასიან მოდელებსაც წარმატებით ყიდის. ქვეყნებს შორის კი იაპონია არის ყველაზე სარწმუნო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეძლო წარმოშობის პარადოქსის დამარცხება არამარტო ერთმა კომპანიამ ან ერთმა სექტორმა, არამედ თითქმის ყველა სექტორმა. 50-60 წლის წინ ნებისმიერ იაპონურ ნაწარმზე ალბათ ისეთივე რეაქცია ექნებოდათ მომხმარებლებს, როგორიც დღეს ჩვენს პროდუქციაზე აქვთ.

გამოდის, რომ ფასის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი არის „ხარისხის მუდმივად მიწოდების გარანტია“. კლიენტი, რომელიც 5, 10 და 15 წელი მუდმივად ხარისხიან პროდუქტს იღებს ერთი და იმავე კომპანიიდან ან ერთი რეგიონის რამდენიმე კომპანიიდან, ის ბუნებრივად უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს ნაკლებად ცნობილი ქვეყნის ნაკლებად ცნობილ მომწოდებელს.

გამოსავალი სწორედ ისაა, რომ ჩვენმა კომპანიებმა გააკეთონ არჩევანი ხარისხზე, მის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე. და ეს უნდა შეეხოს უმცირეს დეტალებსაც. ყველაფერი გათვლილი უნდა იყოს.

მაგალითად, კარგია, რომ ქართული კომპანიებიც ათავსებენ თავიანთ სტენდებს სუპერმარკეტებში, თუმცა დაუფიქრებლობა და უხარისხობაა, როდესაც ასეთ სტენდებს მახვილი კუთხეები აქვთ, სადაც მომხმარებელმა შეიძლება შემთხვევით თითი გაიჭრას. ხარისხიანი პროდუქტი შედგება 10, 20 ან შეიძლება უფრო მეტი კომპონენტისგან და 20-ივე კომპონენტი ხარისხიანი უნდა იყოს.

ხარისხს არ განსაზღვრავს მხოლოდ შეფუთვა. უცხოელ კლიენტებთან მომზადებულად მისვლა, გონივრული ფასის შეთავაზება და მიცემული პირობის შესრულება ასევე პირდაპირ განაპირობებს ჩვენ შესახებ შეხედულებების ფორმირებას. მიცემული პირობის შესრულების მხრივ რომ მძიმე მდგომარეობა გვაქვს, ამას ერთი მაგალითი ადასტურებს: ქართული კომპანიების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა უცხოეთში პროდუქციის შეძენისას საფასურს წინასწარ იხდის, ხოლო უცხოეთში ქართული ნაწარმის ექსპორტისას, პირიქით, კონსიგნაციის პირობაზე (ანუ „პოსლეზე“) დათანხმება უწევს. ანუ, ქართულ კომპანიებთან ურთიერთობის შემთხვევაში უცხოელი პარტნიორების საფიქრალი მხოლოდ პროდუქციის ხარისხი კი არ არის, არამედ ისიც, მივაწოდებთ თუ არა ამ პროდუქციას საერთოდ. ასეთი საშიშროების გამო, რა თქმა უნდა, ფულს წინასწარ არავინ გადმოგვირიცხავს.

ასევე, არ იქნება საკმარისი, რომ მხოლოდ ერთეულმა კომპანიებმა შეძლონ საუკეთესო ხარისხის პროდუქტის წარმოება. სხვა ქართული კომპანიების უხარისხო საქონელი მუდამ ხელს შეუშლის ხარისხიან ქართულ პროდუქტს ადგილის დამკვიდრებაში. ასეთ შემთხვევაში, ქართული კომპანიების უმეტესობას თავიანთი პროდუქტის ნაკლებ ფასად ექსპორტი მოუწევთ. ნაკლები ფასი ნაკლები მოგებაა, ნაკლები მოგება კი – ნაკლები რეინვესტიცია.

"პოლიტიკა, ჩოგბურთს სახელმწიფო, მოქალაქის სამსახურში უნდა იყოს"

ინტერვიუ „გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის“ წარმომადგენელთან,

როლანდ ვერნერთან

საქსონიის ეკონომიკის, შრომისა და ტრანსპორტის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, როლანდ ვერნერი „გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის“ წამომადგენელია და საქართველოში გერმანული ფონდის, „ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის“ ხელშეწყობით ჩამოვიდა. „გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტია“ მეორე მსოფლიო ომამდე „გერმანიის სახალხო პარტია“ იყო, ამჟამინდელი სახით კი ომის შემდეგ ჩამოყალიბდა. „თავისუფალი დემოკრატები“ გერმანიაში „სოციალ-დემოკრატიული“ და „ქრისტიან-დემოკრატიული“ პარტიების შემდეგ, სიდიდით მესამე პარტიაა და ლიბერალური იდეოლოგიით გამოირჩევა.

საქართველოში პირველად 15 წლის წინ ვიყავი, მაინტერესებდა, მას შემდეგ როგორ შეიცვალა სიტუაცია. ჩვენი, როგორც გერმანული ლიბერალური პარტიის, ადგილობრივი პარტნიორი „რესპუბლიკური პარტიაა“. არსებობს საერთაშორისო ლიბერალური გაერთიანება – ლიბერალური ინტერნაციონალი, რომელიც მსოფლიოს ლიბერალურ პარტიებს აერთიანებს. ამ გაერთიანების წევრები არიან „გერმანიის თავისუფალი დემოკრატები“ და საქართველოდან „რესპუბლიკელები“.

ტრადიციულად, თქვენი პარტია გერმანიაში კლასიკური ლიბერალური პარტიაა თავისი ღირებულებებითა და ეკონომიკაში მემარჯვენე მიდგომებით. დღეს როგორი პრიორიტეტები გაქვთ, ხომ არ შეცვლილა თქვენი მიდგომები?

ჩვენ ვემხრობით აბსოლუტურად თავისუფალ დემოკრატიულ პოლიტიკას, სოციალურ საბაზრო ეკონომიკას, სადაც გარკვეული ჩარჩოები არსებობს. ეს თამაშია, სადაც წესებს ემორჩილები და სადაც თვალთახედვიდან არასდროს გამოგრჩებიან მოსახლეობის სუსტი ფენები, რომლებსაც კონკურენციის გაწევა არ შეუძლიათ. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფო დაწესებულებები, სასამართლოები რეალურად დამოუკიდებლები იყვნენ და არ უწევდეთ რაიმე სხვა ძალისთვის ანგარიშის გაწევა.

ჩვენთვის მოქალაქეობრივი თავისუფლება ზუსტად ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ეკონომიკური თავისუფლება. აუცილებელია, მოქალაქეს დამოუკიდებელი სასამართლოს და დამოუკიდებელი

ინსტიტუტების იმედი ჰქონდეს. სამოქალაქო თავისუფლებას ჩვენთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

თქვენ ჩარჩოები ახსენეთ, რომელიც საბაზრო ეკონომიკისთვის არსებობს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, საბჭოთა გამოცდილებიდან გამომდინარე, უარყოფითად აღიქვამენ ეკონომიკის რაიმე სახით რეგულირებას და ჩარჩოებს თავისუფალ ბაზარზე. თქვენი პოლიტიკური თვალთახედვით, სად გადის ზღვარი ჩარჩოებსა და თავისუფლებას შორის?

საქმე ისაა, რომ საქსონია, საიდანაც მე ვარ, სულ რაღაც 20 წლის წინ ჯერ კიდევ აღმოსავლეთ გერმანიის, ანუ სოციალისტური ბლოკის შემადგენელი ნაწილი იყო. აქედან გამომდინარე, ჩვენთანაც ძალიან დიდი სკეპტიციზმია ბიუროკრატიისა და მმართველობის მიმართ. ბუნებრივია, თავისუფლებისადმი ძალიან დიდი სწრაფვა და თავისუფლების ნოსტალგიაც არსებობს. მაგრამ, თავისუფლება რეალურად მხოლოდ მაშინ განხორციელდება, როცა ის პასუხისმგებლობასთან იქნება დაკავშირებული. ეს მაშინ ხდება, როცა თქვენ გარკვეულ ჩარჩოებს ინარჩუნებთ. უპასუხისმგებლო იქნება მოდელი, სადაც მხოლოდ უფრო ძლიერი გაიმარჯვებს და სუსტი წააგებს.

ალბათ, გაქვთ გარკვეული ინფორმაცია საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. როგორ შეაფასებდით მას?

ამ კითხვაზე შემდეგნაირად შემიძლია გიპასუხოთ: 15 წლის წინ ერთი კვირა დავყავი საქართველოში. რა თქმა უნდა, მას შემდეგ უამრავი რამე უკეთესობისაკენ შეიცვალა და ეს თვალსაჩინოა, მაგრამ, ფაქტია, ძალიან ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი.

თქვენს პარტიას დავუბრუნდეთ, სიდიდით მესამე პარტია ხართ გერმანიაში, ხშირად მთავრობაში მოხვედრას ახერხებთ. რა ფაქტორები განაპირობებს თქვენს წარმატებას?

მგონი, ეს არის ძალიან მკაფიო შინაარსობრივი საფუძველი. პრაქტიკულად, ჩვენ თავისუფლების პარტია ვართ. ეს გულისხმობს არა მხოლოდ ეკონომიკურ თავისუფლებას, არამედ, საზოგადოებრივ თავისუფლებაზეც დიდი აქცენტია გაკეთებული.

რა თქმა უნდა, ამ ორ საკითხში ხან მეტი და ხან ნაკლები კონიუნქტურაა. ჩვენი მდგომარეობაც, ამის მიხედვით, ხან უმჯობესდება და ხან უარესდება. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ვართ თანმიმდევრულები და გარკვეული თემების, საკითხების ერთგული ვრჩებით, ყოველთვის ვლობირებთ მათ და ვფიქრობ, სწორედ ეს მოქმედებს ჩვენს მოქალაქეებზე.

ძალაუფლება ეფექტურად არის დაყოფილი. მაგალითად, დრეზდენს ან ლაიფციგს, შეუძლია მიიღოს საკუთარი გადაწყვეტილებები იმის მიუხედავად, მხარის მთავრობა და ფედერალური მთავრობა ამას მოიწონებს თუ არა.

17 წლის შემდეგ ჩვენ საგრძნობლად შევამცირეთ უმუშევართა რიცხვი. კრიზისის გამო შევამცირეთ საბიუჯეტო ხარჯები, მაგრამ ეს არ შეხებია ფულს, რომელიც განათლებისა და სამეცნიერო კვლევებისათვისაა განკუთვნილი. ამჟამად უკვე კარგი მაჩვენებლები გვაქვს და ჩვენი ფინანსები იზრდება.

თავისუფლება ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ის ჯანმრთელობას ჰგავს – როდესაც თავისუფლება გაქვს, მაშინ ვერ აფასებ, მაგრამ როცა კარგავ, მაშინ უკვე ძალიან ძვირფასი ხდება და მის დაფასებას იწყებ.

საზოგადოების რა ნაწილია თქვენი ყველაზე ერთგული ამომრჩეველი?

პრინციპში, ჩვენ საქსონიაში საზოგადოების ყველა ფენაში გვყავს ერთგული ამომრჩეველი. ვფიქრობ, თავისუფლებაზე ორიენტირებული პოლიტიკა არ გულისხმობს მხოლოდ გარკვეული ფენის წარმომადგენლებს ან გარკვეული განათლების მქონე ადამიანებს. ამას გარდა, პოლიტიკურ პარტიას ყველა ფენასთან უნდა შეეძლოს ლაპარაკი.

თქვენ როგორ ურთიერთობთ ამომრჩეველთან და ზოგადად, როგორია ამომრჩევლებთან ურთიერთობის კულტურა თქვენი პარტიისთვის?

„გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის“ სახელით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი პარტია ძალიან ახლოსაა მოსახლეობასთან. პოლიტიკა, ისევე, როგორც სახელმწიფო, მოქალაქის სამსახურში უნდა იყოს. ანუ, ყველანაირი ინსტიტუტი და პოლიტიკა მოქალაქეებისთვის არსებობს და არა პირიქით. ამიტომ, მაშინაც კი, როდესაც საარჩევნო პერიოდი არაა, ინტენსიურად ვსაუბრობთ მოსახლეობასთან. პრაქტიკულად, კამპანიას ვატარებთ არჩევნების გარეშეც. რეგულარულად ვუხსნით, თუ რატომ ვიღებთ კონკრეტულ გადაწყვეტილებას, რა მიზეზები გვაქვს და რა შედეგს ველოდებით.

საქართველოში საარჩევნო სისტემა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. ხშირად ხდება კრიტიკის საგანი ის ფაქტი, რომ მაჟორიტარ დეპუტატებს

პარლამენტის მანდატთა დიდი ნაწილი ეკუთვნით. ახალი კანონმდებლობით, მათი რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება და თითქმის უტოლდება პარტიულ მანდატებს. თქვენ როგორ შეაფასებთ ამგვარ საარჩევნო სისტემას?

ჩემთვის რთულია იმის შეფასება, კარგია ეს საქართველოსთვის თუ ცუდი. ნებისმიერმა ქვეყანამ და ცალკეულმა კულტურამ უნდა იპოვოს თავისი პოლიტიკური სისტემა. ჩვენ, გერმანიაში მაგალითად, გვაქვს პოლიტიკური სისტემა, რომელიც ძალიან ძლიერ პარტიულ სისტემას გულისხმობს. ჩვენი სისტემის ამ სახით ჩამოყალიბებაზე გავლენა ჩვენმა მძიმე ისტორიულმა წარსულმა იქონია და სიტუაციიდან გამომდინარე ასეთი მოდელი გახდა საჭირო.

დღეს გერმანიაში სხვადასხვა მიმართულების დემოკრატიული პოლიტიკური პარტიები არსებობს, თუმცა, თითოეული მათგანი უკვე სტაბილურადაა ჩამოყალიბებული და არჩევნების დროს მათ უკვე თავიანთი ნიშა აქვთ. ჩვენი სისტემა პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნების შერეული სისტემაა. პრინციპში, ჩვენთან როგორც მხარეების, ასევე ფედერალურ დონეზე, წარმომადგენლობა ძირითადად სიების მიხედვითაა, მაგრამ გვყავს პირდაპირი წესით არჩეული მაჟორიტარი დეპუტატებიც. თუმცა, სტაბილურობას მაინც იმ სიებით ვაღწევთ, რომელსაც პარტიები გვთავაზობენ.

თანმიმდევრული პოლიტიკის წარმოებისთვის რა მნიშვნელობა აქვს პარტიულ მანდატებს, თუ ახდენს გავლენას დეპუტატების არჩევის წესი ამ ფაქტორზე?

მაჟორიტარი დეპუტატებიც, პრინციპში, პარტიების წარმომადგენლები არიან. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენთან უმრავლესობა საკმაოდ ხშირად იცვლება. მთავრობის მუდმივი ცვლილება ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ნაწილია, ეს არსებული რეალობაა, რომელსაც უნდა შევეგუოთ – სწორედ ცვალებადობა გამოხატავს პოლიტიკაში არსებულ თანამიმდევრულობას. ის პოლიტიკოსები, რომლებიც შემდეგ მთავრობაში მოდიან, პარტიაშიც იყვნენ გარკვეული პასუხისმგებლობის მატარებლები. აქედან გამომდინარე, მათი მოქმედებები მაინც თანამიმდევრულია. პრაქტიკულად, ეს ფაქტორი პლურალიზმის განმაპირობებელია. ამას გარდა, მთავრობის ხშირი ცვლა გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილე ბევრ გამოცდილ პოლიტიკოსსაც ნიშნავს, რომელთაც პასუხისმგებლობის თავიანთ თავზე აღება შეუძლიათ.

პოლიტიკის თანმიმდევრულობაზე საუბრისას გასათვალისწინებელია, რომ ჩვენთან, გერმანიაში, ძალიან მაღალია დეცენტრალიზაციის ხარისხი.

რატომ არის მნიშვნელოვანი ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არსებობა და საქართველოში თუ ხედავთ ამის პერსპექტივას?

ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილებები სწორედ იქ მიიღონ, სადაც შემდგომ უნდა განხორციელდეს.

გერმანია დაყოფილია 16 მხარედ და ამოცანების გარკვეულ ნაწილს მთლიანად მხარეები წყვეტენ, ხოლო საკითხთა მეორე ნაწილისთვის პასუხისმგებელი უკვე ფედერალური მთავრობაა. ჩვენი დეცენტრალიზაცია კიდევ უფრო შორს მიდის, ჩვენ ფედერალურ მიწებს შიგნით გვაქვს კომუნები და ძალიან ძლიერი კომუნალური პარლამენტები.

პლურალიზმის საუკეთესო გაგებით, ძალაუფლება ეფექტურად არის დაყოფილი. მაგალითად, დრეზდენს ან ლაიფციგს, შეუძლია მიიღოს საკუთარი გადაწყვეტილებები იმის მიუხედავად, მხარის მთავრობა და ფედერალური მთავრობა ამას მოიწონებს თუ არა.

ძალაუფლების სხვადასხვა დონეზე გადანაწილება, ძალიან სასარგებლოა პოლიტიკური სისტემისათვის. ეს არის ჩვენი გამოცდილება გერმანიაში, მაგრამ საქართველოსთვის რა არის კარგი, ეს თვითონ ქართველებმა უნდა გადაწყვიტონ.

ბოლოს: ეკონომიკურ კრიზისზე, რომელთან გამკლავებაც მთელ მსოფლიოს მოუწია, მათ შორის, ევროპასაც. როგორ აისახა კრიზისი თქვენ მხარეზე, საქსონიაზე და რა ზომების მიღება მოგიწიათ?

სხვათა შორის, ეკონომიკურ კრიზისს საქსონიაზე ისეთი გავლენა არ ჰქონია, როგორც ევროპის სხვა ნაწილებზე. მაგრამ, ეს სასიხარულო ფაქტორი ჩვენს ერთ სისუსტეს უკავშირდება – კრიზისი საგრძნობლად იმიტომ არ შეგვეხო, რომ ჩვენ სათანადოდ არ ვყოფილვართ ჩართული საექსპორტო საქმიანობაში. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა ის ქვეყნები და მხარეები უფრო დააზარალა, რომლებიც აქტიურ საექსპორტო საქმიანობას ეწეოდნენ. საქსონიაში კი ეს კრიზისი იმისთვის გამოვიყენეთ, რომ ჩვენს მხარეში რეფორმები გაგვეტარებინა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში, ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, ძალიან ბევრი პრობლემა გვქონდა მოსაგვარებელი და 17 წლის შემდეგ ჩვენ საგრძნობლად შევამცირეთ უმუშევართა რიცხვი. კრიზისის გამო შევამცირეთ საბიუჯეტო ხარჯები, მაგრამ ეს არ შეხებია ფულს, რომელიც განათლებისა და სამეცნიერო კვლევებისათვისაა განკუთვნილი. ამჟამად უკვე კარგი მაჩვენებლები გვაქვს და ჩვენი ფინანსები იზრდება.

ფინანსური ზრდის პირობებში, რა სფეროებში ჩადებთ ყველაზე მეტ სუბსიდიებს, რა არის თქვენი პრიორიტეტები?

სხვათა შორის, სწორედ ამ დღეებში უნდა მივიღოთ ეს გადაწყვეტილებები. თუმცა ჩვენი პრიორიტეტები ცალსახად არის განათლება, განათლება და განათლება.

ესაუბრა ანი ჭანკოტაძე.

ზუგდიდის თეატრი

ესახსრო ზუგდიდის თეატრი

მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდის თეატრში ცივა და განათებაც ცუდია, მაყურებელი აქ მაინც დადის. თუმცა, თეატრის შენობა ნელ-ნელა ინგრევა და დასი შველას ითხოვს.

ავტორი, ფოტო: მალხაზ ჭკადუა

საღამოს 7 საათია. ორასამდე ადამიანი, ძირითადად – ახალგაზრდები, თეატრის შესასვლელთან გროვდებიან. მსახიობ გიორგი ფოჩხუას რეჟისორობით დადგმული სპექტაკლის, „აღსარების“ წარმოდგენა იწყება.

დარბაზში სიცივეა და საკმარისად განათებულიც არ არის, თუმცა ზუგდიდელებს, რომლებსაც ყოველდღიურობის გახალისება სურთ და თეატრი უყვართ, სხვა ალტერნატივა არ აქვთ.

შენობაში, რომელსაც ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატული თეატრი ჰქვია, თითქმის ყველაფერი მოშლილია – გათბობა, სცენის განათების სისტემა, აკუსტიკა, გარდერობი, საგრიმიოროები, წყალგაყვანილობა. თეატრი დღემდე მხოლოდ 14-კაციანი დასის ენთუზიაზმზე დგას და შველას ითხოვს.

ყოველი სამუშაო დღე თეატრის თანამშრომლებისთვის დალაგებით იწყება – მსახიობიან-დამლაგებლიანად ყველა კედლებიდან ჩამოცვენილ ბათქაშს გვის.

თეატრის მეორე სართულზე, სადაც ერთ დროს დეკორაციები მზადდებოდა, აკრობატული ილეთები გჭირდება, რომ ჩამოცვენილი ბათქაშის, აგურების და ძველი ფიცრების გროვაში გაიარო. თეატრალური ინვენტარის ნაცვლად აქ წყლის დიდი რეზერვუარი დგას.

„წყლის სისტემა რომ მოიშალა, ეზოში ჭა გავათხრევინეთ, რომ ხელები მაინც დაგვებანა... მრიცხველი დაგვიყენეს. სასაცილო კი არის, მაგრამ ვიხდით, აბა, რა ვქნათ“, – ამბობს მსახიობი ზურაბ ლაშხია, რომელიც თეატრში 1974 წლიდან მუშაობს და ზუსტად იცის, შენობის რომელ ნაწილში რა პრობლემაა.

თეატრი, უკვე 20 წელია, ნელ-ნელა ინგრევა. 90-იანი წლების დასაწყისში აქ „მხედრიონელებსაც“ „უცხოვრიათ“. კვალიც დარჩა – კედლებზე სამიზნეებს ხატავდნენ თურმე და დანის სროლაში ვარჯიშობდნენ. შენობას რამდენიმე ნატყვიარიც ამჩნევია, რომელიც იმავე პერიოდიდან შემორჩა.

ზუგდიდის თეატრის შენობა 1947 წელს აუშენებიათ და მას შემდეგ თითქმის არ გარემონტებულა. ასაკი კიდევ უფრო დაეტყობოდა, თეატრის პერსონალი ჩამონგრეულ კედლებს ძველი ფოტოებითა და აფიშებით საგულდაგულოდ რომ არ ფარავდეს.

ერთ შემოდგომაზე, ვიდრე წვიმების სეზონი დაიწყებოდა, თეატრის თანამშრომლებმა შენობის სახურავის მარჯვენა, უფრო დაზიანებული მხარე შეაკეთეს. მხოლოდ ამისთვის ეყოთ ფული. თუმცა, წყალმა გზა მაინც იპოვა და




თეატრი ისე დატბორა, რომ თანამშრომლებმა ხელი ჩაიქნიეს.

2010 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებით, თეატრისთვის 10 ათასი ლარი გამოიყო – გადაიხურა სახურავის ნაწილი.

„მართალია, ახლა სცენას არ აწვიმს, მაგრამ აწვიმს მაყურებლებს. რომანტიკაა, ვერაფერს იტყვი", – ხუმრობს ახალგაზრდა მსახიობი გიორგი ფოჩხუა, რომელმაც თბილისის თეატრალური უნივერსიტეტი დაამთავრა და შემდეგ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა.

თეატრის არქივში ინახება ძველი სეზონის აფიშა, სადაც თვალსაჩინო ადგილზე წერია: „თეატრი თბება". დღეს ეს წარწერა აქ ყველას დაუჯერებლად ეჩვენება.

„სხვა თეატრებში კაპიტალური რემონტი გააკეთეს, ევროსტანდარტებით მოაწყვეს საგრიმიოროები, მოსასვენებელი ოთახები, დარბაზიც, სცენაც განაახლეს. გვინდა, რომ მუშაობის ნორმალური საშუალება გვქონდეს, არ ვიყინებოდეთ, არც მაყურებელი ითოშებოდეს. შარშან „სტუმარ-მასპინძელს" რომ ვდგამდით, ორჯერ დამემართა ფილტვების ანთება", – ფოჩხუა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთხელ შეხვდა, თუმცა უშედეგოდ.

თეატრის ხელმძღვანელის მაია კალანდიას თქმით, თეატრის პრობლემების მოგვარება მთლიანად რეგიონის ხელმძღვანელობის კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული, ისე, როგორც ეს კომუნისტების დროს იყო.

„როგორც საბჭოთა დროს, დღესაც, პირველ პირებზეა ბევრი რამე დამოკიდებული. ისეთი კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქს, როგორიც ზუგდიდია, განახლებული თეატრი ნამდვილად სჭირდება", – მაია კალანდია დიდხანს და ენთუზიაზმით ჰყვება თეატრის ისტორიას და საკუთარ მონათხრობს საარქივო მასალებით ამყარებს.

თეატრში ამბობენ, რომ რეგიონის ყოფილ გუბერნატორს ზაზა გოროზიას არასდროს გამოუჩენია დასისადმი ყურადღება, არც შენობაში არსებული პრობლემებით დაინტერესებულა. თანამშრომლები იმასაც იხსენებენ, რომ პრობლემებზე ღიად საუბრის გამო მსახიობებს ადგილობრივ თვითმმართველობაში „ოპოზიციონერებად" მოიხსენიებდნენ.

თეატრისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 156 ათასი ლარია გათვალისწინებული, რომლის დიდი ნაწილი 27 თანამშრომლის ხელფასის გაცემას ხმარდება.

„წყლის სისტემა რომ მოიშალა, ეზოში ჭა გავათხრევინეთ, რომ ხელები მაინც დაგვებანა... მრიცხველი დაგვიყენეს. სასაცილო კი არის, მაგრამ ვიხდით, აბა, რა ვქნათ“, – ამბობს მსახიობი ზურაბ ლაშხია.

„სახელფასო ფონდის შემდეგ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხიდან სულ 30 ათასი ლარი გვრჩება. რომელს მივხედოთ: ჭერს, საგრიმიოროს, რეკვიზიტებს თუ პრემიერებს. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში მოქმედი თეატრებიდან ჩვენს თეატრს წლის განმავლობაში ყველაზე მეტი პრემიერა აქვს, ყველაზე ნაკლებად სწორედ ზუგდიდი ფინანსდება“, – ამბობს მაია კალანდია. იგი იხსენებს, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ პრემიერისთვის მხოლოდ ორჯერ გადმორიცხა 7 ათასი ლარი.

„ახალი სპექტაკლის დადგმას სულ მცირე, 10 ათასი ლარი სჭირდება. არსად თეატრი ფინანსურად მომგებიანი არ არის, არ გვაქვს იმის ილუზია, რომ სპექტაკლებიდან დიდ შემოსავალს მივიღებთ. ჩვენ სულ სხვა მისია გვაქვს – ვცდილობთ, ხალხს ცხოვრება ცოტათი შევუმსუბუქოთ. ჩვენს რეგიონში ბევრი დევნილია, ვცდილობთ ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს თეატრში მოსვლა. პრემიერაზე ბილეთის ფასი 3 ლარია, არასაპრემიერო ჩვენებაზე კი 1 ლარი. ხშირად უფასო წარმოდგენებიც გვაქვს, ოღონდ ახალგაზრდები დავაინტერესოთ“.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორი გურამ მისაბაშვილი ამბობს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში თეატრის გარემონტების საკითხი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

„თუმცა, ჯერ თავად უნდა მივიდე და ვნახო, რა მდგომარეობაშია შენობა. დავსახავთ კონკრეტულ გეგმას და ვფიქრობ, სამუშაოები მომავალი წლის ზაფხულში დაიწყება“, – ამბობს მისაბაშვილი.

"ქართული ოცნება" დარეგისტრირდა

სამოქალაქო მოძრაობის დაარსება ბიძინა ივანიშვილის, როგორც პოლიტიკოსის, პირველი ნაბიჯია.

მაია წიკლაური

28 ნოემბერს საჯარო რეესტრში ოფიციალურად დარეგისტრირდა არასამეწარმეო იურიდიული პირი „ქართული ოცნება". რეესტრში აღნიშნულია, რომ ეს არის სამოქალაქო მოძრაობა, რომლის თავმჯდომარეა საფრანგეთის მოქალაქე ბიძინა ივანიშვილი. ორგანიზაციაში წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები ივანიშვილთან ერთად არიან: სამხედრო ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი ვოლსკი და „თავისუფალი დემოკრატების" გამგეობის წევრი, იტალიაში საქართველოს ყოფილი ელჩი ზაალ გოგსაძე.

წესდების მიხედვით, ორგანიზაციის ძირითადი მიზნები შემდეგია: „ქართული სახელმწიფოს სიძლიერის, თავისუფლებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების, თავისუფალი მედიის განვითარებისათვის ხელშეწყობა; ქართული ეთნო-კულტურული ტრადიციების დაცვა და პოპულარიზაცია; ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებისა და თვითმყოფადობის დაცვა, მათი ქართველ საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა; თავისუფალი არჩევნების ხელშეწყობა და არჩევნების მონიტორინგი; სახალხო დიპლომატია; თვითმმართველობის განვითარების, თავისუფალი მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა; კულტურული და სამეურნეო მემკვიდრეობის დაცვა და სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით".

ერთი საათით ადრე, ვიდრე ორგანიზაცია „ქართული ოცნება" ოფიციალურად დარეგისტრირდებოდა, ივანიშვილის პრესსამდივნომ საჯარო რეესტრი პროცესის უკანონოდ გაჭიანურებასა და პოლიტიკური ოპონენტის დევნაში დაადანაშაულა. პრესსამდივნოს განცხადებით, „ქართული ოცნების" დასაფუძნებლად განაცხადი რეესტრში 4 დღით ადრე შეიტანეს, თუმცა რეგისტრაცია დაგვიანდა.

უკვე დარეგისტრირებული სამოქალაქო მოძრაობის ოფიციალური პრეზენტაცია 11 დეკემბერს ფილარმონიაში შედგება. პრეზენტაცია უფრო ადრე – 25 ნოემბერს იყო დაგეგმილი, თუმცა ივანიშვილის პრესსამდივნოს ცნობით, „ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობების" გამო ღონისძიებისათვის საჭირო ფართი იმ დროს ვერ იქირავეს.

სამოქალაქო მოძრაობა ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის, როგორც პოლიტიკოსის, პირველი პროექტია. საფრანგეთის მოქალაქე ივანიშვილს საქართველოში პოლიტიკური პარტიის დაფუძნების უფლება არ აქვს, ამიტომ მისთვის მოქალაქეობის დაბრუნების მოთხოვნით მთელი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები ხელმოწერებს აგროვებენ. თბილისის ქუჩებში შეიძლება ასეთ განცხადებასაც წააწყდეთ: „საქართველოს მოქალაქეები მოვითხოვთ მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილსა და მის მეუღლეს ეკატერინე ხვედელიძეს". ამ მეთოდით დღეისათვის 160 ათასამდე ხელმოწერაა შეგროვილი.

თუმცა, ივანიშვილისა და მისი მეუღლისათვის მოქალაქეობის ხელახლა მინიჭების საკითხი პირადად პრეზიდენტმა სააკაშვილმა უნდა გადაწყვიტოს. ივანიშვილს პრეზიდენტისთვის ამ თხოვნით ჯერ არ მიუმართავს. ბიზნესმენის მოქალაქეობის საკითხს უკვე სააპელაციო სასამართლო განიხილავს. ამ საკითხზე მოსამზადებელი სხდომა 5 დეკემბერსაა ჩანიშნული. ივანიშვილისა და მისი მეუღლისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხს სახალხო დამცველის აპარატიც სწავლობს.

მოქალაქეობის აღდგენაზეა დამოკიდებული, თუ რა ფორმით ჩაერთვება 55 წლის ბიზნესმენი ქართულ პოლიტიკაში და როგორ გამოიყენებს მოსახლეობის იმ მხარდაჭერას, რომელიც პირველი განცხადებების შემდეგ მოიპოვა.

28 ნოემბერს, კვლევითი ცენტრის IPM-ის შემთხვევითი მეთოდით ჩატარებული გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდა. გამოკითხულთა 41-მა პროცენტმა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა პოზიტიურ მოვლენად შეაფასა. ბიზნესმენის პოლიტიკაში გამოჩენის მიმართ ნეგატიურად 16 პროცენტია განწყობილი. გამოკითხულთა 43 პროცენტი კი ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილი თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას შეძლებს.

IPM-ის კვლევის ანალიზში წერია, რომ ივანიშვილის გუნდის მთავარი გამოწვევა „ნაციონალური მოძრაობის", როგორც უალტერნატივო ძალის, იმიჯის დაძლევა იქნება. კვლევის ანალიზის მიხედვით, დღევანდელ პოლიტიკურ გარემოში ახალი პოლიტიკური ძალა მხოლოდ მაშინ შეძლებს გამარჯვებას, თუ რამდენიმე სეგმენტზე ერთდროულად გააკეთებს აქცენტს.

„ბიძინა ივანიშვილს უკვე აქვს „ქველმოქმედის", „მამულიშვილის" რეპუტაცია. თუმცა მას მეტი მხარდაჭერისათვის სჭირდება დინამიკა (ანუ პიარი) და კომპეტენცია. აქ ბიძინა ივანიშვილს აქვს არა იმდენად პრობლემები, რამდენადაც ცარიელი ადგილი. როგორც ყოველთვის, საქართველოში პიარი იგებს არჩევნებს", – აღნიშნავენ კვლევის ავტორები.

IPM-ის გათვლებით, ივანიშვილის რესურსი საქართველოში ამომრჩეველთა 53 პროცენტია. კვლევის მიხედვით, ივანიშვილის მომხრეებში ის ადამიანები მოიაზრებიან, ვინც რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას (ტერიტორიუ-

ლი მთლიანობის აღდგენა, რუსეთის ბაზრის გახსნა) ემხრობა, უკმაყოფილოა მიხეილ სააკაშვილის საქმიანობით და ქვეყნის განვითარების მიმართულებით.

რუსეთი ის მთავარი საკითხია, რაზეც ივანიშვილისა და ხელისუფლების პოზიციები მკვეთრად განსხვავდება. რუსეთთან დაკავშირებით ივანიშვილმა უკვე რამდენიმე განცხადება გააკეთა და ყველა გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია. ის რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების გზაზე აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტის მხარეებად აღიარებას ემხრობა, რაც გულისხმობს უსაფრთხოების გარანტიების მიცემას ამ რეგიონებისათვის, „მოლაპარაკებას მხარეებთან და არა – საერთაშორისო სამართლის სუბიექტებთან“.

ამ განცხადებების გამო უმრავლესობის წევრებმა ივანიშვილი კიდევ ერთხელ გამოაცხადეს რუსეთის ინტერესების გამტარებლად. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გოკა გაბაშვილმა განაცხადა, რომ ივანიშვილის პოზიცია სრულად ემთხვევა ჟენევის მოლაპარაკებებზე რუსული დელეგაციის პოზიციას, რომელსაც კრემლი ომის შემდეგ კბილებით იცავს.

მომავალ არჩევნებში ივანიშვილი, სავარაუდოდ, „რესპუბლიკელებთან“ და „თავისუფალ დემოკრატებთან“ ერთად ჩაერთვება. ორი პოლიტიკური პარტია და ივანიშვილის გუნდი უკვე ემზადება სამომავლო ქმედებებისათვის. ისინი 25 ნოემბერს ერთობლივი სამუშაო ჯგუფების შექმნაზე შეთანხმდნენ და სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და სოფლის მეურნეობის კუთხით გეგმავენ მუშაობას.

მომავალი არჩევნებისათვის ემზადება საქართველოს ხელისუფლებაც. იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც იურიდიულ პირებს პარტიების დაფინანსებას უკრძალავს და ფინანსურ ლიმიტებს აწესებს. ასევე წესდება ლიმიტი საწევრო შენატანზე. თუკი ცვლილება დამტკიცდა, ერთი პირი საწევროს სახით პარტიის ანგარიშზე წლის განმავლობაში 1200 ლარზე მეტ თანხას ვერ შეიტანს. გარდა ამისა, პარტიამ წლის განმავლობაში საქართველოს შიდა პროდუქტის 0,2 პროცენტზე მეტი დაფინანსება არ უნდა მიიღოს. მაგალითად 2012 წელს დაგეგმილი ბიუჯეტის მიხედვით, პარტიების დაფინანსება 53 მილიონ ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

ეს ცვლილება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში მზადდება. ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ ინიციატივის მიზეზი 2003 წლის ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტისა და GRECO-ს (ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების ჯგუფი) მიერ შემუშავებული რეკომენდაციებია.

ცვლილებები ჯერ პარლამენტში ინიცირებული არ არის, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიაში ფიქრობენ, რომ იუსტიციის სამინისტროს ინიციატივა სწორედ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას უკავშირდება.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პროგრამების ხელმძღვანელმა ნინა ხატისკაცმა განაცხადა: „კანონპროექტის ასეთი დაჩქარებული განხილვა გვაფიქრებინებს, რომ ცვლილება პოლიტიკურ არენაზე ახალი პოლიტიკური მოთამაშის, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას უკავშირდება“.

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივა ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის კანონპროექტს, სადაც პარტიათა საარჩევნო ფონდების დაფინანსებას სპეციალური მუხლი არეგულირებს. ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ზაფხულში მიღწეული შეთანხმების მიხედვით, იურიდიულ პირებს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ფონდში, მაქსიმუმ, 200 ათასი ლარის გადარიცხვა შეუძლიათ. ორივე ინიციატივა ვენეციის კომისიაშია გადაგზავნილი. უმრავლესობის წევრის, ჩიორა თაქთაქიშვილის განმარტებით, კანონმდებლობაში საბოლოოდ ცვლილებების ის პროექტი აისახება, რაზეც შესაბამის დასკვნას ვენეციის კომისია გააკეთებს. ვენეციის კომისიის დასკვნას პარლამენტში 16-17 დეკემბერს ელოდებიან.

მანამდე – 11 დეკემბერს ახლად დარეგისტრირებული მოძრაობა თავის მხარდამჭერებს ფილარმონიაში ელოდება. იმაზე, თუ როგორ ჩაივლის ეს შეხვედრა და რამდენი ადამიანი მივა ფილარმონიასთან, დამოკიდებულია როგორც ივანიშვილის გუნდის, ასევე ხელისუფლების მომავალი ქმედებებიც.

ივანიშვილმა ჯაღაძის ბანკის აქციები შეიძინა

„პროგრეს ბანკმა“, რომელიც ფეხბურთელ კახი კალაძეს ეკუთვნის, 24 ნოემბერს გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბანკის 8,67 პროცენტი ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა შეისყიდა. „პროგრეს ბანკის“ განცხადებაში წერია, რომ ახალი პარტნიორის მოსვლით ბანკის კაპიტალი 1 მილიონ 300 ათასი ლარით გაიზარდა და მისმა საწესდებო კაპიტალმა 14 მილიონ 980 ათასი ლარი შეადგინა. კალაძემ ოქტომბერში განაცხადა, რომ ივანიშვილს უჭერს მხარს.

24 ნოემბერს ფეხბურთელმა სოციალურ ქსელში გაავრცელა ინფორმაცია, რომ ივანიშვილის მიერ ბანკის აქციების შეძენის შემდეგ „პროგრეს ბანკის“ საქმიანობის შესწავლა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო.

„ეს არის გაგრძელება საბანკო ტერორისა, რომელიც ეროვნული ბანკის ხელით დაიწყო „ქართუ ბანკზე“ და ამჟამად გრძელდება „პროგრეს ბანკზე“, – განაცხადა კალაძემ. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ივანიშვილის კუთვნილი „ქართუ ბანკის“ საქმიანობის შესწავლა 19 ოქტომბერს დაიწყო.

ტომას დე ვაალი
კავკასიის მკვლევარი, კარნეგის ცენტრი, ვაშინგტონი

კომენტარი

სტუმრობა ოლიგარქთან

ბიძინა ივანიშვილის რეზიდენცია

თბილისში, ჩემი სასტუმროს ფოიეში ვდგავარ. „თომას?“ – შორიდან მეკითხება ახალგაზრდა წვერგაუპარსავი ქართველი და მიახლოვდება. მე თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ. „ბიძინა“, – მეუბნება ის ერთადერთ სიტყვას.

ასე დაიწყო ჩემი წინასწარ დანიშნული შეხვედრა ადამიანთან, რომლის შესახებაც ყველაზე მეტს ლაპარაკობენ საქართველოში.

„ლენდ კრუიზერში“ ჩავსხედით, თბილისის ერთი ამაღლებული გორაკისკენ დავიძარით და პატარა, კერძო ხეივანი გავიარეთ. ელექტრონული ჭიშკარი ფრთხილად გაიღო და ჩვენ შუშისა და მეტალის კონსტრუქციის პირისპირ აღმოვჩნდით. ეს ფუტურისტული სასახლე, რომელსაც გარშემო თანამედროვე სკულპტურების პატარა ტყე აკრავს, იაპონელი არქიტექტორის, შინ ტაკამაცუს ნამუშევარია.

ის თავად შემოგვეგება. ივანიშვილი საკმაოდ დაბალია, ქონდრისკაცს წააგავს, უზადოდ აცვია და იღიმის. მილიარდერთან ინტერვიუ მანამდე არასოდეს მქონია, თუმცა მას ძალიან უშუალო მანერები აქვს. კედლებზე დაკიდებული ნახატების თვალიერებით ვიწყებთ: ეგონ შილე, კლოდ მონე, ლუსიენ ფროიდი. აღიარებს, რომ მაღალი დონის ასლებია, ორიგინალები ლონდონში ინახება. იგი საკმაოდ თავისუფლად, უბრალოდ საუბრობს, თუმცა იმასაც ვამჩნევ, რომ ამ სიმშვიდის უკან თავდაჯერებულობა და თვითკონტროლი იმალება.

ინტერვიუს ჩასაწერად ვსხდებით. ის – ლუსიენ ფროიდის პორტრეტის ქვეშ, მე – მის პირდაპირ. ვუსვამ კითხვას, რომელიც გასული თვის მანძილზე მისთვის ასჯერ მაინც დაუსვამთ: „რატომ წახვედით ქართულ პოლიტიკაში?“

გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ივანიშვილმა ქართული პოლიტიკა ერთ თვეში თავდაყირა დააყენა. ქვეყანამ მშფოთვარე 10 წელი გამოიარა. ჯერ 2003 წლის მშვიდობიანი „ვარდების რევოლუცია“ იყო, რომელმაც ედუარდ შევარდნაძის გადაღლილ, მოძველებულ რეჟიმს დაუსვა წერტილი. შემდეგ, ქვეყნის სათავეში მოვიდა 36 წლის მიხეილ სააკაშვილი – ევროპის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი, რომელიც სერიოზულ რეფორმებს ჩაუდგა სათავეში. მერყევი სააკაშვილი არაღიარებული რეგიონების გამო რუსეთთან კონფრონტაციაში ჩაება, რაც 2008 წლის აგვისტოში სრულმასშტაბიანი კონფლიქტით დასრულდა.

ომში დამარცხების შემდეგ სააკაშვილის პოპულარობა დაეცა, თუმცა მან მაინც მოახერხა ხელისუფლების შენარჩუნება. მან და მისმა პარტიამ თანდათანობით პოზიციები აღიდგინეს. აღმასრულებელ, საპარლამენტო, ადგილობრივ ხელისუფლებებზე და მედიაზე ვირტუალური მონოპოლიის წყალობით ისინი 2012-13 წლების მოახლოებული არჩევნებისთვის კვლავ სხვებზე უპირატეს პოზიციაში აღმოჩდნენ.

ამ დროს გამოჩნდა მილიარდერი. რუსეთში ქონების დაგროვების შემდეგ, ივანიშვილი მშობლიურ სოფელს

ფოტო ლევან ბერიძეს

დაუბრუნდა. მის ქონებას Forbes-ი 5,5 მილიარდ დოლარად აფასებს. ივანიშვილი წლების მანძილზე აქტიური ქველმოქმედებით იყო დაკავებული – არემონტებდა და აშენებდა სკოლებს, თეატრებს, ეკლესიებს, აფინანსებდა ხელოვნების წარმომადგენლებს. თუმცა, საჯაროდ არასოდეს გამოჩენილა. ის იმდენად გასაიდუმლოებულად ცხოვრობდა, რომ „გრაფი მონტე კრისტოც“ კი შეარქვეს. თუმცა, ამ ისტორიაში ერთ ექსცენტრულ გადახვევას აქვს ადგილი: მისი ვაჟი, ბერა ლოს-ანჯელესში საცხოვრებლად გადავიდა და საქართველოს ყველაზე ცნობილ რეპერად იქცა. რაღაც პერიოდში თავისი პოპულარობით საკუთარი მამაც კი დაჩრდილა.

2011 წლის 7 ოქტომბერს კი ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ პო-

მოქალაქეების განწყობა შემაშფოთებლად ამაღლებულია. ჩემმა ძალზე არამეცნიერულმა გამოკითხვამ, აჩვენა, რომ ათიდან ათი ადამიანი ბიზნესმენს უჭერს მხარს.

ლიტიკაში მოდიოდა და სააკაშვილს შეცვლიდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამ განცხადებიდან ერთი თვის შემდეგ ჩამოვედი, ქვეყანაში საუბრების ორი მესამედი კვლავაც ივანიშვილს ეთმობა.

ბოლო ერთი წლის მანძილზე 10-12 ადამიანი, რომელთაც თბილისში ვესაუბრები ხოლმე (ძველი მეგობრები, ჟურნალისტები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, თბილისში მცხოვრები უცხოელები) დაახლოებით ამას მიმეორებდნენ: „სახელისუფლებო პარტიამ ბევრი კარგი რამ გააკეთა, თუმცა ისინი იმდენად არიან ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფოკუსირებული, რომ ხალხთან კავშირი დაკარგეს. მათ პიარ მესიჯები რეალობაში ეშლებათ. ძალიან ბევრ ადამიანს ყელში ამოუვიდა ეს სიტუაცია, თბილისში, ძირითადად, დემოკრატიული პროცესების შენელება აშფოთებთ, რეგიონებში კი უკმაყოფილების მთავარი მიზეზი უმუშევრობაა. თუმცა, ოპოზიცია იმდენად მარგინალიზებულია, რომ სანდო ალტერნატივა არ ჩანს.“

ამჯერად, ჩემი მეგობრები სტატუს კვოს შეცვლის პერსპექტივით მოხიბლულნი მომეჩვენნენ. თუმცა, თავად ივანიშვილისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. სხვადასხვა მოსაზრებები გამოითქვა:

„მან თამაშის ახალი წესები შემოიტანა და ეს კარგია საქართველოსთვის“.

„მისი მანერები არ მომწონს. ის მაშინებს“.

„ხალხი უკვე ცინიკურად იყო განწყობილი მომავლის მიმართ. ახლა მათ იმედი გაუჩნდათ.“

„ამ ეტაპზე ეს ერთი კაცის შოუა. ვნახოთ, მოახერხებს თუ არა გუნდის და პროგრამის ჩამოყალიბებას“.

იმ რიგითი მოქალაქეების განწყობა, რომელთაც ვესაუბრე, შემაშფოთებლად ამაღლებულია. ჩემმა ძალზე არამეცნიერულმა გამოკითხვამ, რომელიც ტაქსის მძღოლებში და აპოლიტიკურად განწყობილ ნაცნობებში ჩავატარე, აჩვენა, რომ ათიდან ათი ადამიანი ბიზნესმენს უჭერს მხარს. განსაკუთრებით ხშირად ისმოდა შემდეგი ფრაზა: „მან ძალიან ბევრი გააკეთა საქართველოსთვის“.

ივანიშვილის გამოჩენაზე ხელისუფლებას მტრული და თავდაცვითი რეაქცია ჰქონდა. საფრანგეთის მოქალაქეობის მიღების გამო, მას საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს, რითაც მისი პოლიტიკაში მონაწილეობა უნდა აღეკვეთათ. ქართული პასპორტი კიდევ უფრო არადამაჯერებელი არგუმენტით მის მეუღლესაც ჩამოართვეს. თუმცა, მოქალაქეობა დაუტოვეს ივანიშვილის შვილებს, რომლებიც ჯერ 21 წლისაც არ არიან და კანონის თანახმად პოლიტიკაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა ივანიშვილმა მოქალაქეობის აღდგენის თხოვნით პირადად სააკაშვილს უნდა მიმართოს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მას არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მხარდაჭერა აქვს. კვირის ქადაგებისას ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ეს პატრიოტი კაცი საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის ღირსია.

ივანიშვილის „ქართუ ბანკის“ საქმიანობის აგრესიული გამოძიება, რომელსაც კლიენტების დაფრთხობის აშკარა მიზანი ჰქონდა, ასევე უკურეაქციით დასრულდა. მაგნატისადმი მხარდაჭერის გამოსახატად, ბანკში ანგარიშის გახსნას რიგში მდგომი ათასობით ადამიანი ცდილობდა.

წარუმატებლად დასრულდა პრო-სახელისუფლებო მედიის მიერ ივანიშვილის პრესკონფერენციის ჩაშლის მცდელობაც. მისი განცხადებების განხილვისა და მიწასთან გასწორების ნაცვლად, პროსახელისუფლებო მედიის წარმომადგენლები სანახაობის მთავარ გმირებად იქცნენ: ყვიროდნენ, მიკროფონისთვის იბრძოდნენ, ტელეფონებზე რედაქტორებისგან და პროდიუსერებისგან ინსტრუქციებს იღებდნენ და უტაქტო კითხვებს სვამდნენ. მომდევნო დღეს თბილისში ივანიშვილს კი არა, ჟურნალისტების საქციელს აკრიტიკებდნენ.

ამ ყველაფრის გამო თბილისში თვემ დრამატულად ჩაიარა. ქართულ საჯარო სივრცეში რაღაცის ნაკლებობა იყო და ის ივანიშვილმა შეავსო. თუმცა, როგორც აკადემიკოსმა გიორგი გოგსაძემ მითხრა: „საკითხი ივანიშვილის ფენომენს უფრო ეხება, ვიდრე მის პიროვნებას“.

თუმცა, ადრე თუ გვიან მნიშვნელოვანი გახდება, თუ როგორი პიროვნებაა ის. კვლავ ივანიშვილთან ჩემს 90-წუთიან საუბარს ვუბრუნდები.

ერთი თვის წინ ივანიშვილის განცხადება პოლიტიკაში მოსვლის შესახებ საინტერესო, თუმცა ჩამოუყალიბებელი იყო. ხმამაღლა ფიქრს უფრო წააგავდა, ვიდრე პოლიტიკურ პროგრამას. თუმცა, კაცი, რომელსაც მე შევხვდი, გაცილებით ჩამოყალიბებული და პოლიტიკურად საზრიანი მომეჩვენა. ერთ თვეში მან, როგორც პოლიტიკოსმა, დიდი ზრდა განიცადა.

კითხვას – „რატომ“ – გრძელ პასუხს სცემს. ის ამჟამინდელ ხელისუფლებას ბევრ რამეში დაეხმარა და 2008 წლამდე სააკაშვილსაც ბევრჯერ შეხვედრია. ის აფინანსებდა ჯარს და სკოლებს, თუმცა ხელისუფლებას იმის გამო გამოეყო, რომ მისი აზრით, სააკაშვილმა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გააყალბა. ამის შემდეგ ივანიშვილმა ქართული ოპოზიციის „შესწავლა“ დაიწყო. როდესაც დარწმუნდა, რომ ოპოზიციას ცვლილებების ძალა არ შესწევდა, სიტუაციაში ჩართვა თავად გადაწყვიტა. „რა თქმა უნდა, ოპოზიციას რომ მოეხერხებინა და ხელისუფლებაში ჩემი დახმარების გარეშე მოსულიყო, არ მოვიდოდი პოლიტიკაში. ოპოზიციას ხელისუფლებაში მოსვლა უჩემოდ არ შეუძლია, მე მათ ამაში დავეხმარები“.

მან ქართულ საზოგადოებას დაღლა შეატყო: „ეს რეფორმები ხალხისთვის შოკისმომგვრელია. თითოეული რეფორმა, თითოეული ნაბიჯი მოსახლეობას შოკში აგდებს“. მისი თქმით, ხელისუფლებამ „ფასადური ეკონომიკა, ყველაფერი ფასადური, პოტიომკინის სოფელი“ შექმნა. მისი მტკიცებით, ბიზნესი დღეს ნაკლებად თავისუფალია, ვიდრე შევარდნაძის პერიოდში იყო და ამას ხელისუფლებამ შემოსავლებზე, მედიაზე და სასამართლო სისტემაზე მკაცრი კონტროლით მიაღწია.

ვეუბნები, რომ ქართველები რადიკალური ცვლილებებისგან გადაიღალ-

ნენ და გარანტია სჭირდებათ, რომ თუ რეჟიმი შეიცვლება, ყველაფრის შენება ისევ ნულიდან არ დაიწყება. ის მეთანხმება და ამბობს, რომ მართლაც ბევრ ადამიანს, რომელიც თავის საქმეში პროფესიონალია, სურს სამსახური შეინარჩუნოს, უკეთესი კარიერა გაიკეთოს. ივანიშვილი სამ რეფორმას ახსენებს, რომლებიც მხოლოდ ვიწრო სეგმენტზეა გათვლილი: პოლიცია, ჯარის რეფორმირება და განათლების სისტემაში კორუფციის მოსპობა.

ის, რაც ადამიანებს ყველაზე მეტად აშფოთებთ, ივანიშვილის ზედმეტად თავდაჯერებული ტონია. მილიარდერი ხშირად იმეორებს: „ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში!“

ვეუბნები, რომ საქართველოს კიდევ ერთი მესია არ სჭირდება. ქვეყნის სამივე პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი, რიგ-რიგობით სარგებლობდნენ საქართველოს მხსნელის სტატუსით, რაც არასდროს მართლდებოდა ხოლმე და ხალხი იმედგაცრუებული რჩებოდა.

ივანიშვილი ამ კითხვას ელოდება. „ჩემს მხარდამჭერებს სულ ამას ვთხოვ, რომ ჩემგან კერპი არ შექმნან!“ – ამბობს სიცილით. შემდეგ კი საკუთარი სიტყვების გასამყარებლად დასძენს, რომ მოკავშირედ ორი დამოუკიდებელი და გამოცდილი ოპოზიციური პარტია შეარჩია. მათ შორის, ერთ-ერთი ირაკლი ალასანიას, გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩის პარტიაა.

ყველაფრის მიუხედავად, მისი გეგმა ძალიან რადიკალურია და მასში მთავარი მოქმედი გმირი თავადაა. წარმატების მიღწევას იგი საქართველოს ახალი ხელისუფლების ფორმირებითა და სისტემის შეცვლით გეგმავს. შემდეგ კი, პოლიტიკიდან წავა. „გარანტიას გაძლევთ, რომ ძალაუფლებას სწრაფად დავთმობ. ორი წლის შემდეგ, ან ოდნავ მოგვიანებით კიდევ შეეხვდებით და დარწმუნდებით, რომ ძალაუფლებას არ ვებღაუჭები“.

შემდეგ რუსეთზე კითხვის ჯერიც დგება. ეს ის საკითხია, რომელმაც 2008 წლის შემდეგ საქართველოს პოლარიზაცია მოახერხა. ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც რუსეთთან ურთიერთობების გამოსწორებაზე საუბრობს, დგება იმ საფრთხის წინაშე, რომ პროსახელისუფლებო მედია არაპატრიოტის იარლიყს მოარგებს. ეს დანაღმული ველია და ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ აქედან უსაფრთხოდ გამოვიდეს.

„საქართველო აგვისტოს ომის დროს ძალიან დაზარალდა. ვინც უნდა იყოს პასუხისმგებელი ომის წამოწყებაზე, საქართველოს მიმართ აგრესიით რუსეთმა დიდი შეცდომა დაუშვა. მეორე მხრივ, კარგად მესმის, რომ სიტუაციის დრამატიზება არ არის საჭირო. ჩვენ ისინი არ უნდა ვწყევლოთ, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებს. ამ სტაგნაციიდან თავის დასაღწევად ჩემს გუნდს და მე რუსეთის ხელისუფლებასთან საუბრის დაწყება მოგვიწევს“, – ამბობს ის.

ის შთამბეჭდავ და ენიგმურ მიქს გვთავაზობს: ლუსიან ფროიდი და მართლმადიდებელი ეკლესია, ლოს-ანჯელესელი რეპერი და პატრიარქი, ბიზნეს კარიერა რუსეთში და პროდასავლური მოკავშირეები, თავშეკავებული და რკინასავით მტკიცე.

და რა მოელის მის ბიზნესს რუსეთში, რომელიც მისი მთლიანი კაპიტალის მესამედს შეადგენს? მაგნატი ამბობს, რომ უკვე დაიწყო რუსეთში თავისი ბიზნესის გაყიდვის პროცესი. ამ ბიზნესის მთლიანი ღირებულება, ივანიშვილის თქმით, 1,25-დან ორ მილიარდამდე მერყეობს. იგი იმედოვნებს, რომ 1,5 მილიარდს მაინც მიიღებს (ამას მშვიდად ვუსმენ, ისე, რომ ვერც ვაცნობიერებ, რას ნიშნავს რეალურად ეს რიცხვები). „ეს პროცესი დაწყებულია და უკვე არსებობს ინტერესი. ჩემს ბიზნესებს იმისთვის ვყიდი, რომ შემდგომში ეს კითხვა აღარ გაჩნდეს და თავისუფალ ადამიანად ვიქცე“.

საუბრის შემდეგ შენობა და ხელოვნების გალერეა დამათვალიერებინა. ერთ-ერთ ყველაზე დიდ ოთახში სრული სიცარიელეა, მხოლოდ სტეინვეის პიანინო დგას ცენტრში („პიანინოზე მთელი ოჯახი უკრავს,“ – ამბობს ის). შუშის უზარმაზარი ფანჯრიდან თანამედროვე სკულპტურებით სავსე ტერასა ჩანს, შემდეგ ხედი სააკაშვილის ახალ საპრეზიდენტო შენობაზე, ბოლოს კი სამების ტაძარზე იშლება, რომლის მშენებლობაც ივანიშვილმა დააფინანსა. ამ მომენტში თავში ერთმა აზრმა გამიელვა: ვისურვე, საქართველო ასეთი დამოკიდებული არ ყოფილიყო დიდ პერსონალიებზე: სააკაშვილზე, პატრიარქზე და მილიარდერზე, რომლის გვერდითაც ვიდექი.

ის შთამბეჭდავ და ენიგმურ მიქს გვთავაზობს: ლუსიან ფროიდი და მართლმადიდებელი ეკლესია, ლოს-ანჯელესელი რეპერი და პატრიარქი, ბიზნეს კარიერა რუსეთში და პროდასავლური მოკავშირეები, თავშეკავებული და რკინასავით მტკიცე. ამ ახალ ქართულ ფენომენთან გატარებული 90 წუთის შემდეგ დავასკვენი, რომ ის გულწრფელია და არავისი პროექტი არ არის, საკუთარი თავის გარდა. შევნიშნე ისიც, რომ პრობლემის გადაჭრა – ამ შემთხვევაში მთავრობის შეცვლაც – ფულით წარმოუდგენია. მისი პროგრამა ახლა იწერება. მიუხედავად იმისა, რომ მგონია ქართულ პოლიტიკას შენჯღრევა სჭირდება, გამიჩნდა შიშიც, რომ ქართველები ამ ახალ ფენომემს მხოლოდ მისი ფულის გამო ირჩევენ და კიდევ იმიტომაც, რომ მასში ახალ მხსნელს ხედავენ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრობლემა იმდენად არა ივანიშვილი, არამედ თავად ქართველები და მათი მოლოდინია. ეს იქნება დიდი ტესტი პატარა ქვეყნისთვის – გაუძლოს ივანიშვილისთანა მნიშვნელოვანი ფიგურის ქარიზმას, რაც უნდა გულწრფელი მიზნები ამოძრავებდეს მას.

*სტატია დაიბეჭდა ჟურნალში **Foreign Policy***


A Memoir
of My Years
in Washington
No Higher Honor
CONDOLEEZZA
RICE

თავი 52

საქართველოში ომი იწყება

(ფრაგმენტი კონდოლიზა რაისის წიგნიდან)

კონდოლიზა რაისის წიგნმა „მემუარები ვაშინგტონში გატარებული წლების შესახებ“ საქართველოში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გადავწყვიტე, მთლიანად მეთარგმნა თავი, რომელშიც კონდოლიზა რაისი აგვისტოს ომზე, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებსა და მსოფლიო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოწყობაში ამ მოვლენის გავლენაზე საუბრობს. თავს ჰქვია „საქართველოში ომი დაიწყო“ და ის მთლიანად საქართველოს თემას ეხება, თუმცა კონტექსტის აღწერისას, წიგნის ავტორი და ყოფილი სახელმწიფო მდივანი მსოფლიოში იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენებზეც საუბრობს, ასევე, მის პირად ურთიერთობაზე სერგეი ლავროვთან თუ მიხეილ სააკაშვილთან. წიგნი სულ 58 თავისგან შედგება და კონდოლიზა რაისის თეთრ სახლში მოღვაწეობისას მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარი მოვლენების გახსენება და ანალიზია. წიგნი ეხება ტერორიზმთან ბრძოლას, და ზოგადად, ამერიკის და კერძოდ, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დამოკიდებულებებს მსოფლიო მოწყობისა და წესრიგის მიმართ. რაც შეეხება თავს საქართველოს შესახებ, ის იწყება კოსოვოს თემით და სრულდება საქართველოსთვის გამოყოფილი მილიარდდოლარიანი რეკონსტრუქციის თანხებით.

წინა წელს ჩვენსა და პუტინის რუსეთს შორის ურთიერთობის საკვანძო თემა სოჭი იყო. 2008 წლის ზაფხულისთვის კოსოვოს გარშემო ვნებათაღელვა იზრდებოდა და რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ პიკს აღწევდა. ჩვენი რუსეთთან და ნატოსთან კოალიციური ძალების შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების შემდეგ, რომელიც ერთი წლით ადრე შედგა, კოსოვოს საკითხის ბოლო საფეხური ახლოვდებოდა. ბალკანეთი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, მეოცე საუკუნეში იქ წამოწყებული ომების გამო, აღიქმებოდა როგორც დენთის კასრი, შედარებით მშვიდობიანი იყო მთელი ჩვენი მართვის პერიოდის განმავლობაში. ზოგიერთი ქვეყანა – ალბანეთი, ხორვატია, მაკედონია და სლოვენია – საკმაოდ კარგად ართმევდა თავს ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალობას. ბოსნია და ჰერცოგოვინა კი, სამი პრეზიდენტით და სამი განსხვავებული უსაფრთხოების ძალებით, მაშინ და ახლაც საკმაოდ არეულია. დეიტონის შეთანხმებებმა ტრაგიკული ბოსნიური ომი დაასრულა, მაგრამ მან ასევე ორი მთავრობა და ერთი ავტონომიური მხარე წარმოქმნა: ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ფედერაცია, ბოსნიელ სერბთა რესპუბლიკა, რომელიც სერბებითაა დასახლებული და მესამე თვითმართვადი რეგიონი, რომელიც ეკუთვნის როგორც ფედერაციას, ისე ბოსნიელ სერბთა რესპუბლიკას. ბრეკოს მუნიციპალიტეტი, ძირითადად, მუსლიმურია.

2005-2006 წლებში, სახელმწიფოს ინტეგრაციისთვის, ამ ერთობების კონსტიტუციური რეფორმის აუცილებლობაში დარწმუნებას ვცდილობდი. არსებული კონსტიტუციური მოთხოვნებით, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის საპრეზიდენტო პოსტს სამი ინდივიდი – ერთი როტაციის პრინციპით ცვლადი და ორი მუდმივი წევრი იკავებს. სახელმწიფოს მეთაური თითო ხორვა-

ტისგან, სერბისგან და ბოსნიელისგან ფორმირდება. 2005 წელს სახელმწიფო დეპარტამენტში სამი პრეზიდენტი რომ გამოცხადდა, ვიცოდი, რომ მეტი ინტეგრაციის მიღწევის მცდელობა არაფერს მოგვცემდა. ერთადერთი, უნდა მეცადა, რომ ყველა მათგანს ესაუბრა და მე, ჩემი მხრივ, მათი ხსენებისას, თითოეული სახელით მომეხსენიებინა. ეს ყველაფერი არსაით მიდის, – ვიფიქრე. და ეს ასეც იყო. კონსტიტუციური რეფერენდუმის გზით მთავრობის კონსოლიდაციის მცდელობა 2006 წელს ჩავარდა, მაგრამ ბოსნია და ჰერცოგოვინა იმაზე უარეს დღეში არ აღმოჩნდნენ, ვიდრე ჩვენს მცდელობებამდე იყვნენ. ასეა თუ ისე, კოსოვოს გადაუჭრელი პრობლემა ახალ ღია კონფლიქტში გადაზრდის საფრთხეს კვლავაც ქმნიდა. 90-იან წლებში ნატოს საჰაერო კამპანიამ სლობოდან მილოშევიჩის ძალაუფლება დაასრულა. მისი მმართველობის დროს ალბანელი კოსოვოელები, რომლებიც მოსახლეობის 90%-ს შეადგენდნენ, ეთნიკური წმენდის მსხვერპლნი გახდნენ. მილოშევიჩის სერბიულმა ჯარებმა მთელი ქალაქების ევაკუაცია მოახდინეს, ქალებსა და ბავშვებს აიძულებდნენ კოსოვოს საზღვრისკენ წასულიყვნენ, ხოცავდნენ კაცებს და მათ მასობრივ საფლავებში ყრიდნენ. მთლიანობაში მილოშევიჩის ჯარებმა 1.3 მილიონი კოსოვოელი ალბანელი აიძულა სახლები დაეტოვებინა. მას შემდეგ, რაც ნატომ მილოშევიჩი შეაჩერა და ძალაუფლებას ჩამოაცილა, ევროკავშირმა კოსოვოში დროებითი ადმინისტრაციული მისია დაამკვიდრა, რომ რეგიონი გაკონტროლებულიყო და კონფლიქტები არ განმეორებულიყო. კოსოვოს სტატუსის გადასაწყვეტად წამოჭრილი რამდენიმე დიპლომატიური მცდელობა ჩავარდა. 2007 წელს ფინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, მარტი აჰტისაარმა, რომელიც მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა და ევროკავშირის სახელით მოქმედებდა, სცადა კიდევ ერთხელ ეპოვა პრობლემის მოგვარების გზა. მან ეს ვერ შეძლო, თუმცა კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით აჰტისაარის გეგმის სახელით ცნობილი ანგარიში წარმოადგინა, რომელიც კოსოვოელებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების რეკომენდაციას იძლეოდა. აჰტისაარის გეგმას ჩვენ მტკიცედ ვუჭერდით მხარს და ჩვენს ელჩს, ფრენკ ვაისნერს, როტაციაში მყოფ დიპლომატს, ვთხოვე ემოქმედა როგორც ჩვენს წარმომადგენელს და გეგმის აღსრულებაში დაგვხმარებოდა. ფრანგები, ბრიტანელები, გერმანელები და სხვა ევროპელების უმრავლესობა ამ გეგმას მხარს უჭერდა. თუმცა, გეგმას მძაფრად ეწინააღმდეგებოდა რუსეთი, რომელიც მისი მოკავშირის, სერბეთის პოზიციას იცავდა. ევროპელებმა და ჩვენ ვერ შევძელით რუსეთთან ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევა, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ არჩევანი არ გვქონდა და მხარი უნდა დაგვეჭირა კოსოვოს დამოუკიდებლობისთვის. ამან პროცესების არევ-დარევა გამოიწვია. შეუძლებელი იყო უსაფრთხოების საბჭოში ხმა მიგვეცა დამოუკიდებელი კოსოვოსთვის; რუსეთი და, ეჭვგარეშე იყო, ჩინეთიც ვეტოს უფლებას გამოიყენებდნენ, რადგან პეკინს, თავის მხრივ, ტაივანისა და ტიბეტისთვის პრეცედენტის შექმნის ეშინოდა. ერთადერთი არჩევანი იყო პრობლემის ძალადობის გარეშე მოგვარება და რაც შეიძლება მეტი ქვეყნის დარწმუნება – კოსოვოს დამოუკიდებლობისთვის მხარი დაეჭირათ. ჩვენი მიზანი ალიანსის რუსეთის უარის საპირისპიროდ შეკვრა და გადაწყვეტილების მიღება იყო, იქამდე სანამ მოუთმენელი კოსოვოელები ქუჩებში გამოვიდოდნენ. მტკიცედ მწამდა, სერბების დამშვიდების გზა უნდა გვეპოვა, რომელთა მიმართაც გარკვეული სიმპათია გამაჩნდა. სერბებმა დასავლური ორიენტაციის პრეზიდენტი, ბორის ტადიჩი აირჩიეს, რომელსაც უზომოდ სურდა ქვეყნის ევროკაშირსა და ნატოში ინტეგრაცია. დენ ფრიდი ვაისნერს, სხვა დიპლომატებსა და პენტაგონს შორის საკვანძო დიპლომატი იყო. ამერიკის შეერთებულ შტატებს რეგიონში ჯარები ჰყავდა და არსებობდა საფრთხე, რომ ნებისმიერი ძალადობა მათ კონფლიქტში ჩათრევას გამოიწვევდა, რაც ჯაჭვური რეაქციით ევროპასაც ჩართავდა სამოქალაქო ომში. მეორე ძირითადი საფრთხე იქნებოდა ბელგრადის მცდელობა, დაეკავებინა კოსოვოს ზედა ნაწილი, სადაც რადიკალი სერბები ცხოვრობდნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ მოსკოვს ეს არ სურდა, თუმცა, რუსები არ ცდილობდნენ მათი მოკავშირის ფეთქებადი ტონის შესუსტებას. 2007 წლის ზაფხულში კოსოვოელებში მღელვარება გაძლიერდა, მე ევროპელებს მოქმედებისკენ ვუბიძგებდი. ჩვენი მიზანი კოსოვოს აღიარება და გარშემო რაც შეიძლება მეტი მოკავშირის შემოკრება იყო. ნატოს მოკავშირეები, კერძოდ გერმანელები და ფრანგები, თავს იკავებდნენ და იმედოვნებდნენ, რომ მოსკოვი სასწაულებრივად შეიცვლიდა პოზიციას.

> **კოსოვოს პრობლემა, საქართველოში სიტუაციის გამწვავებასთან ერთად, გაფერმკრთალდა. წინა წლის განმავლობაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ისედაც არასტაბილურ რეგიონებში სიტუაცია მწვავდებოდა, ეს, უმეტესწილად, მოსკოვის გამო ხდებოდა.**

როცა ივნისის შუა რიცხვებში ფრანგებმა საკითხის გადაწყვეტის კიდევ ერთი თვით გადადება მოითხოვეს, პრეზიდენტი (ჯორჯ ბუში) მძვინვარებდა. შემდეგ კვირას, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შეხვედრაზე, მოკავშირეთა მხარეს აღმოვჩნდი და ვფიქრობდი, რომ საკითხის გადასაწყვეტად საკუთარი განსხვავებული პოზიციის მიუხედავად, მეტი უნდა წასულიყო დათმობაზე. პრეზიდენტმა პუტინს დაურეკა, რომელმაც მას იგივე უთხრა, რაც მე ლავროვმა: „ჩვენთვის მისაღები იქნება ის შემოთავაზებები, რაზეც სერბები იქნებიან თანახმა“. ეს, რა თქმა უნდა, საკითხს არაფრით ეხმარებოდა. G8-ს სამიტზე,

ფოტო: ფლეგ ბარანიკი / REUTERS

გორი, 9 აგვისტო 2008

ჰეილინგენდამში, გერმანიაში, ნიკოლა სარკოზიმ საკითხის გადაწყვეტის გადადება კიდევ 120 დღით შემოგვთავაზა, რა პერიოდშიც მოლაპარაკებები გაგრძელდებოდა და თუ საკითხი საბოლოოდ არ გადაწყდებოდა, აჰტისაარის გეგმა უნდა მოგვეყვანა სისრულეში. სამიტის შემდეგ, 9 ივნისს, პრეზიდენტმა (ჯორჯ ბუშმა) რომის პრესკონფერენციაზე კოსოვოს დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირა. მომდევნო დღეს ალბანეთში კოსოვოს დამოუკიდებლობის და აჰტისაარის გეგმის მხარდაჭერა მან ხელმეორედ დააფიქსირა. „კიდევ ერთი თვე“ – მითხრა პრეზიდეტმა“ – და ამის გაკეთება მარტოც რომ მოგვიხდეს, ჩვენ ვაღიარებთ მათ დამოუკიდებლობას. მე მათ შევპირდი და ეს დაპირება სისრულეში უნდა მოვიყვანოთ“. თუმცა, საბოლოოდ, პრეზიდენტი მოლაპარაკების გაგრძელების თაობაზე სარკოზის შემოთავაზებას დათანხმდა, იმ პირობით, რომ ეს საკითხის საბოლოო გადადება იქნებოდა. 2008 წლის 18 თებერვალს, ჩვენ და ევროპის ბევრმა სახელმწიფომ კოსოვო ოფიციალურად ვაღიარეთ. წლის დასასრულისთვის სულ 53-მა სახელმწიფომ აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა – უმეტესობა ევროპულმა ქვეყანამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ, ავსტრალიამ, რამდენიმე ქვეყანამ აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და შუა აღმოსავლეთში. ტადიჩი გადარჩა, რადგან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა, რომ ბელგრადს ნატოში ადგილი ჰქონოდა. სერბებს ნატოს წევრობაზე უარი ეთქვათ, რადგან მათ ვერ შეძლეს გადმოეცათ ბალკანეთის ომის კრიმინალები, რატკო მლადოვიჩი და რადოვან კარადიჩი. ვგრძნობდი, რომ ამას არ უნდა დავლოდებოდით, სერბეთს სჭირდებოდა რაიმე ხელმოსაჭიდი, რომ დაენახათ – ინტეგრაცია ევროპასა და ნატოში რეალური იყო, სხვაგვარად კოსოვოს ჭრილობას შეხორცება გაუჭირდებოდა. დღეს კოსოვო დამოუკიდებელია (თუმცა მოსკოვი ამას არ აღიარებს) და სერბეთი, მიუხედავად დაბრკოლებებისა, ევროპული ინტეგრაციისკენ მიდის. იმ დღეს, როცა კოსოვო ვაღიარეთ, ბრაიან გუნდერსონმა მკითხა, კომფორტულად თუ ვგრძნობდი თავს იმის გამო, რომ კიდევ ერთი სუსტი სახელმწიფო შევქმენით, რომელმაც, შესაძლოა, დამოუკიდებლობას თავი ვერ გაართვას. „სხვა რა არჩევანი გვქონდა?“ – ვკითხე მე და დავძინე: „დრო გავა და კოსოვო პრობლემებს თავს გაართმევს, ჩვენ ეს უნდა გაგვეკეთებინა“.

კოსოვოს პრობლემა, საქართველოში სიტუაციის გამწვავებასთან ერთად, გაფერმკრთალდა. წინა წლის განმავლობაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ისედაც არასტაბილურ რეგიონებში სიტუაცია მწვავდებოდა, ეს, უმეტესწილად, მოსკოვის გამო ხდებოდა. 2008 წლის გაზაფხულზე ყოველ კვირა იქმნებოდა ახალი პროვოკაციები სამხრეთ ოსეთში, რასაც რეგიონში რუსული

ფოტო: ფეხნის სერგეი/ეპი / REUTERS

ქვედანაყოფების რიცხობრივი ზრდა (თითქოსდა სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით) და საქართველოს კუთვნილ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის რუსული პასპორტის დარიგების გეგმა იწვევდა. ლავროვმა სააკაშვილისა და ქართველების მიმართ საყვედურების გრძელი წერილი მომწერა, მათი ნაწილი ლეგიტიმური იყო, ნაწილი კი, არარეალური. ამის მიუხედავად, ეს გამაფრთხილებელი ნიშანი იყო. ამ ნაპერწკალით რეგიონში კონფლიქტის გამოწვევა დროის საკითხი იყო. 23 ივნისს გერმანიაში ვიზიტის დროს, სადაც პალესტინის სახელმწიფოებრიობის თემაზე გამართულ პრესკონფერენციაში ვმონაწილეობდი, ფრენკ ვოლტერ შტაინმაიერმა და მე, უარესობისკენ მიმავალი სიტუაციის საპასუხოდ, სამფაზიანი დიპლომატიური გეგმა შევიმუშავეთ. გეგმის პირველი ფაზა ყველაფრის გაკეთება იყო იმისათვის, რომ რომელიმე მხარეს ძალა არ გამოეყენებინა (ეს მოსკოვის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ქართველების მიმართ); მეორე ფაზა მოიცავდა დევნილების დაბრუნებას და სიტუაციის დარეგულირებისთვის პრაქტიკულ თანამშრომლობას, ხოლო მესამე ფაზა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საბოლოო გადაწყვეტა უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ, ფრენკი თბილისს, აფხაზეთსა და მოსკოვს ეწვია. ჩვენს დიპლომატებს რამდენიმე დღეში

სოფელი ქვემო აჩაბეთი, აგვისტო 2008

ივლისის დასასრული დამქანცველი იყო. საკუთარ თავს ვუთხარი – რვა აგვისტომდე თუ მივაღწიე, გოლფს ვითამაშებ და მეგობრებს მოვინახულებ გრინბრიერში-მეთქი.

უთხრა, რომ მცირე პროგრესი მიღწეული იყო. რამდენიმე კვირაში გზად ჩეხეთისკენ, სადაც სარაკეტო თავდაცვის შეთანხმებაზე ხელი უნდა მომეწერა, რის ჩაგდებასაც რუსეთი ცდილობდა, თბილისში ჩავედი. პრესამ ამ ორი მოვლენის დაკავშირება სცადა – იყო თუ არა ვიზიტი რუსეთის გაღიზიანებისკენ მიმართული? – არ იყო, თუმცა დარწმუნებული ვარ, კრემლმა ეს სწორედ ასე აღიქვა. სააკაშვილი რესტორან „კოპალას“ ტერასაზე შემხვდა, რომლიდანაც ქალაქის ულამაზესი ხედები იშლებოდა. ის იმ აღდგენით სამუშაოებზე მესაუბრა, რომლებიც მონასტრებს, ეკლესიებსა და სხვა ისტორიულ ძეგლებს უტარდებოდა. სააკაშვილი მისი ლიდერობის შედეგით ძალიან ამაყობს – პოლიციის რეფორმით, ათასობით კორუმპირებული ჩინოვნიკის სამსახურიდან გაშვებით, დეპარტამენტების სრული რებრენდინგით. საქართველოში კორუფციის დონემ საგრძნობლად დაიკლო (კორუფციის პროცენტული ინდექსის მიხედვით). ქვეყანა ასევე ცდილობდა თავი დაეცვა რუსეთის ზეწოლისგან, ამას რუსული გაზის ნაცვლად აზერბაიჯანიდან მომავალი გაზის გამოყენებით შეეცადა. ქართულ საქონელზე მოსკოვის ემბარგოს მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკა ზრდას განაგრძობდა, თუმცა მოსახლეობის დიდი სეგმენტი კვლავაც ექსტრემალური სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობდა. რთული იყო სააკაშვილისთვის დაგვანახებინა, რომ ყველა ეს მიღწევა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენების გამო რისკის ქვეშ იდგა. ის ამაყი და იმპულსურია, ყველა ვღელავდით, რომ სააკაშვილი მოსკოვს საქართველოს მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენების პროვოცირების საშუალებას მისცემდა. ამას გარდა, უკვე მის სახელთან იყო დაკავშირებული ქვეყნის სხვა განცალკევებულ ნაწილში, აჭარაში, კონფლიქტის გაღვივება. თუმცა, ამას მაშინ შიდა და გარე ზეწოლებით აჭარის ქვეყანაში რეინტეგრაცია მოჰყვა. ვშიშობდით, რომ ეს პრეცედენტი, შესაძლოა, მისთვის მსგავსი ქმედებების განხორციელების სტიმულატორი გამხდარიყო პუტინის საყვარელ სოჭთან ახლოს მდებარე ტერიტორიის მიმართაც. „ბატონო პრეზიდენტო“, მივმართე და ვეცადე მისი ყურადღება ქალაქის „სახურავის ტურიდან“ სხვა თემაზე გადამეტანა, „თქვენ ხელი უნდა მოაწეროთ ძალის გამოუყენებლობის პირობას“, „ამას როგორ გავაკეთებ, მაშინ როცა პუტინი აკეთებს იმას, რასაც აკეთებს?“ – მიპასუხა მან და განმარტა, რომ ხელს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაწერდა ამ შეთანხმებას, თუ რუსები მას სანაცვლოდ რამეს შესთავაზებდნენ. „დაველაპარაკები რუსებს, მაგრამ თქვენ არჩევანი არ გაქვთ,“ – ვუთხარი მე. „თქვენ ვერ გამოიყენებთ ძალას და იმის ძახილი, რომ ამას გააკეთებთ, კარგს არავის არაფერს მოუტანს. მოაწერეთ პირობას ხელი მანამ, სანამ გაქვთ საერთაშორისო მხარდაჭერა,“ – ასეთ საუბარში საათზე მეტი გავატარეთ. სააკაშვილი ჯიუტად უარს ამბობდა. საბოლოოდ, მე გადავწყვიტე, რომ პირდაპირ თქმა სჯობდა: „ბატონო პრეზიდენტო, რაც არ უნდა გააკეთოთ, არ მისცეთ საშუალება რუსებს, თქვენი პროვოცირება მოახერხონ. თქვენ გახსოვთ, რა თქვა პრეზიდენტმა ბუშმა – მოსკოვი შეეცდება, თქვენ რამე სისულელე გაგაკეთებინოთ. არ ჩართოთ საქმეში რუსეთის სამხედრო ძალები, იცოდეთ, არავინ მოვა თქვენს დასახმარებლად და თქვენ წააგებთ,“ – ვთქვი მე მკაცრად. ამჯერად მან გაიგო, რასაც ვამბობდი და ისე შემომხედა, თითქოს მან ეს-ესაა უკანასკნელი მეგობარი დაკარგა. შევეცადე ჩემი ტონის შერბილებას და ვუთხარი, რომ ამ პირობაზე ხელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ეწერებოდა, ოღონდ სიტყვებით. მან მკითხა, იგივეს საჯაროდ თუ ვიტყოდი. მე ეს გავაკეთე, ისე, რომ არ გამომეყენებინა სიტყვები, რომელთა არასწორი ინტერპრეტირება მოხდებოდა და ჩვენი მხრიდან საქართველოს მიერ ძალის გამოყენების მხარდაჭერად აღიქმებოდა.

ივლისის დასასრული დამქანცველი იყო. ევროპაში, შუა აღმოსავლეთში, სინგაპურში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამოაში ორკვირიანი ვიზიტები მქონდა. საკუთარ თავს ვუთხარი – რვა აგვისტომდე თუ მივაღწიე,

გოლფს ვითამაშებ და მეგობრებს მოვინახულებ გრინბრიერში, შემდეგ, ორ კვირაში, პეკინში ჩავალ ოლიმპიადის დასასრულისთვის. ოღონდ მივაღწიო რვა აგვისტომდე! აგვისტოს პირველ დღეებში სამხრეთ ოსეთში ძალადობები ფიქსირდებოდა. თუმცა, დიპლომატიური აქტივობები გრძელდებოდა და ევროპულ-რუსული შეხვედრების შემდეგ, საკმაოდ დამაიმედებელი სურათი გამოიკვეთა. მხნეობა ცოტა წამერთვა, რადგან დენ ფრიდმა და კურტ ვოლკერმა ექვსი აგვისტოს საღამოს შემოიარეს და მითხრეს მეთიუ ბრაიზას მიერ მოწოდებული ახალი ამბავი საქართველოდან ბრძოლების გაძლიერების შესახებ. შევშფოთდი, როცა გავიგე, რომ რუსეთმა ტერიტორიიდან რვაასზე მეტი ადამიანი გაიყვანა. შვიდი აგვისტოს ღამით ძალის გამოყენების შეკავება შეწყდა. მიუხედავად საქართველოს მხრიდან ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტისა, იმავე დღეს, ცოტა ხნით ადრე, სამხრეთ ოსეთელი აჯანყებული ძალები აგრძელებდნენ ცხინვალის გარშემო არსებულ ქართულ სოფლებზე საარტილერიო დარტყმებს. პასუხად ქართულმა სამხედრო ძალებმა მძიმე არტილერიის გამოყენებით პირდაპირი სამხედრო იერიში მიიტანეს აჯანყებულების წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც საქართველოს სამხედრო ჩინოსანმა განაცხადა, რომ თბილისმა გადაწყვიტა სამხრეთ ოსეთში „კონსტიტუციური წესრიგი“ აღედგინა.

საქართველოს მხრიდან შეტევის დაწყებიდან ოცდაათ წუთში, რუსეთმა მხარი აუბა ოს აჯანყებულებს და 58 სატანკო ბრიგადა როკის გვირაბის გავლით საქართველოსკენ დაძრა. დენ ფრიდი არსებული სიტუაციის შესახებ მთელი ღამე მაწვდიდა ინფორმაციას. რვა აგვისტოს დილით აღელვებული ვცდილობდი გამერკვია, წავსულიყავი თუ არა გრინბრიერისკენ. ჩემი ოჯახი და მეგობრები უკვე შეკრებილიყვნენ და მე მელოდებოდნენ, რომ სამხრეთ ვირჯინიაში გავმგზავრებულიყავით – ისინი მანქანით სწორედ მე უნდა წამეყვანა. ყველა იდგა მისაღებ ოთახში და ჩემს მოლოდინში სენდვიჩებს მიირთმევდა, მაშინ, როცა მე პრობლემაში გარკვევას ვცდილობდი. ცოტა ხანში გადავწყვიტე გრინბრიერში წავსულიყავი, რადგან დაბრუნებას ყოველთვის შევძლებდი. ან... შემეძლო დავრჩენილიყავი ჩემს კაბინეტში ტელეფონით. პრეზიდენტი ოლიმპიურ თამაშებს ესწრებოდა ჩინეთში, ბობ გეიტსი კი, მიუნხენში იყო. დროში განსხვავება ჩინეთთან ხშირად საუბრის საშუალებას არ გვაძლევდა, თუმცა დღეში ორჯერ მაინც ვესაუბრებოდი პრეზიდენტს. მას ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე ვლადიმირ პუტინის გვერდით ჯდომა მოუწია და მასთან საკმაოდ უხეში საუბარი ჰქონია, რომელშიც რუსებმა ქართველები გენოციდში და რუსული ჯარების იგნორირებაში დაადანაშაულეს. გადავწყვიტეთ, რომ არ გვსურდა ამ კონფლიქტის რუსეთ-ამერიკის კონფლიქტად ქცევა და რომ ევროკავშირი და ეუთო აქტიურად უნდა ჩართულიყო დიპლომატიაში. მე გამუდმებით ვესაუბრებოდი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ, ბერნარ კუშნერს და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ეუთოს თავმჯდომარეს, ალექსანდერ სტაბს, რომ ორივესთვის ერთი რამ გამეგებინებინა. განცხადება დავწერე, სადაც რუსეთს მოვუწოდებდი „შეეწყვიტა საქართველოზე საჰაერო და სარაკეტო თავდასხმა, პატივი ეცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და საქართველოდან საკუთარი სახმელეთო სამხედრო ძალები გაეწვია“. 11 აგვისტოსთვის ქართველებმა განაცხადეს, რომ სამხრეთ ოსეთიდან საკუთარი ძალები გაიყვანეს. სიმართლე რომ ვთქვა, ტერიტორიული სიშორე რაიმეს გადაჭრით თქმას ართულებდა. თან მიღებული ინფორმაცია არ იყო სრული. ვაგრძელებდით ქართულ მხარეზე ზეწოლას, რომ სამხედრო ქმედებები შეეწყვიტათ, რათა მოსკოვს ძალადობის გაგრძელების რაიმე მიზეზი აღარ ჰქონოდა. იმ შუადღეს სერგეი ლავროვმა დამირეკა – უკვე მეორედ კრიზისის განმავლობაში. პირველი ზარი თბილისის ლიდერების მისამართით ბრალდებების შემცველი იყო. ამჯერად ის საკმაოდ მშვიდი იყო. „ჩვენ გვაქვს სამი მოთხოვნა“ თქვა მან. „რა მოთხოვნებია?“- ვკითხე. „პირველი ორია საქართველოს მიერ ძალის გამოუყენებლობაზე ხელის მოწერა და ჯარების ნაწილებში დაბრუნებაა,“ – თქვა მან. „ეს შესრულდება“ – ვუპასუხე. საკაშვილს დათმობაზე წასვლა მოუწევდა, რუსების მოთხოვნის შესრულებას მისგან მკაცრად მოვითხოვდით. შემდეგ კი, სერგეიმ თქვა, „სხვა მოთხოვნის შინაარსი მხოლოდ ჩვენ შორის უნდა დარჩეს. მიშა სააკაშვილი უნდა წავიდეს!“ – ყურებს არ ვუჯერებდი და ინსტინქტურად უფრო ვუპასუხე, ვიდრე გააზრებულად – „სერგეი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს არ შეუძლია საუბარი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან დემოკრატიულად არჩეული ქვეყნის ლიდერის ჩამოგდების შესახებ“, – ვთქვი მე. „მესამე პირობა ამ წუთიდან საჯაროა, რადგან ვაპირებ დავურეკო ყველას და ვუთხრა, რომ რუსეთი საქართველოს პრეზიდენტის ჩამოგდებას ითხოვს.“ „ვთქვი, რომ ეს მხოლოდ ჩვენს შორის უნდა დარჩეს“, – გაიმეორა მან. „არა, ეს არ დარჩება ჩვენს შორის. ამას ყველა გაიგებს,“ – საუბარი დასრულდა. დავურეკე სტივ ჰედლის, რომ მისთვის რუსეთის მოთხოვნების შესახებ მეთქვა. შემდეგ, ამავე მიზნით დავურეკე ბრიტანელებს, ფრანგებს და რამდენიმე სხვა

„ბატონო პრეზიდენტო, რაც არ უნდა გააკეთოთ, არ მისცეთ საშუალება რუსებს, თქვენი პროვოცირება მოახერხონ. თქვენ გახსოვთ, რა თქვა პრეზიდენტმა ბუშმა – მოსკოვი შეეცდება, თქვენ რამე სისულელე გაგაკეთებინოთ. არ ჩართოთ საქმეში რუსეთის სამხედრო ძალები, იცოდეთ, არავინ მოვა თქვენს დასახმარებლად და თქვენ წააგებთ“.

ადამიანს. იმ შუადღეს გაეროს უშიშროების საბჭო იკრიბებოდა. ჩვენს წარმომადგენელს ვთხოვე, რომ ამის შესახებ საბჭოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია. ლავროვი მძვინვარებდა, და ამბობდა, რომ არასდროს ჰყოლია კოლეგა, რომელიც პირად საუბარს საჯაროს გახდიდა. ვგრძნობდი, რომ არჩევანი არ მქონდა. თუ ქართველებს მოუნდებოდათ სააკაშვილის დასჯა ომის გამო, მათ ამის შანსი ექნებოდათ საკუთარი კონსტიტუციური პროცესებიდან გამომდინარე, მაგრამ რუსეთს არ ჰქონდა უფლება, მისი მოხსნა მოეთხოვა. ამ ყველაფერს საბჭოთა დროის სუნი ასდიოდა, როცა აღმოსავლეთ ევროპაში ლიდერების ბედს მოსკოვი წყვეტდა. მე ვერ შევუწყობდი ხელს იმ დროში დაბრუნებას. მეორე დილას შევწყვიტე შვებულებაზე ყოველგვარი ფიქრი და ვაშინგტონში დავბრუნდი. პრეზიდენტი დაბრუნდა პეკინიდან და სტივმა (სტივ ჰედლი) მოახერხა ეროვნული უშიშროების საბჭოს შეკრება. შეხვედრა ცოტა ქაოტური იყო, რუსებს ბევრი აკრიტიკებდა. რაღაც მომენტში სტივ ჰედლი ჩაერია, რასაც იშვიათად აკეთებდა. საუბრობდნენ იმ საფრთხეებზე, რომელიც შესაძლოა ამერიკის შეერთებულ შტატებს დამუქრებოდა. „შეკითხვა მაქვს“, – თქვა მან ჩვეული სიმშვიდით. „ვართ კი ჩვენ მზად საქართველოს გამო რუსეთთან ომში ჩავებათ?“ შეკითხვამ ოთახში სიჩუმე ჩამოაგდო და ჩვენ შედარებით პროდუქტიული საუბარი დავიწყეთ იმის შესახებ, თუ რა შეგვეძლო გაგვეკეთებინა. ჩვენი ინფორმაციის წყაროები არც ისე კარგი იყო. ცნობები დაპანიკებული ქართველი პოლიტიკური და სამხედრო ოფიციოზის ინფორმაციის გაფილტრული ვარიანტი იყო. ადმირალმა, სამხედრო ძალების მთავარსარდალმა, მაიკ მულენმა რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობასთან კავშირი გამონახა იმისთვის, რომ ჩვენს ძალებს შორის რაიმე გაუგებრობა არ ყოფილიყო. ეს რუსეთის მაჯისცემის გასაგებად სასარგებლო არხი იყო. საფრანგეთის პრეზიდენტმა, სარკოზიმ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა მოახერხა, თუმცა რუსული ძალები ამას თითქოს არ იმჩნევდნენ. სიტუაციას დამაბნეველს ხდიდა ის გარემოება, რომ პრეზიდენტ მედვედევის თქმით, მისმა ძალებმა დატოვეს ტერიტორია, მაშინ, როცა ფაქტობრივად ეს არ მომხდარა. არ ჩანდა, რომ რუსეთის ახალი პრეზიდენტი სიტუაციაზე კონტროლს ფლობდა და ესეც პრობლემური იყო. მაშინ როცა ჩვენ „სიტუაციების ოთახში“ ვისხედით, თბილისიდან შემაშფოთებელი ინფორმაცია მოვიდა – რუსული ჯარი თბილისისკენ მიდიოდა, ქართული ჯარი კი, გორიდან განიდევნა, პატარა ქალაქიდან, რომელიც დედაქალაქიდან მხოლოდ ორმოცი მილის დაშორებითაა. სააკაშვილი გამუდმებით რეკავდა თეთრ სახლში და ამბობდა, რომ მის მთავრობას წუთი-წუთზე დაამხობენ. მეორე სასოწარკვეთილი ზარის შემდეგ, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს მეგობრებს ხელშესახები დახმარება სჭირდებოდათ. ჰუმანიტარული ტვირთი სამხედრო ტრანსპორტით გავაგზავნეთ – ეს მხარდაჭერის ერთგვარი ხილული ნიშანი იყო, რასაც მოსკოვის შეჩერება შეეძლო. ჩვენ ასევე გადავწყვიტეთ, რომ მე უნდა გავმგზავრებულიყავი თბილისში. იმის გამო, რომ დიპლომატიურ პროცესებს ახლა ფრანგები ხელმძღვანელობდნენ, პრეზიდენტმა (ჯორჯ ბუშმა) სარკოზის დაურეკა და ჩემი პარიზში ჩასვლა შესთავაზა. საფრანგეთის პრეზიდენტი ქვეყნის სამხრეთში იყო და არ სურდა უკან დედაქალაქში გამგზავრება. ასე რომ, 14 აგვისტოს ჩვენ შევხვდით საპრეზიდენტო აგარაკის დიდებულ ვერანდაზე, ბორმეს-ლეს-მიმოსაზში, ხმელთაშუაზღვისპირეთში. სარკოზის ვკითხე, რით შემეძლო დავხმარებოდი. მან ამიხსნა, რომ სჭირდებოდა ქართველების ხელმოწერა დოკუმენტზე, რომლის შეთანხმებასაც ის მხარეებთან ცდილობდა, მაგრამ მითხრა, რომ სააკაშვილი თავს იკავებდა. გამიკვირდა, რადგან სააკაშვილმა პრეზიდენტ ბუშს უთხრა, რომ მას უბრალოდ სურდა ომი დასრულებულიყო. შემდეგ მე დოკუმენტს დავხედე და პრობლემა მაშინვე დავინახე. ფრანგების მოლაპარაკებაში „15 კილომეტრიანი უსაფრთხოების ზონა“ ფიგურირებდა, რომელშიც რუსულ სამხედრო ძალებს გაურკვეველი პერიოდით დარჩენის უფლება ექნებოდათ. საქართველო არც ისე დიდია, და ეს პერიმეტრი საშუალებას აძლევდა შემოჭრილ ძალებს დაეკავებინათ ქვეყნის საკვანძო გზები და ქალაქი გორი, რომელიც მხოლოდ სამოცდაოთხ კილომეტრში იყო თბილისიდან. ვიკითხე, დახედა თუ არა რომელიმემ რუკას, რომ ენახათ, რა ტერიტორიას ფარავდა ეს თხუთმეტკილომეტრიანი პერიმეტრი. ჩვენი დელეგაციის გასაოცრად, მათ ეს ნანახი არ ჰქონდათ. ჟან დევიდ ლევიტმა, რომელიც საშინელი დიპლომატი და სარკოზის მრჩეველი იყო საგარეო პოლიტიკაში, პროტესტი გამოთქვა და განაცხადა, რომ მსგავსი რამ შეუძლებელი იყო. „მე დავურეკავ ჩვენს ელჩს თბილისში და ვკითხავ გეოგრაფიულ სურათს“, – თქვა მან. ნაწყენი ლევიტი დაბრუნდა და თქვა, რომ თხუთმეტკილომეტრიანი პერიმეტრი ზუსტად იმ ნაწილს ფარავდა, რაც ჩვენ ვახსენეთ. ახლა საკუთარი შეცდომისგან ფრანგული დიპლომატიის გადარჩენის და ომის დასრულების საკითხი დადგა. შევთანხმდით, რომ სარკოზი დაწერდა წერილს როგორც სააკაშვილის, ისე მედვედევის სახელზე, რომელიც ამჯერად უფრო კონკრეტულად ახსნიდა, რას ნიშნავდა ეს ზონა და რამდენ ხანს ექნებოდათ რუსულ სამხედროებს იქ დარჩენის უფლება. ასევე გადავწყვიტეთ, რომ ამ წერილს თბილისში მე წავიღებდი და მივიღებდი მათ თანხმობას. საბოლოო თანხმობის მისაღებად ჩვენ სოჭში რუსეთის პრეზიდენტთან კანცლერ ანგელა მერკელის შეხვედრით ვისარგებლეთ.

თბილისში რომ ჩავედი, ქართველი ლიდერების სახეებზე სტრესის დანახვა ადვილი იყო. ისინი ისეთი ახალგაზრდები იყვნენ. ყველაზე მეტად მათ შორის ორმოცი წლისები იყვნენ დაღლილები, რამდენიმე დღის უძილოები. ჩვენ სააკაშვილის ოფისში შევხვდით. შეხვედრას ფონად ტელევიზორის ხმაური გასდევდა. წერილი რომ გადავეცი, იკითხა მისი გადახედვის საშუალება თუ ჰქონდათ. „რამდენი დროც გჭირდებათ, იმდენი გაქვთ,“ – ვთქვი მე. შვების მანიშნებელი ხმამაღალი ამოსუნთქვა გავიგონე „ფრანგებმა უბრალოდ მოგვცეს ფურცელი და

თქვეს, ხელი მოაწერეთ," – თქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ეკა ტყეშელაშვილმა. მიუხედავად იმისა, რომ დავეჭვდი, ნამდვილად ასე იყო თუ არა ეს, მაინც მინდოდა მათთვის ზეწოლა შემემსუბუქებინა. „ერთად გავივლით დოკუმენტს, მაგრამ მაინც ანახეთ თქვენს იურისტებს, რომ ყურადღებით შეისწავლონ". საბოლოოდ, შეთანხმებას მივაღწიეთ. დენ ფრედს ვთხოვე, რომ დაერეკა ჟან დევიდ ლევიტისთვის და გაერკვია, რა ხდებოდა მოსკოვში. ეს ორნი სატელეფონო ხაზზე იყვნენ, მე კი, პრეზიდენტ სააკაშვილს და მის უფროს მრჩევლებს ვესაუბრებოდი. ინტენსიური მუშაობის შემდეგ, შეთანხმება ხელმოწერილი იყო. თუმცა, მხარეების მიერ შეთანხმების სისრულეში მოსაყვანად რამდენიმე დღე იქნებოდა საჭირო. რუსულმა მხარემ სამხედრო ძალები კონფლიქტამდე არსებულ მდგომარეობაში არ დააბრუნა. მაშინაც კი, როცა ორი კვირის შემდეგ, ჩვენ შეთანხმების მიღწევის შესახებ გამოვაცხადეთ, მოსკოვმა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, რითაც კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის. სააკაშვილი და მე ოთახიდან პრესასთან შესახვედრად გავედით. თბილისში აუტანელი სიცხე იყო[...] ვნერვიულობდი კაპრიზული, ემოციური და გადაღლილი საქართველოს პრეზიდენტის გამო, ვნერვიულობდი ასეთ მდგომარეობაში რას იტყოდა. „ბატონო პრეზიდენტო, უბრალოდ მადლობა გადაუხადეთ ევროპელებს და ამერიკელებს გვერდში დგომისთვის, ომის დასრულების გამო გაამხნევთ ხალხი, რუსებზე კომენტარები მე მომანდეთ," – ვუთხარი მე. პრესკონფერენცია მშვიდად დაიწყო, მაგრამ მისი საუბრის დროს, ვხედავდი, როგორ მატულობდა ქართველებში მღელვარება. მან (სააკაშვილმა) წყვეტილი საუბრის მანერით განაგრძო, თითქოს ფიქრობდა შემდეგ რა ეთქვა. სააკაშვილი ინგლისურად შესანიშნავად საუბრობს, ამიტომ მე ვიცოდი, რომ ეს არ იყო მიზეზი. უეცრად მისი საუბრის ტონი აგრესიული გახდა. მან რუსებს ბარბაროსები უწოდა და განაცხადა, რომ მათი ტანკები გაჩერებას არ აპირებდნენ. კარგი, ვიფიქრე, ველოდი მწვავე ტონს რუსების მისამართით, ყველაფერი ჯერჯერობით ნორმალურად იყო. მაგრამ უცებ ის ევროპელებს მიადგა, ახსენა მიუნხენი და სიჩუმე. ოღონდ ეს არა! რას აკეთებს? მას შემდეგ, რაც ის მორჩა ოცწუთიან ტრიადას, შევეცადე მისი გაფუჭებული გამომესწორებინა. განვმარტე, როგორ, იყვნენ ფრანგები

ფრანგების მოლაპარაკებაში „15 კილომეტრიანი უსაფრთხოების ზონა" ფიგურირებდა. ეს პერიმეტრი რუსებს საშუალებას აძლევდა დაეკავებინათ ქვეყნის საკვანძო გზები და ქალაქი გორი. ვიკითხე, დახედა თუ არა რომელიმემ რუკას. ჩვენი დელეგაციის გასაოცრად, მათ ეს ნანახი არ ჰქონდათ.

ჩართულნი ცეცხლის შეწყვეტის საქმეში და როგორ არწმუნებდნენ რუსებს, შეწყვიტა სამხედრო აგრესია. დროა აქაურობას გავეცალო, გადავწყვიტე. პრესკონფერენცია დასრულდა. სააკაშვილზე იმდენად განრისხებული ვიყავი, საუბარიც კი არ შემეძლო. ხელი ჩამოვართვი და ეკასთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად, მანქანაში ჩავჯექი, რომ საავადმყოფოში ომში დაზარალებულები მომენახულებინა. „ზედმეტი მოსდის" – ვუთხარი ეკას. ეკამ მოაგვარა აეროპორტში გაფრენის წინ ბოლო პრესგანცხადების სამზადისი, სადაც ჩემი წასვლის წინ, ორივე ჩვენგანმა ევროპელებს მადლობა გადავუხადეთ. შეთანხმების ხელმოწერიდან რამდენიმე დღეში, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრა გავმართეთ ბრიუსელში. აღმოვაჩინე, რომ მხარეები საკმაოდ კეთილგანწყობილნი იყვნენ სააკაშვილის მიმართ, მაგრამ რამდენიმემ განმარტა, რატომ არ იყო კარგი იდეა საქართველოსთვის მაპის მინიჭება. შევეცადე, რომ რუსეთის მხრიდან შეთანხმებების დარღვევაზე მომეხდინა ფოკუსირება. მართლაც ნატო-რუსეთის ურთიერთობა გაურკვეველი დროით შეჩერდა რუსეთის საქართველოში შეჭრის გამო. ალიანსმა საქართველოს მხარდამჭერი განკარგულება გამოსცა, რომელიც რუსეთს საქართველოს ტერიტორიიდან საკუთარი სამხედრო ძალების გაყვანისკენ მოუწოდებდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნატომ გაიმეორა თავისი განზრახვა, „რომ მხარი დაეჭირა საქართველოს ტერიტორიული ინტეგრაციის, დამოუკიდებლობისა და სუვერენულობისათვის, მისი დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებისთვის და უარი ეთქვა რუსეთის სტრატეგიული მცდელობებისთვის ზიანი მიეყენებინა ამ დემოკრატიისთვის." შემდეგ დღეს პოლონეთში წავედი, რათა ხელი მომეწერა სარაკეტო თავდაცვის შესახებ შეთანხმებისათვის. ეს არ იყო რუსეთისთვის რაიმეზე მინიშნება, დროში დამთხვევაზე იყო საუბარი. თუმცა, ეს მინიშნებად აღიქვეს, ნაწილობრივ, პოლონელების გამოც. რუსეთ-საქართველოს კონფლიქტს უზარმაზარი გავლენა ჰქონდა პოლონეთზე – პოლონეთის საზოგადოება შეშფოთებული იყო და წუხდა რუსეთის აგრესიის გამო, იმის გამო, თუ რა დაემართა საქართველოს. ასე რომ, როცა ამ შეთანხმებას ხელს ვაწერდით, პოლონეთის საზოგადოება ამას რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ შეთანხმებად აღიქვამდა. მოსკოვს საქართველოში შეჭრა ძვირი დაუჯდა. კრემლმა გადაამეტა. ბევრი სააკაშვილზე იყო გაბრაზებული, მას ევროპაში კონფლიქტის ინიცირებაში სდებდნენ ბრალს. მაგრამ ლავროვის განცხადება სააკაშვილის წასვლის თაობაზე ყველაფერს ფარავდა. მოსკოვს კვლავაც შეეძლო მის პატარა მეზობელთან შეჭრა და მისი ჯარის ისე დამარცხება, როგორც ეს წლების წინ გააკეთა. მაგრამ მას აღარ შეეძლო დედაქალაქში შესვლა და მთავრობის ჩამოგდება. რუსეთის ეკონომიკის ინტეგრაცია საერთაშორისო სისტემაში, ასევე აღმოჩნდა შემაფერხებელი ფაქტორი. რუსული საფონდო ბაზარი დაუნდობლად დაისაჯა იმ არასტაბილურობისთვის, რომელიც

ცხინვალი, 10 აგვისტო 2008

ფოტო: დენის სარნიაკოვი / REUTERS

კრემლმა გამოიწვია – ბაზარს ვაჭრობის შეჩერება ორი დღით მოუხდა. ერთ თვეში, UNGA-ს შეხვედრაზე, ომის შემდეგ პირველად შევხვდით მე და ლავროვი ერთმანეთს. „სერგეი“, – ვუთხარი მას პირად საუბარში, – „შენ გააკეთე ის, რაც მე ვერასდროს შევძელი. შენ გახადე მიშა სააკაშვილი საერთაშორისო საზოგადოების ფავორიტი. ახლა ქართველებს რეკონსტრუქციისთვის იმაზე მეტი ფული აქვთ, [ერთი მილიარდი დოლარი], ვიდრე მათ ამის დახარჯვა შეუძლიათ. თქვენი ჯარები კი, გაჭედილები არიან სამხრეთ ოსეთში – ნიკარაგუისა და ჰამასის დიპლომატიური მხარდაჭერის ამარა.“ პრესა ჩვენზე წერდა, აინტერესებდათ, გადარჩა თუ არა ჩვენი ურთიერთობა საქართველოს მოვლენების შემდეგ. შეხვედრაზე შევთანხმდით, რომ მხარს დავუჭერდით რეზოლუციას ირანთან დაკავშირებით, რაც წინა რეზოლუციის კიდევ ერთხელ მხარდაჭერაში მდგომარეობდა. ეს იმიტომ გავაკეთეთ ირანისთვის იმის საჩვენებლად, რომ საქართველოში ომმა თეირანთან მიმართებაში ჩვენი მცდელობა არ მიგვატოვებინა. თუმცა, ისეთი ურთიერთობა, როგორიც ადრე გვქონდა, აღარასოდეს გვქონია. ჩვენ უბრალოდ დარჩენილი ვადის პერიოდში ერთად მუშაობა შევძელით. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ ლავროვი მოუთმენლად ელოდა ახალი ოფისის დაკომპლექტებას ვაშინგტონში. სლოვენიაში პირველი შეხვედრის შემდეგ, ეს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების სევდიანი დასასრული იყო. სექტემბერში, ვაშინგტონში გერმანიის მარშალის ფონდში, სიტყვით გამოვედი, რომ ეს ყველაფერი საზოგადოებისათვის პერსპექტივაში დამენახებინა. არსებითად, მე მსოფლიოს შევახსენე ის გადადგმული ნაბიჯები, რაც მოსკოვთან დაახლოების მიზნით გადაიდგა და ასევე შევახსენე საერთო თანამშრომლობით მიღწეული შედეგები. მაგრამ პრობლემა, შევახსენე აუდიტორიას, არის რუსეთის უუნარობა, თვალებში ჩახედოს ცივი ომის შემდგომ წესრიგს მსოფლიოში. ურთიერთობა ირანის, ჩრდილოეთ კორეის და შეიარაღების კონტროლის თემების გარშემო არ ჩავარდნილა. ჩვენ მივაღწიეთ თანამშრომლობას შუა აღმოსავლეთის საკითხთან დაკავშირებით და შესანიშნავად ვიმუშავეთ ტერორიზმის და ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. მოსკოვს სჯეროდა, რომ მას ჯერ კიდევ ჰქონდა განსაკუთრებული პრივილეგიები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ჩვენ კი გვჯეროდა, რომ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ჰქონდათ უფლება, აერჩიათ საკუთარი მეგობრები და პარტნიორები. ეს, როგორც აღმოჩნდა, იყო შეუთავსებელი განსხვავება ჩვენს მიდგომებში.

ინგლისურიდან თარგმნა
დავით ჩაგანავამ.

10 პუნქტით მოდერნიზაციისა და დასაქმებისკენ

საქართველოს მთავრობის სტრატეგიული განვითარების „ათპუნქტიანი გეგმის“ მთავარი მიზანი უმუშევრობის აღმოფხვრა და ქვეყნის მოდერნიზაციაა. თუმცა, გეგმა, რომელიც 2011-2015 წლებზეა გათვლილი, ამ მიზნის მიღწევის გზებსა და მეთოდებზე არაფერს ამბობს.

მანანა ვარდიაშვილი

„საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია, შექმნას წინაპირობები წარმატებული, მდიდარი და ერთიანი საქართველოსათვის, სადაც ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი გარემოთი და ექნება საშუალება, გახდეს მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმატებული და მდიდარი წევრი. ამ მიზნების მიღწევას საქართველოს მთავრობა სამუშაო ადგილების შექმნით და უმუშევრობის შემცირებით გეგმავს“, – ნათქვამია საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

სტრატეგიული განვითარების გეგმაში 10 პუნქტია გაერთიანებული: მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება, საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნესგარემოს შექმნა/შენარჩუნება, რეგიონულ სავაჭრო და ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის განვითარება, განათლების სისტემის გაუმჯობესება, სოციალური პოლიტიკის დახვეწა, ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბება და ურბანული და რეგიონული განვითარება.

„10 პუნქტიანი გეგმა 2011-2015 წლების ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური პოლიტიკა და სტრატეგიაა. ძალიან კონკრეტული გეგმა, ძალიან კონკრეტული ციფრები, კონკრეტული მიზნები, რას გვინდა მივაღწიოთ სხვადასხვა სფეროში იმისათვის, რომ შეიქმნას სამუშაო ადგილები. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა. ამ დოკუმენტის მთავარი მიზანი უმუშევრობის შემცირება და სამუშაო ადგილების შექმნაა“, – აცხადებს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური.

„კარგია, რომ მთავრობამ ქვეყნის განვითარების სტრატეგიული ხედვა ჩამოაყალიბა. თუმცა, ეს ხედვა უფრო სურვილების ნაკრებია“, – ამბობს ფინანსთა ყოფილი მინისტრი ნოდარ ხადური, – „გახდე მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმატებული და მდიდარი წევრი, ძალიან კარგი მიზანია. მაგრამ ეს გეგმა ამ მიზნის მიღწევის გზებსა და მეთოდებს არ გვთავაზობს“.

სამუშაო ადგილები

საქართველოს მთავრობა 10-პუნქტიანი გეგმის მეშვეობით ათობით ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას აპირებს და ამ კუთხით კონკრეტულ ციფრებსაც ასახელებს. პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების მეშვეობით ყოველწლიურად საგზაო პროექტებზე დაახლოებით 30 ათასი ადამიანი დასაქმდება, წყალმომარაგების პროექტებზე – 20 ათასი, ენერგეტიკული პროექტები კი უახლოესი პერიოდის განმავლობაში 13-დან 15 ათასამდე ახალ სამუშაო ადგილს შექმნის. გილაური პროგნოზს უკვე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საფუძველზე აკეთებს.

ნოდარ ხადური ათობით ათასი ადამიანის დასაქმების პერსპექტივას არარეალურს უწოდებს. ეჭვის დასასაბუთებლად ის ოფიციალურ მონაცემებს იმოწმებს: „სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში ხელფასს მხოლოდ 630 000 ადამიანი იღებს. 1 მილიონი ადამიანი თვითდასაქმებულია, მეორე ერთმა მილიონმა კი დასაქმების ყოველგვარი იმედი დაკარგა და სამუშაოს უკვე აღარ ეძებს“.

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს მთავრობას სურს, რომ უახლოეს წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმალური ზრდა მსოფლიო ეკონომიკის საშუალო ზრდაზე მაღალი იყოს და ოთხწლიან პერიოდში ორნიშნა რიცხვს მიაღწიოს. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ მაღალი ეკონომიკური ზრდა მრავალ ინვესტორს დააინტერესებს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მეტი ინვესტიციის მოზიდვას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. მშპ-ის ასეთი ზრდის შედეგად კი 2015 წლისთვის საქართველო გახდება მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით „მაღალი საშუალოშემოსავლიანი ქვეყანა“, ხოლო მშპ ერთ სულზე 5000-6000 აშშ დოლარს მიაღწევს.

„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, ლევან ვეფხვაძე 10-პუნქტიან გეგმაში დასახულ მიზნებს არსებულ რეალობას ადარებს და მათ ცრუ დაპირებებს უწოდებს:

„ამბობთ, რომ 2014 წლისთვის ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლე-

ზე 5-6 ათასი დოლარი გახდება. დღეს ერთ სულ მოსახლეზე ერთიანი შიდა პროდუქტი 2 700 დოლარია. წელს 6%-იანი ეკონომიკური ზრდა გვაქვს. მომავალ წელსაც 6%-იან ზრდას ველით. 2014 წლისთვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ რომ გაორმაგდეს, მაშინ მომავალი წლისთვის 18-20%-იანი ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს და ეს მაჩვენებელი მომდევნო სამი-ოთხი წლის განმავლობაში პერმანენტულად გაიზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მშპ ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ მაშინ გაიზრდება, თუ მოსახლეობის რაოდენობა განახევრდება“.

უცხოური ინვესტიციების ზრდა

ათპუნქტიანი გეგმის თანახმად, მომდევნო 4 წლის განმავლობაში 2009-2011 წლებთან შედარებით 2-ჯერ უფრო მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია უნდა შემოვიდეს.

ოფიციალური მონაცემებით, წელს ქვეყნაში მხოლოდ 750 მილიონი დოლარის უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც 2008 წელთან შედარებით თითქმის ორჯერ ნაკლებია (2008 წელს საქართველოში 1 მილიარდ 654 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა).

„ათპუნქტიან გეგმაში არ არის გათვალისწინებული, რომ წინ საარჩევნო წლები გველოდება და ეს წლები ინვესტიციებით გამორჩეული ნამდვილად ვერ იქნება,“ – ამბობს საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის კვლევებისა და რეფორმების პროგრამის კოორდინატორი შოთა მურღულია.

ექსპორტი გაიზრდება – აცხადებს მთავრობა

მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება-განვითარებასთან ერთად, მთავრობა 2015 წლისთვის საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და მრეწველობის განვითარებას გეგმავს.

ათპუნქტიანი გეგმის თანახმად, საქართველო უნდა გახდეს რეგიონის მთავარი სავაჭრო და ლოგისტიკური ცენტრი. ამავე დროს, ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით უნდა დაკმაყოფილდეს შიდა ბაზარზე არსებული მოთხოვნა და ქვეყანა თურქეთში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ექსპორტიორი გახდეს.

2015 წლისთვის ხორბლის მოთხოვნის 50% ადგილობრივმა წარმოებამ უნდა დააკმაყოფილოს, 200 000 ტონა სიმინდი კი ექსპორტზე გავიდეს. 50%-ით უნდა გაიზარდოს ღვინის წარმოებაც. მეღვინეობის სფეროში სოფლის მეურნეობის სტრატეგიული ამოცანა ექსპორტის ზრდა, ბაზრების დივერსიფიცირება, ქვევრის ღვინის ბრენდის შექმნა და ღვინის ტურიზმის განვითარებაა. მთავრობას

სურს, რომ 2015 წლისთვის ქვეყანა ზამთრის ტურიზმის ცენტრად გადაიქცეს და ტურისტების რაოდენობამ 5 მილიონს გადააჭარბოს.

ათპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მიზანი და პრეზიდენტის მთავარი დაპირება არის ის, რომ საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდეთ ღირსეული სიბერე და საპენსიო პაკეტი იყოს 100-დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

„ღირსეული სიბერე“

შოთა მურღულია ამბობს, რომ მთავრობის ათპუნქტიან გეგმაში ახალი და საინტერესო წინადადებების მაგივრად ძველი ინიციატივები აღმოაჩინა:

„ამ გეგმაში საქართველოს მთავრობის მიერ სხვადასხვა დროს წამოყენებული ინიციატივებია თავმოყრილი. ეს არ არის რეალური გეგმა. ნამდვილ გეგმაში ყველა სფეროს ცალკე სტრატეგია უნდა ჰქონდეს და წლების მიხედვით დეტალურად უნდა იყოს ახსნილი, რა და როგორ უნდა გაკეთდეს და რა შედეგს უნდა მივაღწიოთ. ათპუნქტიან გეგმაში მიზნების და ფინანსური ინდიკატორების მიღწევის კონკრეტული გზები და საშუალებები წარმოდგენილი არ არის. ღირსეული სიბერე ამ გეგმის ერთ-ერთი მთავარი სოციალური პარამეტრია. თუმცა, როგორ ვაპირებთ ღირსეული სიბერის მიღწევას, არ ჩანს. გაუგებარია ასევე, პენსიას დოლარებში რატომ ვზომავთ“.

განათლება

სტრატეგიული გეგმის თანახმად, მთავრობის ამოცანაა, საქართველოს მოსახლეობას ჰქონდეს შესაძლებლობა და ინფრასტრუქტურა იმისათვის, რომ მიიღოს განათლება მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტების შესაბამისად.

გეგმის მიხედვით, 2011 წელს განახლებული მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესი 2012 – 2014 წლებშიც გაგრძელდება. ყველა სერტიფიცირებული მასწავლებელი 75-ლარიან დანამატს მიიღებს. ყველა, ვინც ჩააბარებს ინგლისურის და კომპიუტერის გამოცდებს, მიიღებს 125-ლარიან დანამატს, ხოლო სერტიფიცირებული მასწავლებლების საუკეთესო 25%-ს 1000 ლარიანი ხელფასი ექნება.

მასშტაბური სიახლეები, ექსპერტთა აზრით, არც განათლების სფეროში იკვეთება.

„მთავრობის 10-პუნქტიანი გეგმის მე-7 პუნქტის დიდი ნაწილი სურვილების და გაკეთებული საქმეების ეკლექტური ნაზავია. უსაფრთხო სკოლის ნაწილში მხოლოდ ის წერია, რასაც აქამდე მიაღწიეს. ამ გეგმაში გაზომვადი მიზანი მხოლოდ ერთია, კერძოდ, სტრატეგიულ გეგმაში წერია, რომ ამჟამად 20 მოსწავლეზე ერთი კომპიუტერი მოდის და უნდათ, რომ 2015 წლისთვის 10 მოსწავლეზე ერთი კომპიუტერი მოდიოდეს. რას უნდა მივაღწიოთ სკოლაში კომპიუტერების რაოდენობის გაზრდით, გეგმაში განმარტებული არ არის. 10-პუნქტიან გეგმაში არ ჩანს, საქართველოს მთავრობა კონკრეტულად რის მიღწევას აპირებს განათლების სფეროში მომავალი 4 წლის განმავლობაში.

10-პუნქტიან გეგმაში აქცენტი, ძირითადად, მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე და სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობაზეა გაკეთებული. სტრატეგიულ გეგმაში პიროვნების რეალიზაციაზე საუბარი არ არის, სიტყვა დემოკრატია ერთხელაც არაა ნახსენები. რჩება შთაბეჭდილება, რომ განათლების სისტემასთან დაკავშირებული პუნქტი გეგმაში ვალის მოხდის მიზნით შეიტანეს. 10-პუნქტიანი გეგმის ეს ნაწილი ვიღაცის 15-წუთიანი „ბრეინსტორმინგის“ შედეგია“, – ამბობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი სიმონ ჯანაშია.

ბიზნესი?

„ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი ლევან კალანდაძე მთავრობის 10-პუნქტიანი გეგმის ეკონომიკურ ნაწილს „ზედაპირულ დოკუმენტს“ უწოდებს. კალანდაძე ამბობს, რომ 10-პუნქტიან გეგმაში ხელისუფლება არაფერს ამბობს ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ისეთი ფაქტორის აღმოფხვრის თაობაზე, როგორიცაა მონოპოლისტური მდგომარეობის გაუქმება, აგრეთვე, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის წახალისება.

„იქ, სადაც მონოპოლისტური გაერთიანებები და კარტელური გარიგებები სახელმწიფო დონეზე სტიმულირდება, ბიზნესის ზრდა შეუძლებელია. ასეთ დროს სამუშაო ადგილების შექმნასა და წარმოების მოცულობის ზრდაზე საუბარი ზედმეტია. ხელისუფლება საუბრობს ინვესტიციების ზრდაზე, მაგრამ არაფერს ამბობს გადასახადების ადმინისტრირების ლიბერალიზაციაზე. ინვესტორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია უსაფრთხო და პროგნოზირებადი ბიზნესგარემო. ხელისუფლება ამ მიმართულებითაც არაფერს აკეთებს. ახალ საგადასახადო კოდექსში, რომელიც 2011 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, უკვე 6 ცვლილება შევიდა.

როგორც ჩანს, ხელისუფლება არც ეკონომიკური გადაცდომებისთვის წინასწარი პატიმრობის გაუქმებას აპირებს. ამ ყველაფრის გარეშე ქვეყანაში ბიზნესგარემო არ გაჯანსაღდება. შესაბამისად, არ შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ვერ უზრუნველყოფთ წარმოების ზრდის იმ მაჩვენებელს, რაც 10-პუნქტიან გეგმაში დასახელებული ინდიკატორული მაჩვენებლების მიღწევის საშუალება და გარანტი უნდა იყოს. ამ ვითარებაში ჩვენ შევინარჩუნებთ იმავე მდგომარეობას, რაც ახლა გვაქვს: ეკონომიკური ზრდა იქნება 4-6%. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფარული ინფლაცია ეკონომიკურ ზრდაზე გაცილებით მეტია, ჩვენ ერთ ადგილზე „ვიბუქსავებთ“ და წინ ვერ წავალთ“, – აცხადებს კალანდაძე.

რისკ-ფაქტორები

საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ ათპუნქტიან გეგმაში მომავლის პესიმისტური სურათიც არის წარმოდგენილი. გეგმაში მითითებულია, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში შემუშავებულია სათადარიგო სცენარი, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის ეკონომიკა 2012-2014 წლებში შესაძლოა, 0-3%-ით გაიზარდოს. ქვეყნის მოდერნიზაციასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ სტრატეგიულ გეგმაში ასეთი სათადარიგო სცენარი წარმოდგენილი არ არის.

ვინ აპონტჩოლებს ქართულ ნიადაგებს ჩესუჩსებს

ლითონების, მათ შორის, ოქროს, მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ლიცენზია საქართველოში თითქმის ორი თვის წინ აუქციონის წესით გაიყიდა. ლიცენზიაზე ინტერესი მხოლოდ ორმა კომპანიამ გამოთქვა.

ცირა გვასალია

ფოტო: გაროგმენ, დაკვეთა: საგრეზულტატი, ფოტოსურათები

2011 წლის 3 ოქტომბერს, ლიცენზიის მოსაპოვებლად ბუნებრივი რესურსების სააგენტოში გამართულ აუქციონზე მხოლოდ ორი კომპანია გამოცხადდა. შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ და შპს „Anglo-Georgian Mining Company“ ერთმანეთს დაახლოებით 40-50 წუთი ეპაექრებოდნენ. აუქციონზე ფასების აწევის თითო ბიჯი 500 ათასი ლარი იყო. საბოლოოდ, ლიცენზია 93.5 მილიონ ლარად გაიყიდა.

ლიცენზიის ახალ მფლობელზე მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მისი 100%-იანი დამფუძნებელი ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიაა.

ოქროს, სპილენძის, ბარიტის და პოლიმეტალების საბადოებით სარგებლობის ლიცენზია, საერთო ფართობით 187,823,53 ჰექტარი ბოლნისის ტერიტორიაზე, აუქციონამდე თვენახევრით ადრე, 30 აგვისტოს დარეგისტრირებულმა კომპანიამ შპს „კავკასიის სამთო ჯგუფმა“ შეიძინა.

როგორ გამოითვალეს საწყისი ფასი – 30 მილიონი ლარი?

ლიცენზიის შეძენით დაინტერესებულმა მესამე ინვესტორმა, აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ინვესტორი, რომელსაც კონფიდენციალურად დარჩენა სურს, თავდაპირველად ლიცენზიის საწყისი ფასით დაინტერესდა. როგორც თავად ამბობს, მან ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილეს, ნინო ენუქიძეს ჯერ კიდევ აგვისტოში, ანუ მაშინ მიმართა, როდესაც სამინისტრომ ლიცენზიის გაყიდვის შესახებ, ის-ის იყო, განაცხადა.

"ლიცენზია ჯერ 120 მილიონი ლარი დაგვიფასეს, შემდეგ 30 მილიონზე ჩამოვიდნენ", – ამბობს ბრიტანელი ინვესტორი, – „თუმცა, ზუსტად არ ვიცი, როგორ გამოითვალეს ფასები. მაღალი ფასი თავიდან, ალბათ, იმიტომ დაასახელეს, რომ აუქციონამდე სხვა ინვესტორების შეშინება სურდათ".

რა პრინციპით დათვალა სამინისტრომ ლიცენზიის საწყის ფასად 30 მილიონი ლარი? „თქვენ ძალიან რთულ კითხვას სვამთ", – ამბობს ნინო ენუქიძე „ლიბერალთან" საუბარში და ლიცენზიის ფასის დადგენის ფორმულას ხსნის.

მისი თქმით, დათვლის დროს, ფორმულაში შემდეგ ძირითად ცვლადებს ითვალისწინებენ: მოსაკრებლის ოდენობას, წიაღის მოცულობას და რესურსით სარგებლობის ვადას. წიაღის შესწავლა ჯერ კიდევ დაუსრულებელია, ანუ არ არის ცნობილი, ზუსტად რა ოდენობის წიაღისეულის შემცველია საბადოები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიცენზია მიეკუთვნება ე.წ. P, ანუ პროგნოზული საბადოს კატეგორიას. იმის გამო, რომ საბადო დაუძიებელია, ენუქიძე ამბობს, რომ საბჭოთა დროიდან შემორჩენილი მონაცემებით ისარგებლეს.

არსებობს ლიცენზიის საწყისი ფასის გამოთვლის მეორე წესიც: სალიცენზიო საბადოს ერთი ჰექტარი მრავლდება 500 ლარზე. ლიცენზიის საწყისი ფასი ამ შემთხვევაში არ ემთხვევა რეალობას: 30 მილიონი ლარი – საბადოს ფართობის 500 ლარზე ნამრავლს ბევრად ჩამოუვარდება.

„საინტერესოა, საიდან მოვიდა ეს ფასი", – ინტერესდება მათიას ჰუთერი, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" უფროსი ანალიტიკოსი, რომელიც ლიცენზიის გაყიდვის პროცესს აკვირდებოდა. „მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს აუქციონი იმისათვის კი არ გამართულა, რომ სახელმწიფოს მაქსიმალური მოგება მიეღო, არამედ იმიტომ, რომ წინასწარ არჩეული ხალხი გაეყვანა აუქციონზე."

გაყიდული ლიცენზიების ახალი და ძველი მფლობელები

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ წიაღსარგებლობის ორი ლიცენზიის აუქციონის შესახებ განცხადება 2011 წლის 16 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" და გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე გამოაქვეყნა. სამინისტრომ აუქციონზე საქართველოს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ორი – N 0730 და N 00632 – ლიცენზია გაიტანა. ორივე მათგანი სააქციო საზოგადოება „მადნეულს" 2011 წლის მარტში ჩამოერთვა. ამ კომპანიის მართვასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული „ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატის კობა ნაყოფიას სახელი. მისი სახელი, აგრეთვე, ასოცირებულია მხატვრულ ფილმ „აგვისტოს 5 დღესთანაც".

„მადნეულისათვის" ლიცენზიის ჩამორთმევის მიზეზად სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა დასახელდა. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადებით, ლიცენზიის მფლობელი 5 წლის განმავლობაში არ ატარებდა საძიებო სამუშაოებს, გეოლოგიურ კვლევებს და არ დაუმტკიცებია მარაგები. სამინისტრო თვლის, რომ ამის გამო „გაუმართლებლად ზიანდებოდა მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები".

სააქციო საზოგადოება „მადნეული" წიაღისეულის მოსაპოვებელი ორი ლიცენზიიდან ერთ-ერთს ხელმეორედ დაეუფლა. ლიცენზია 26 სექტემბერს გამართულ აუქციონზე კომპანიამ 9 მილიონ ლარად ისე შეიძინა, რომ კონკურენტი არ ჰყოლია.

მეორე, დიდი ლიცენზია შპს „კავკასიის სამთო ჯგუფმა" იყიდა. ამ კომპანიის 100%-იანი მფლობელი და დამფუძნებელი კვიპროსში დარეგისტრირებული კომპანია Pamtilon Holdings Limited-ია.

კომპანიის დირექტორი გეოლოგი ჯონდო შუბითიძეა. სამეწარმეო რეესტრში კომპანიის რეგისტრაციის ადგილად მითითებულია ყიფშიძის ქუჩა 6, ბინა 64.

მისამართს ვაკის საცხოვრებელი კორპუსის მეორე სართულზე ავყავართ. კრემისფრად შეღებილ რკინის კარზე „ბურჯანაძე-შუბითიძე" აწერია. ბინა ამჟამად გაქირავებულია, ბინის მოიჯარეებმა არაფერი იციან იმის შესახებ, რომ ბინა შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის" იურიდიული მისამართია.

საჯარო რეესტრისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბაზების საშუალებით მხოლოდ რამდენიმე გარემოება დადგინდა: პირველი, აღნიშნული ბინა საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია 1963 წლის 21 დეკემბერს დაბადებულ მოქალაქე ნანა ბურჯანაძეზე. სავარაუდოდ, იგი შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის" დირექტორის ჯონდო შუბითიძის ოჯახის წევრია, რადგან თავად ჯონდო შუბითიძეც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ამავე ბინაშია ჩაწერილი.

„კავკასიის სამთო ჯგუფმა" „იცოდა, რას ყიდულობდა"

რისკები სამთო მოპოვებით ბიზნესს ყოველთვის ახლავს. ამიტომ, სანამ კონკრეტულ ბაზარზე შესვლას გადაწყვეტენ, კომპანიები „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერის" პრინციპს ირჩევენ. ახალ ბაზარზე შესვლამდე, ბიზნესმენები ყურადღებით აკვირდებიან ქვეყნის ბიზნესგარემოს და კანონმდებლობას. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო დიდი ხნის მანძილზე ბჭობს, უღირს, თუ არა ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე ინვესტიციის დაბანდება.

„კავკასიის სამთო ჯგუფმა" ეს გადაწყვეტილება მოკლე ხანში მიიღო. მათ მიერ შეძენილი ლიცენზიის ერთ-ერთი პირობა კი, მეორე ინვესტორის აზრით, რისკიანია. ლიცენზიის პირობების მე-8 პუნქტში ჩაწერილი პირობის თანახმად,

რამდენიმე წლის განმავლობაში, ინვესტორმა სალიცენზიო ტერიტორიაზე არსებული 6 საბადო დეტალურად უნდა შეისწავლოს და დაადგინოს, კონკრეტულად თუ რა ოდენობის წიაღისეულია მის სალიცენზიო ტერიტორიაზე. თუ აღმოჩნდება, რომ ტერიტორია უფრო ძვირია, ვიდრე საწყის სალიცენზიო ფასში იყო გათვლილი, ინვესტორს სხვაობის დასაფარად ფულის მეორედ გადახდა მოუწევს. თუ საბადოს ღირებულება ნაკლები აღმოჩნდა, ფასში განსხვავებას სახელმწიფო არ იხდის.

ბრიტანელმა ინვესტორმა, რომელმაც აუქციონის მესამე მონაწილედ დარეგისტრირება გადაიფიქრა, თავისი გადაწყვეტილების ერთ-ერთ მოტივად სწორედ ეს, მისი აზრით, უსამართლო პირობა დაასახელა. „გადახდის ეს მეთოდი აფერხებს წარმატებულ სამთო მოპოვებას და ქვეყანაში ახალი ფინანსური ნაკადის შემოდინებას“, – ამბობს იგი.

ამ ერთი შეხედვით არასახარბიელო პირობებს არ შეუშინებია შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“. კომპანიამ ლიცენზიის შესაძენად ათობით მილიონი ლარი გაიღო. საგულისხმოა თარიღებიც, რომლებიც ადასტურებენ, რომ ასეთი მოცულობის ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება კომპანიამ არაბუნებრივად მოკლე დროში მიიღო.

1. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ აუქციონის შესახებ განცხადება 2011 წლის 16 აგვისტოს გამოაცხადა.

2. ცამეტ დღეში, ანუ 2011 წლის 29 აგვიტოს დარეგისტრირდა ახალი შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“.

3. დაახლოებით ერთ თვეში, ანუ 2011 წლის 3 ოქტომბერს „კავკასიის სამთო ჯგუფმა“ ლიცენზიაში 93.5 მილიონი ლარი გადაიხადა.

„ვინც გაიმარჯვა, თავიდანვე ძალიან თავდაჯერებულნი იყვნენ, ფასს უყოყმანოდ სწევდნენ და სწევდნენ. რაც არ უნდა ყოფილიყო, მზად იყვნენ, რომ გადაეხადათ“, – ამბობს ლაშა გოგიძე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის ანალიტიკოსი, რომელიც აუქციონს ესწრებოდა. „მეორე კომპანიის წარმომადგენლები კი უფრო ყოყმანობდნენ, ღირს თუ არა ამდენი თანხის გადახდა. შიგადაშიგ, რამდენიმე წუთით აუქციონი წყდებოდა და მეორე კომპანიის წარმომადგენლები ერთმანეთში თათბირობდნენ.“

„გამარჯვებული ინვესტორის თავდაჯერებულობა მაფიქრებინებს, რომ მათ წინასწარ იცოდნენ, თუ რას ყიდულობდნენ. ყველა სერიოზულ კომპანიას 6 კვირაზე ბევრად მეტი დრო სჭირდება ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად“.

ფოტო: ბარამეს დაკვის საგრძნობლად ფოტოსურათებიდან

რატომ იყო ინვესტორი ასე თავდაჯერებული და რატომ სწევდა ფასს უყოყმანოდ? მით უმეტეს, ეს ლიცენზია შესწავლა-მოპოვებაზეა, ანუ ინვესტორმა ზუსტად არ იცის, კონკრეტულად რა რაოდენობის მოგების მოტანა შეუძლია საბადოს. ამ კითხვაზე ზუსტი და დადასტურებული პასუხი არ არსებობს, თუმცა არსებობს ვარაუდი, რომელიც სიტუაციის ირაციონალურობას რაციონალურ ჩარჩოში აქცევს. ამ ვარაუდის თანახმად, „კავკასიის სამთო ჯგუფი“, მართალია, უცხოური კომპანიის მიერ 100%-იანი წილით დარეგისტრირებული იურიდიული პირია, მაგრამ სინამდვილეში მის უკან ისევ ძველი, საქართველოს სამთო-მოპოვებით საქმიანობაში ჩართული ბიზნესწრე დგას.

არის თუ არა კავშირი „კავკასიის სამთო ჯგუფსა“ და სააქციო საზოგადოება „მადნეულს“ შორის? ამ შეკითხვაზე დადასტურებული პასუხის გაცემა, ოფშორის დახურული სისტემის გამო, შეუძლებელია.

„გამარჯვებული ინვესტორის თავდაჯერებულობა მაფიქრებინებს, რომ მათ წინასწარ იცოდნენ, თუ რას ყიდულობდნენ. ყველა სერიოზულ კომპანიას 6 კვირაზე ბევრად მეტი დრო სჭირდება ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად. ნიშანდობლივია ისიც, რომ ინფორმაცია მოსალოდნელი აუქციონის გამართვის შესახებ სამინისტროს ვებგვერდიდან, საიტის განახლების რეჟიმში, დროდარო ქრებოდა. არც საერთაშორისო რეკლამა ყოფილა. ორი ოქროს ლიცენზია გაყიდეთ და ორი კომპანია გყავდათ აუქციონში მაშინ, როცა საერთაშორისო ბაზარზე ლითონების ფასი რეკორდუ-

ლად მაღალია“, ამბობს მათიას ჰუთერი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უფროსი ანალიტიკოსი.

ლიცენზიის ძველი მფლობელი, სააქციო საზოგადოება „მადნეული“ რუსულ კომპანია GeoProMining-ს ეკუთვნის. GeoProMining-ის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია დაფუძნდა 2001 წელს სახელწოდებით „Stanton Equities Corporation“. 2005 წლის ნოემბერში კომპანიამ შეიძინა საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სააქციო საზოგადოება „მადნეული“. ერთ თვეში ამავე კომპანიამ შეისყიდა საქართველოს ოქროს დამამუშავებელი კომპანია შპს „კვარციტი“ და საყდრისის საბადოს ლიცენზია ბოლნისში, დაბა კაზრეთში. 2007 წელს კომპანიამ შეიცვალა სახელი და მას GeoProMining-ი ეწოდა. საქართველოს გარდა, კომპანია ოქროს საბადოებზე ლიცენზიას ფლობს სომხეთში.

კომპანიის რვაკაციან დირექტორთა საბჭოს წევრი არის ლადო გურგენიძე, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ამჟამად „ლიბერთი ბანკის“ ხელმძღვანელი. თუმცა, კომპანიის ვებგვერდზე არ არის მითითებული, თუ როდის შევიდა იგი GeoProMining-ის დირექტორთა საბჭოში.

GeoProMining-ის საკუთრებაა სს „მადნეული“, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარლამენტარ კობა ნაყოფიას სახელს უკავშირდება. 2004-2008 წლებში ნაყოფია სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ გენერალური დირექტორი იყო, ხოლო 2006-2008წლებში – შპს „კვარციტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

2008 წელს კობა ნაყოფია, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ბოლნისის მაჟორიტარ დეპუტატად აირჩიეს. შპს „გოლდინვესტმა“, რომლის 100%-იანი დამფუძნებელი კობა ნაყოფიაა, ინვესტიცია ჩადო მხატვრული ფილმის „აგვისტოს 5 დღის“ შექმნაში. ეს ინფორმაცია მან თავად დაადასტურა 2010 წელს სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტთან სატელეფონო საუბრისას (ჟურნალისტური ვიდეოგამოძიება „მოწამლული მაშავერა“). ამ პროექტთან კავშირის დასტურად გამოდგება საქართველოში ფილმის პრეზენტაციის ის რამდენიმე დღეც, როდესაც ნაყოფია უცხოელ კონოვარსკვლავებს მასპინძლობდა.

სწორედ ასეთი წარსულის გამო, სკეპტიკოსებს არ სჯერათ, რომ სახელისუფლებო ელიტა კობა ნაყოფიას ოქროს მოპოვების ბიზნესიდან გამოაძევებდა. სფეროში ჩახედული კონფიდენციალური წყაროები „ლიბერალთან“ საუბრისას გამოთქვამენ ვარაუდს, რომ საქართველოს ხელისუფლება ნაყოფიას კი არა, რუსულ საწარმოს GeoProMining-ს დაუპირისპირდა. ლიცენზიების ჩამორთმევით ქართული ოქროს მოპოვების ბიზნესიდან ნაყოფია კი არა, რუსული კაპიტალი გაისტუმრეს.

დარჩა თუ არა ნაყოფია ოქროს მოპოვების ბიზნესში? ანუ, დგას თუ არა იგი შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ უკან? ამ შეკითხვაზე დადასტურებული პასუხის გაცემა, ისევ და ისევ, დახურული ბიზნესდოკუმენტაციის გამო, შეუძლებელია.

დარჩა თუ არა ნაყოფია ოქროს მოპოვების ბიზნესში? ანუ, დგას თუ არა იგი შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ უკან? ამ შეკითხვაზე დადასტურებული პასუხის გაცემა, ისევ და ისევ, დახურული ბიზნესდოკუმენტაციის გამო, შეუძლებელია.

წიაღისეულის მოპოვების საკანონმდებლო რეგულაციები

მთელ მსოფლიოში სამთო მოპოვებაზე კონკურენცია იზრდება. აქედან გამომდინარე, ინვესტორები ფრთხილად ირჩევენ იმ ქვეყნებს, სადაც ინვესტიცია უნდა ჩადონ. ყურადღებით ეცნობიან ქვეყნის კანონმდებლობასაც. ქვეყნებიც, თავის მხრივ, მთელ რიგ კანონმდებლობასა და რეგულაციებს აწესებენ, რათა უცხოელი ინვესტორი საკუთარ ტერიტორიაზე გააკონტროლონ.

ზოგი ქვეყანა ბუნებრივ რესურსებს საკუთარ კანონმდებლობაშივე „სტრატეგიულად მნიშვნელოვან“ აქტივად აფასებს. ამის მაგალითია რუსეთი.

2008 წელს რუსეთმა მიიღო ე.წ. „სტრატეგიული სექტორის კანონი“ – იგივე „კანონი 57“ და „კანონი 58“. ეს ორი კანონი ერთობლიობაში მუშაობს ბუნებრივი რესურსების მოპოვების მარეგულირებელ მანამდე მიღებულ სხვა კანონებთან ერთად. საბოლოო ჯამში, რუსეთის საკანონმდებლო სივრცე რუსეთის ბუნებრივ რესურსებში ინვესტირების მსურველებს მკაცრ რეგულაციებს უწესებს.

„კანონი 57“-ის თანახმად, ბუნებრივი რესურსების სფეროში მიმდინარე პროცესებს, მაგალითად, ინვესტორის მიერ განხორციელებულ ფულად ტრანზაქციებს, აგრეთვე, მთლიანად მის ეკონომიკურ საქმიანობას აკონტროლებს „უცხოური ინვესტიციების სამთავრობო კომისია“, რომელსაც უშუალოდ პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. ამ კანონის თანახმად, უცხოელ ინვესტორს ფედერალური მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მხოლოდ მცირე წილის, უმეტეს შემთხვევაში 10%-ის, ფლობა შეუძლია. ნებისმიერი კონტროლი, რომელიც 10 %-ზე მეტია, საჭიროებს კომისიის წინასწარ თანხმობას.

„58-ე კანონი“ ფედერალური მნიშვნელობის საბადოებად მიიჩნევს შემდეგი ბუნებრივი რესურსების მარაგებს: ურანს, ბრილიანტს (განსაკუთრებით, სუფთა დაუმუშავებელ კვარცს), ნიკელს, კობალტს, ტანტალს, ბერილიუმს, ლითიუმს და პლატინის ჯგუფის ძვირფას მეტალებს. ასევე, საბადოებს, რომლებიც შეიცავს 70 მილიონ ტონა ამოსაღებად ვარგის ნავთობს, 50 მილიონ კუბურ მეტრ გაზის საბადოს, ოქროსა და სპილენძის კლდოვან საბადოებს შესაბამისი მოცულობის და-

ძიებული საბადოებით. საზღვაო აკვატორიას, ტერიტორიულ ზღვებსა და რუსეთის ფედერაციის კონტინენტურ შელფს.

რუსეთი, როგორც არალიბერალური ეკონომიკის ქვეყანა, ბუნებრივია, ზედმეტად ერევა არამხოლოდ წიაღისეულის, არამედ ზოგადად დიდი ბიზნესის საქმიანობაში. მისი გამოცდილება, როგორც სპეციალისტები ამბობენ, სანიმუშო ნამდვილად არ არის. თუმცა, რამდენადაც არალიბერალურია რუსული კანონმდებლობა, იმდენად სუსტ და ზოგ შემთხვევაში ბუნდოვან რეგულაციებს შეიცავს ქართული კანონმდებლობა.

გეოლოგი ივანე შველიძე, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, მიიჩნევს, რომ არა მხოლოდ ტერმინებით, არამედ შინაარსითაც, საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“ მოძველებულია. „ავიღოთ სათაური – კანონი წიაღის შესახებ. რა არის წიაღი? წიაღი არის ყველაფერი, რაც მიწის ქვეშაა. უცხოელი ამას ვერ იგებს, რადგან იყენებს ტერმინს: mineral resource“, – ამბობს იგი.

შველიძის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ბუნებრივ რესურსებს ამ კანონმდებლობაში სტრატეგიული ხარისხი მიენიჭოს და როცა ლიცენზია სხვისდება, სახელმწიფომ მარაგების გარკვეული ნაწილი, შავი დღისთვის, შემოინახოს.

„ვართ სახელმწიფო, შეზღუდული ბუნებრივი რესურსებით. 30 წლით რომ გავცემთ ლიცენზიას, როგორც სახელმწიფო, რას ვიტოვებთ? უნდა შემოვიდეს სახელმწიფო რეზერვის ცნება, რომელიც უფლებას მისცემს სახელმწიფოს, რომ ნებისმიერი საბადოდან 25% შემდგომი განვითარებისთვის დაიტოვოს“.

საქართველო, რუსეთისგან განსხვავებით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის ლიცენზიის შეძენას არცერთი ქვეყნის ბიზნესისათვის, მათ შორის, ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიებისთვისაც, არ ზღუდავს. როგორც წესი, ხშირად ასეთი კომპანიების მეწილეები დაფარულია. უცნობია, მათი გამოცდილებაც სამთო მოპოვების სფეროში. საქართველოს საკანონმდებლო რეგულაციები საზოგადოებას წიაღისეულის ლიცენზიებით მოსარგებლე კომპანიების გაკონტროლების სუსტ მექანიზმებს უტოვებს.

3 ოქტომბრის აუქციონის დროსაც, ინვესტორებს სახელმწიფოს წინაშე მინიმალური დოკუმენტაციის წარდგენა ევალებოდათ. თუ ფიზიკური პირი მიიღებდა მონაწილეობას აუქციონში, პირადობის მოწმობას მიიტანდა, იურიდიულ პირებსა და ინდმეწარმეებს კი – მხოლოდ საჯარო რეესტრიდან ამონაწერისა და ავანსად გადახდილი 200-ლარიანი სალიცენზიო მოსაკრებლის ქვითრის წარდგენა ევალებოდათ.

აუქციონში შეტანილი დოკუმენტაცია უპასუხოდ ტოვებს არსებითი ხასიათის შემდეგ შეკითხვებს – ვინ არიან ახალი მყიდველები? რა გამოცდილება აქვთ, რა სახის ადამიანური და ტექნიკური რესურსი გააჩნიათ? როგორ გაკონტროლებს ქვეყანა მათ ფინანსურ ტრანზაქციებს?

„ქართული სამთო მრეწველობის ბიზნესი ნამდვილად ვერ დაიკვეხნის გამჭვირვალობით. პრობლემა ის კი არაა, შემოდიან თუ არა ამ ბიზნესში ოფშორული კომპანიები. რომელი კომპანიაც არ უნდა შემოვიდეს, ქვეყანას უნდა ჰქონდეს კანონმდებლობა, რომელიც აიძულებს კომპანიებს, იყვნენ ღია და გამჭვირვალე, გამოაქვეყნონ საკუთარი ფინანსური ნაკადი, გადაიხადონ გადასახადები“, – ამბობს მათიას ჰუთერი.

ლითონებზე მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე

თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში ლითონი ისეთსავე ადგილს იკავებს, როგორსაც საკრედიტო ბარათი. ლითონია აიპოდში, ყოველდღე მუსიკით რომ გვატკბობს და სათვალეში, საგნების უკეთ აღქმაში რომ გვეხმარება. ლითონი, გნებავთ მეტალი, მნიშვნელოვანია ეკონომიკაშიც. მსოფლიო ბაზარზე ლითონებზე მოთხოვნა მზარდია, ბუნებაში დამარხული მარაგები – შეზღუდული და ამოწურვადი, კარიერები – ძველი და გაღარიბებული, მოთხოვნა-მიწოდება – დაუბალანსებელი, ლითონზე ფასები – მეტ-ნაკლები ჩავარდნებით, მზარდი.

ლონდონის ლითონების ბირჟის კვირეულზე ინვესტორების ხმაური არ წყდება. ტაბლოზე ახალი ციფრის გამოჩენას ბიზნესმენები ხმაურითა და ხელების ქნევით ხვდებიან. აზიის აღმავალი ეკონომიკის ქვეყნებში: ჩინეთში, ინდოეთში ლითონებზე მოთხოვნა იზრდება. „ლითონები მსოფლიო ეკონომიკის ხერხემალია“, – ასე ასრულებს თავის რეპორტაჟს ლონდონის ლითონების ბირჟის კვირეულიდან ხავიერ ბლასი, „ფაინენშალ თაიმსის“ ჟურნალისტი. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ამ მოვლენებს ლითონების მოსაკრებლებზე ფასის გაზრდით ეხმაურება. ბუნებრივ რესურსებზე მოსაკრებელი საქართველოს მთავრობამ 2011 წლის ოქტომბრიდან გაზარდა. მოსაკრებელი, ანუ გადასახადი ბუნებრივ რესურსზე, ამ შემთხვევაში, ერთ გრამ ოქროზე თუ მანამდე 0,9 ლარი იყო, ოქტომბრიდან 3 ლარი გახდა. ერთ ტონა სპილენძზე – 136 ლარიდან 255 ლარამდე გაიზარდა.

„სამთო მოპოვებითი მრეწველობა, მაღალი რისკის მატარებელი ბიზნესია“, – ამბობს ოქროს მომპოვებელი კომპანია Kinross Gold Corporation-ის დირექტორი, კანადელი ბიზნესმენი ტაი ბერტი, რომელიც რუსეთში ოპერირებს და გასულ წელს ნაშრომი გამოაქვეყნა სამთომოპოვებით ბიზნესზე სახელად „Fostering Foreign Investment in Mineral Exploration and Development in Russia“. – „ჯერ ამხელა ფართობი უნდა შეისწავლო, რომ საბადოს მიწები ეკონომიკურ ლოტებად აქციო“.

დასაქმების პოლიტიკა

დასაქმება - საქართველოს გადაუჭრელი პრობლემა

რა ხდებოდა 2006 წლიდან დღემდე

2006 წლიდან მოყოლებული საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში დასაქმების ოთხი ოფიციალური პროგრამა განახორციელა, მათი უმრავლესობა წინასაარჩევნო პერიოდში მიიღეს. არის თუ არა მიღწეული ამ ღონისძიებების მთავარი მიზანი – უმუშევრობის შემცირება?

მარი როჭიკაშვილი, სტუდია „მონიტორი“

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, უმუშევრობის დონე ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება. 2006 წელს საქართველოში შრომისუნარიანი მოსახლეობის 13,6% უმუშევარი იყო. 2010 წელს ეს მაჩვენებელი 16,3%-მდე გაიზარდა.

2012 წელი საქართველოში საპარლამენტო არჩევნების წელია, 2013 – საპრეზიდენტო. საქართველოს მთავრობამ წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო – ასე შეფასდა საქართველოს სტრატეგიული განვითარების „ათპუნქტიანი გეგმა“, რომლის პრიორიტეტიც მოდერნიზაცია და, კვლავინდებურად, დასაქმებაა.

დოკუმენტი, რომელიც 2011-2015 წლებზეა გათვლილი, მიზნად ისახავს სამუშაო ადგილების შექმნას და უმუშევრობის შემცირებას. პროგრამის მიხედვით, მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის, სულ მცირე, 70 000 ადამიანის დასაქმება იგეგმება, კონკრეტულად კი – გზების მშენებლობაზე 30 000, რკინიგზაზე – 8 000, ჰესების მშენებლობაზე – 13 000, წყალმომარაგების სექტორში ჩასატარებელ სამუშაოებზე კი 20 000 ადამიანი დასაქმდება.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მთავრობა მოსახლეობას შთამბეჭდავ დაპირებას აძლევს.

დასაქმების პირველი პროგრამა

2006 წლის 5 ოქტომბერს დანიშნული თვითმმართველობის არჩევნებამდე ორი თვით ადრე, აგვისტოში მთავრობის დადგენილება გამოვიდა, რომლის თანახმადაც, საქართველოში დასაქმების პროგრამა დაიწყო. პროგრამა საქართველოს მოქალაქეებს სამი თვის განმავლობაში კერძო სექტორში სტაჟირების გავლის საშუალებას აძლევდა. პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა 50 000 ადამიანით განისაზღვრა. თითოეულს ყოველთვიურად 150 ლარის სტიპენდია დაენიშნა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 24 მილიონი ლარი გამოიყო. პროგრამის პოპულარიზაცია თვით საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ითავა.

დასაქმების პროგრამა დაახლოებით ერთი თვის დაწყებული იყო, როდესაც 13 სექტემბერს პრეზიდენტმა გარდაბნის რაიონში ბუნებრივი აირის ბალონების მწარმოებელი საწარმო გახსნა, ცერემონიას ტელევიზიები პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ.

„რადგან მოვედი და თქვენი საწარმო ვნახე, მოვედი ჩემი წინასწარი პირობებით, ერთ 80-100 ადამიანს უნდა მოკიდოთ ხელი და 3 თვე აქ დაასაქმოთ და შემდეგ, რომლებიც საუკეთესოები იქნებიან მათ შორის, დაასაქმოთ უკვე მუდმივად. თანახმა ხართ? პირობას მაძლევთ რომ გააკეთებთ? ჩამომართვი ხელი,“ – განუცხადა სააკაშილმა კომპანიის მენეჯმენტს და საწარმოში ახალგაზრდებით დატვირთული ავტობუსიც შემოიყვანეს.

იმ დღეს თითქოს ყველა კმაყოფილი იყო, პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა. ახალგაზრდები თვლიდნენ, რომ მათ დასაქმების შანსი მიეცათ. თუმცა მოგვიანებით საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული საწარმო გახსნიდან რამდენიმე დღეში დაიხურა.

ოფიციალური მონაცემებით, ამ პროგრამაში ქვეყნის მასშტაბით 4 736 მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმო ჩაერთო და სტაჟირების გავლის საშუალება 44 471 ადამიანს მიეცა.

ვაკანსიები, ძირითადად, შემდეგ პროფესიებზე გამოცხადდა: დამლაგებელი, დასუფთავების სამსახურის მუშაკი, სადაზღვევო აგენტი, სარეკლამო აგენტი, დისტრიბუტორი.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ 44 471 ადამიანიდან უმეტესობამ სტაჟირება ისეთ პროფესიებზე გაიარა, რომელსაც განსაკუთრებული შესწავლა არ სჭირდებოდა.

„თავიდანვე ჩანდა, რომ ეს პროგრამა არარეალისტური იყო, საერთოდ, მას დასაქმებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. ეს უფრო პიარ ტექნოლოგიებით გათვალისწინებული რაღაც აქცია იყო. საქმე ის გახლავთ, რომ თუ ბიზნესს უნდა გაფართოება, მას სულ არ სჭირდება ბიუჯეტიდან დახმარება, ხოლო თუ ბიზნესს გაფართოება არ აწყობს, ის არასდროს დაიქირავებს დამატებით მუშახელს“, – აცხადებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლადო პაპავა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართვე-

ფოტო: გაზრდა ქორბაბეშვილი

მუშები ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე

ლომ“ დასაქმების პირველი პროგრამის კვლევა ჩაატარა და პროგრამაში მონაწილე მეწარმეები გამოჰკითხა. კვლევაში ორი მეწარმის მაგალითია მოყვანილი, თუმცა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მათი ვინაობა გასაიდუმლოებულია. როგორც მეწარმეები აცხადებენ, პროგრამის დაწყების შემდეგ მათ კომპანიაში საგადასახადო დეპარტამენტიდან დარეკეს და გარკვეული რაოდენობის სტაჟიორების მიღება მოითხოვეს. მათი თქმით, საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლები არ დამუქრებიან, თუმცა იფიქრეს, რომ უარს, შესაძლოა, მათ საწარმოებში ფინანსური პოლიციის ვიზიტი მოჰყოლოდა.

გამოკითხვის შედეგად მეწარმეების უმეტესობა აცხადებდა, რომ მათთან გაგზავნილი სტაჟიორების პროფესიული მომზადება ვერ შეძლეს, რადგან მათთვის არათუ საქმე, არამედ ოფისში ადგილებიც კი არ იყო.

ზოგიერთმა კომპანიამ სამთვიანი პროგრამის დასრულების შემდეგ სტაჟიორები დაასაქმა, თუმცა, როგორც მეწარმეებმა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უთხრეს დასაქმების შესახებ გადაწყვეტილება საკუთარი სურვილით კი არა, ხელისუფლების დავალებით მიიღეს.

მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე პრეზიდენტმა პროგრამა წარმატებით შეაფასა და განაცხადა, რომ ამ პროგრამის შედეგად 10 000 ადამიანი დასაქმდა.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ“ 2007-2008 წლებში ჩაატარა მასშტაბური კვლევა „დასაქმება სიღარიბის გარეშე“. კვლევის ერთ-ერთი კომპონენტი დასაქმებასაც შეეხო. შედეგის მიხედვით, ამ

გამოკითხვის შედეგად მეწარმეების უმეტესობა აცხადებდა, რომ მათთან გაგზავნილი სტაჟიორების პროფესიული მომზადება ვერ შეძლეს, რადგან მათთვის არათუ საქმე, არამედ ოფისში ადგილებიც კი არ იყო.

პერიოდში მხოლოდ 7%-მა, ანუ 3 000-მდე ადამიანმა განაგრძო მუშაობა, თუმცა ისიც, დროებით.

დასაქმების მეორე პროგრამა

დასაქმების მეორე პროგრამა სახელწოდებით „დასაქმება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით“ ხელისუფლებამ 2007 წლის ზაფხულში დაიწყო. ეს პროგრამა წინამორბედისგან რადიკალურად განსხვავდებოდა.

აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეებად უმუშევრები არ შერჩეულან. პროგრამით უნდა ესარგებლათ დამსაქმებლებს. კერძოდ, ტურიზმის სფეროში მომუშავე მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომელთაც პროგრამის განხორციელების შემდეგ უმუშევარი ადამიანები უნდა დაესაქმებინათ.

ამ პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტიდან 5,5 მილიონი ლარი გამოიყო. მთავრობამ „პროკრედიტ ბანკთან“ ხელშეკრულება ტენდერის გარეშე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გააფორმა და ბანკს 5 მილიონი ლარის საკრედიტო ხაზიც გაუხსნა. მთავრობის დადგენილებით, ბანკს სესხი მაქსიმუმ 12%-იანი წლიური განაკვეთით უნდა გაეცა. სესხის მაქსიმალური ზღვარი – 50 000 ლარს შეადგენდა, ხოლო ვადა 5 წელი იყო. ბანკს უფლება მიეცა, სესხები საკუთარი შეხედულებისამებრ გაეცა.

„პროკრედიტ ბანკის“ მცირე ბიზნესის კოორდინატორი ნუკრი თეთრაშვილი აცხადებს, რომ პროგრამა წარმატებული იყო, რადგან დაფინანსდა 300-მდე პროექტი და 600-მდე ადამიანმა ახალი სამუშაო ადგილი მიიღო.

აღნიშნული პროექტის შესახებ ანგარიშის მოძიება ვერ მოვახერხეთ. ეს ინფორმაცია, წესით, ეკონომიკის სამინისტროში უნდა ინახებოდეს, რადგან დასაქმების მეორე პროგრამას სწორედ ეს სამინისტრო კურირებდა.

ჩვენი თხოვნის მიუხედავად, სამინისტრომ დასაქმების მეორე პროგრამის შესრულების ანგარიში არ მოგვაწოდა და „პროკრედიტ ბანკთან“ გადაგვამისამართა. ბანკში კი კომერციული საიდუმლოების საბაბით ბენეფიციართა მონაცემები ვერ მივიღეთ.

დასაქმების მესამე პროგრამა

2007 წლის 25 სექტემბერს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა საჯაროდ დაადანაშაულა კორუფციაში, მათ შორის სახელმწიფო სახსრების კანონდარღვევით ხარჯვაში. 4 ოქტომბერს სააკაშვილი მთავრობის გაფართოებულ სხდომას აწყობს და დაძაბული ვითარების განმუხტვის მიზნით სხვა სიახლეებთან ერთად დასაქმების ახალი მასობრივი პროგრამის შესახებ აკეთებს განცხადებას. 7 ნოემბერს, საქართველოში ოპოზიციური ძალების მიერ ორგანიზებული მიტინგის დარბევისა და ტელეკომპანია „იმედში“ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის შეჭრის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი ვადაზე ადრე გადადგა. არჩევნები 2008 წლის 5 იანვარს დანიშნა.

მესამე პროგრამის მიზანი, პირველი პროგრამის მსგავსად, მუშახელის პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო მხარდაჭერა იყო. მასში მონაწილეობა 25-იდან 65 წლამდე ასაკის 100 000 ადამიანს შეეძლო. პროგრამა 5 დეკემბერს დაიწყო. რეგისტრაცია საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ პავილიონში იმართებოდა. ამ ადგილს პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა უზარმაზარი ნაკადი მიაწყდა. საინფორმაციო სააგენტოებში გაჩნდა ინფორმაცია, რომ რიგში მდგომი 55 წლის ქალბატონი, რომელსაც დასაქმების პროგრამაში მოხვედრა სურდა, გულის შეტევით გარდაიცვალა.

ექსპერტების შეფასებით, პროგრამა თავიდანვე არაორგანიზებული და ქაოტური იყო. რეგისტრაციის გავლის შემდეგ მონაწილეებს რამდენიმე კომპანიაში სირბილი უწევდათ, რადგან ადგილზე მისვლისას ვაკანსიები უკვე აღარ ხვდებოდათ. საბოლოო ჯამში, 100 000 -ის ნაცვლად რეგისტრაცია 113 000 ადამიანმა გაიარა. მათ, სტიპენდიის სახით, სამი თვის განმავლობაში ყოველთვიურად სახელმწიფოსგან 200-200 ლარი (ჯამში თითოეულმა – 600 ლარი) მიიღეს. ეს კი სახელმწიფო ბიუჯეტს 65 მილიონი ლარი დაუჯდა.

„საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოს“ კვლევის მიხედვით, საგადასახადო ორგანოების მიერ მეწარმეებზე ზეწოლა ამ პროგრამის დროსაც დაფიქსირდა. ნიშანდობლივია, რომ ამ პროგრამის ფარგლებში თბილისის 20-მდე საბავშვო ბაღმა პედაგოგების ვაკანსიები გამოაცხადა და რატომღაც ყველა ბაღი სამსახურში ოთხ-ოთხ ადამიანს ეპატიჟებოდა. ოთხი პედაგოგი მოითხოვა თბილისის ზოოპარკმაც.

პედაგოგებზე არსებული საეჭვო მოთხოვნის გარდა პროექტის არასერიოზულობას ადასტურებდა მსხვილი კომპანიების მიერ გამოცხადებული ვაკანსიებიც: „საქართველოს რკინიგზამ“- 13 957, სახალხო ბანკმა – 4 422, საქართველოს ბანკმა – 1 472, „ბლოკ ჯორჯიამ“ 1 472 ვაკანსია გამოაცხადა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დასკვნაში აღნიშნულია, რომ კომპანიებმა არარეალურად ბევრი ვაკანსია გამოაცხადეს. ამ მიზეზის გამო, პროგრამაში დარეგისტრირებული მონაწილეების უდიდესმა ნაწილმა სახელმწიფოსგან სტიპენდია ყოველგვარი გადამზადების გარეშე მიიღო.

პირველი და მესამე დასაქმების პროგრამების შეფასებისას, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლადო პაპავა აცხადებს, რომ მთავრობამ მასობრივი დასაქმების პროგრამებით ამომრჩეველი მოისყიდა და ამისათვის ბიუჯეტიდან 2006 წელს 24 მილიონი ლარი, ხოლო 2007-2008 წლებში 65 მილიონი ლარი დახარჯა.

„მთავრობამ ეს პროგრამები წინასაარჩევნო პერიოდებს დაამთხვია და ამას პოლიტიკური დატვირთვა გაცილებით მეტი ჰქონდა, ვიდრე საბოლოო შედეგი დასაქმების კუთხით. საერთოდ, როცა ქვეყანაში დასაქმების მხრივ კატასტროფულად ცუდი ვითარებაა, ასეთი პროგრამებით რაიმე ხელშესახები შედეგების მიღწევა შეუძლებელია“, – აცხადებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში თენგიზ შერგელაშვილი.

დასაქმების მეოთხე პროგრამა

2008 წელს საქართველოს ხელისუფლებამ ახალი 5-წლიანი პროგრამა წამოიწყო. პროგრამა, ამბიციური სათაურით „საქართველო – სიღარიბის გარეშე“, 2012 წელს უნდა დამთავრდეს. აღნიშნულ პროგრამას მიზნებიც ამბიციური აქვს: 5 წლის გან-

მავლობაში ქვეყანაში 10 მილიარდამდე დოლარის ინვესტიცია უნდა მოიზიდონ, ეკონომიკის გაჯანსაღების შედეგად – 200 000 ადამიანი უნდა დასაქმდეს, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა სრულფასოვნად უნდა ამოქმედდეს. მხოლოდ ფოთში სამსახური 20.000 ადამიანმა უნდა იშოვოს. ქვეყნის მასშტაბით 200-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმო უნდა შეიქმნას, რის შემდეგაც ამ სფეროში 10 000-მდე ადამიანი დასაქმდება. უშუალოდ პროცესში 100 000-მდე პიროვნება ჩაერთვება.

ამ პროგრამის დასრულებამდე ერთ წელზე ოდნავ მეტი დარჩა, თუმცა 10-მილიარდიანი ინვესტიციის ნაცვლად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მხოლოდ 3 მილიარდ 41 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა.

მოკრძალებულად გამოიყურება ფოთის ინდუსტრიული ზონაც, რომელიც ზარ-ზეიმით გაიხსნა, სადაც 1,5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია უნდა ჩადებულიყო და 20 000 ადამიანი დასაქმებულიყო. თუმცა, როგორც ინდუსტრიული ზონის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი შალვა ბერაია აცხადებს, დღეის მდგომარეობით ზონაში მხოლოდ 30 მილიონამდე ინვესტიცია განხორციელდა, ხოლო დასაქმებულთა მაქსიმალური ოდენობა 250-ს აღწევს.

დასაქმებულები და თვითდასაქმებულები – ციფრები და ექსპერტული შეფასებები

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც სამსახურში ხელშეკრულების საფუძველზე დაიქირავეს, უმნიშვნელოდ, მაგრამ მზარდია. 2008 წელს – 572 000, 2009 წელს -596 000, ხოლო 2010 წელს – 618 000 ადამიანი იყო დასაქმებული.

ამ მონაცემში შედიან როგორც საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოებში, ასევე კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანები. ექსპერტები აცხადებენ, რომ 618 000 დასაქმებულიდან 70% საბიუჯეტო დაფინანსებას იღებს, კერძო სექტორს კი მხოლოდ 30 % შეადგენს, რაც საშუალოდ 200 000 დასაქმებულია.

„თუ ვამბობთ, რომ ქვეყანაში 4 400 000 ადამიანი გვყავს, თუ ვამბობთ, რომ 2 მილიონია სამუშაო ძალა და აქედან კერძო ბიზნესში დაქირავებით დაკავებული მხოლოდ 10%-ია, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას ეკონომიკა არ აქვს, ზუსტად ისე, როგორც არ ჰქონდა 2003 წელს, ან თუნდაც 1998 წელს“, – ამბობს თენგიზ შერგელაშვილი.

მისი აზრით, რევოლუციიდან 7-8 წლის გასვლის მიუხედავად, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ქვეყანაში დასაქმების კუთხით ძირეული ცვლილებებია.

საქართველოში დასაქმებულთა აბსოლუტური უმეტესობა თვითდასაქმებულია. აღსანიშნავია, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და საქსტატის მეთოდოლოგიის თანახმად, თვითდასაქმებულად ითვლება ყველა, ვინც გამოკითხვის მომენტში წინა შვიდი დღის განმავლობაში შემოსავლების მიღების მიზნით თუნდაც ერთი საათით მაინც მუშაობდნენ. თვითდასაქმებულთა რიცხვს მიეკუთვნებიან, მაგალითად, რეპეტიტორები, ტაქსიზე მომუშავე მძღოლები, საცალო ვაჭრობით დაკავებულები, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები. საქართველოში თვითდასაქმებულთა რიცხვი მილიონს აღემატება.

ვინ ითვლება დასაქმებულად

- **ქვეყანაში, დასაქმების თვალსაზრისით, ჯანსაღი მდგომარეობის შემთხვევაში, დაქირავებით დასაქმებულების ოდენობა უნდა აჭარბებდეს თვითდასაქმებულთა ოდენობას. ესტონეთში 10 დაქირავებულ მომუშავეზე მოდის 1 თვითდასაქმებული. საქართველოში დაქირავებული 600 ათასი ადამიანია, თვითდასაქმებული კი მილიონზე მეტი.**
- **საქართველოში თვითდასაქმებულებიც ითვლებიან დასაქმებულად. ზოგ ქვეყნებში თვითდასაქმებულებს მოიხსენიებენ „ნაწილობრივ დასაქმებულად“, რაც ექსპერტთა აზრით, სინამდვილეს უფრო ადეკვატურად ასახავს.**
- **საქართველოში დასაქმებულად ითვლება ყველა, ვინც გამოკითხვის პერიოდისათვის გასული 7 დღის განმავლობაში შემოსავლის მიღების მიზნით, თუნდაც, ერთი საათი მუშაობდა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეს სტანდარტი ზოგმა ქვეყანამ უფრო გაამკაცრა. არსებობენ ქვეყნები, სადაც ეს მაჩვენებელი ერთ საათს გაცილებით აღემატება. აშშ-ში დასაქმებულად ითვლება ის, ვინც „წინა კვირის უდიდესი ნაწილი“ გაატარა სამსახურში.**

საგულისხმოა, რომ თვითდასაქმებულთა 80%-ზე მეტი დაკავშირებულია სოფელთან და მისდევს საკუთარ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობას. ანუ, თუ თქვენ სოფლად საკარმიდამო ნაკვეთს ამუშავებთ, ან პირუტყვი გყავთ და მისგან პროდუქციას თუნდაც საკუთარი მოხმარების მიზნით იღებთ, მაშინ დასაქმებულად ითვლებით.

„აგრარულ სექტორში, ერთი მხრივ, დასაქმების მაჩვენებლით პირველ ადგილზე ვართ“, – აცხადებს თენგიზ შერგელაშვილი. თუმცა, მისი თქმით, საქართველოში „არცთუ სახარბიელოა“ სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობა. სწორედ ამის გამო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე თვეში ძალიან დაბალია. ოფიციალური სტატისტიკით, სოფელში თვითდასაქმებიდან ყოველთვიური შემოსავალი 2010 წელს 7.80 ლარი იყო, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან – 19.20 ლარი.

„ანუ ჩვენი სოფელი დღეს არის დაახლოებით გვიან ფეოდალურ ხანაში. იქ მცხოვრები ადამიანები კი დასაქმებულთა რიცხვში შედიან“, – აცხადებს შერგელაშვილი.

ნიშანდობლივია, რომ წელს, სექტემბერში ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 16 161 გამოკითხულიდან 67% თავს უმუშევრად თვლის, ამ მონაცემში არააქტიური მუშახელიც შედის. მოსახლეობის 62%-ისთვის „სამუშაო“ ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემად რჩება.

სტუდია „მონიტორი“. სტატია მომზადებულია ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

შიდსი

დავიყვანოთ ნულამდე

„ნული დისკრიმინაცია“ და „ნული სიკვდილი შიდსის გამო“ – შიდსთან ბრძოლის მთავარი სლოგანებია.

ეკა ჭითანავა

მოკრიალებული იატაკი, ჰალოგენური განათება, ტყავის მოხერხებული სავარძლები, მაგიდაზე ყვავილები და პრიალა ჟურნალები, კედელზე ტელევიზორი – ერთი შეხედვით, ყველაფერია იმისთვის, რომ პაციენტმა მისაღებში თავი მყუდროდ და კომფორტულად იგრძნოს.

ეს თბილისის ერთ-ერთი კერძო სტომატოლოგიური კლინიკის მისაღებია. შესვლისთანავე, სასიამოვნო გარეგნობის გოგონა ღიმილით მეგებება.

– „იცით, მე აივ ინფიცირებული ვარ, კბილის ამოღება მინდა და მაინტერესებს, ექიმი თუ მომემსახურება“, – ვუხსნი გოგონას.

გოგონას გამომეტყველება ეცვლება და შეშფოთებული ამბობს, „ერთი წუთით, ვიკითხავ“ . შემდეგ ექიმებს ურეკავს და ათი წუთის განმავლობაში კლინიკაში ჩოჩქოლია. ბოლოს კაბინეტიდან გამოდის თეთრხალათიანი ექიმი და მორიდებულად მიხსნის:

„ – იცით, სპეციალური სითხეებია საჭირო და ახლა არ გვაქვს, ამიტომ იქნებ სხვაგან წახვიდეთ!“

იმის გასარკვევად, ემსახურებიან თუ არა სამედიცინო დაწესებულებებში აივ ინფიცირებულებს სტატუსის გამხელის შემდეგ, „ლიბერალმა“ მცირე ექსპერიმენტი ჩაატარა და თბილისის რამდენიმე ცენტრალურ სტომატოლოგიურ კლინიკაში მივიდა.

„მართალია, ჩვენთან სტერილიზაცია ხუთიანზეა, მაგრამ ახლა ხელთათმანები არ გვაქვს“, „დღეს ექიმი არაა, ხვალ მობრძანდით“, „არ ვიცი, მაგის იმუნიტეტის პატრონს, იქნებ სტაციონარში წაიყვანოთ!“- ასე სამ სტომატოლოგიურ

გამოკითხულ მოსწავლეთა ნახევარი ამბობს, რომ ინფიცირებულ კოლეგასთან არ იმუშავებდა. ასევე, ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი მიიჩნევს, რომ ინფიცირებული პირები იზოლირებული უნდა იყვნენ საზოგადოებისგან.

კლინიკაში გვიპასუხეს. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, სადაც კბილის ამოღებაზე უყოყმანოდ დაგვთანხმდნენ.

საქართველოს კანონი აივ ინფექცია / შიდსის შესახებ დღეს ინფიცირებულებს სამედიცინო დაწესებულებებში თავიანთი სტატუსის გამხელას არ ავალდებულებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ექიმმა ყველა პაციენტი პოტენციური ინფექციის წყაროდ უნდა განიხილოს და სტერილიზაციისა და ჰიგიენის წესები მკაცრად დაიცვას.

კანონში ეს ცვლილება სამი წლის წინ სწორედ იმიტომ შეიტანეს, რომ აივ ინფიცირებულებს ექიმთან ვიზიტისას პრობლემები ხშირად ექმნებოდათ და სტიგმის გამო, მათ გამუდმებით ერთი კლინიკიდან მეორეში აგზავნიდნენ.

ამ ცვლილებას დიდი წინააღმდეგობა მოყვა, განსაკუთრებით, ექიმების მხრიდან.

„თუ მეცოდინება რომ აივ ინფიცირებულია, იმ ინსტრუმენტებს სულაც გადავყრი“, „სხვა დროს შეიძლება „ლაით“ სტერილიზაციას ვაკეთებდე, აივ ინფიცირებულთან კი, უფრო ფრთხილად ვიქნები“ – ზუსტად ამ სიტყვებით მიპირისპირდებოდა ზოგიერთი ექიმი“, – იხსენებს ახალი კანონის ერთ-ერთი თანაავტორი, აივ პოლიტიკისა და ადვოკატირების ექსპერტი მზია ტაბატაძე.

მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო ინსტრუმენტების სტერილიზაციის შემთხვევაში, აივ ინფიცირებულის მომსახურება უსაფრთხოა, „ლიბერალის“ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ ექიმების მხრიდან აივ ინფიცირებულების მიმართ სტიგმა არ შემცირებულა.

„დღეს, როცა მკურნალობის მეთოდები

ბევრად გაუმჯობესდა და შიდსი აღარ ნიშნავს სიკვდილს, ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ სტიგმა, შემდეგ კი, საზოგადოების მხრიდან, აივ დადებით პირთა ამ სტიგმით გამოწვეული დისკრიმინაციაა", – ამბობს შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდის ფსიქოლოგი გიორგი წოწკოლაური.

2011 წლის 15 ნოემბრის მონაცემებით, საქართველოში სულ 3057 ინფიცირებულია. წელს აივ-ის 366 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, 2010 წელს – 455, 2009 წელს კი – 385.

ადრე თუ ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები მკვეთრად სჭარბობდნენ სხვა გზით დაავადებული პაციენტების რაოდენობას, ახლა პროპორცია შეიცვალა. 2011 წლისთვის ჰეტეროსექსუალური კონტაქტით დაინფიცირების მაჩვენებელმა 40 პროცენტს მიაღწია, ინექციური ნარკოტიკების გამოყენებით დაინფიცირების მაჩვენებელი კი 55,6 პროცენტამდე შემცირდა.

ზოგადად, მსოფლიოში შიდსით სიკვდილიანობის ტენდენცია თანდათან მცირდება. 2011 წლისთვის მთელ მსოფლიოში შიდსთან ასოცირებული დაავადებებით სიკვდილიანობამ 21 პროცენტით იკლო. 2005 წლის პიკის შემდეგ ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. 21 პროცენტით შემცირდა აივ ინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობაც.

2010 წელს შიდსისგან მსოფლიოში 1.8 მილიონი ადამიანი დაიღუპა, რაც 2005 წელთან შედარებით, 2.2 მილიონით ნაკლებია. სპეციალისტები ამბობენ, რომ სიკვდილიანობის შემცირება პრევენციისა და მკურნალობის მეთოდების გაუმჯობესების დამსახურებაა.

„რამდენ ხანს ვიცოცხლებ? როდის მოვკვდები?" – „პირველად სწორედ ამ კითხვებს გვისვამენ, როცა ჩვენთან მოდიან", – ამბობს შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდის ფსიქოლოგი გიორგი წოწკოლაური. „ჩვენ კი ვეუბნებით, რომ შიდსი არ ნიშნავს სიკვდილს", – დასძენს იგი.

21-ე საუკუნეში შიდსთან ბრძოლა გაცილებით ეფექტიანი გახდა. ადრეულ სტადიაზე ინფექციის გამოვლენისას შეიძლება ორგანიზმის იმუნიტეტი ავამაღლოთ და სრულფასოვანი ცხოვრებითაც ვიცხოვროთ.

დღეს ყველაზე მეტად შიდსთან ბრძოლას დაავადების გვიანდელ სტადიაზე გამოვლენა ართულებს.

ეპიდემიოლოგების თქმით, როცა დიაგნოზი გვიან ისმება და დაავადება უკვე შიდსის სტადიაზეა, ორგანიზმის იმუნიტეტი უკიდურესად ქვეითდება. ასეთ დროს ხშირად ვითარდება შიდსთან ასოცირებული დაავადებები, მაგალითად, პნევმონია ანუ ფილტვების ანთება ან ტუბერკულოზი. დასუსტებულ ორგანიზმს დაავადებასთან ბრძოლა უჭირს და სიკვდილის მიზეზიც ეს არის ხოლმე.

„ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეხედულება „მე ეს არ დამემართება" ხელს უშლის დაავადების პრევენციას", – ამბობს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ეპიდემიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო ბადრიძე.

სწორედ ამიტომ, თუკი ადამიანი სარისკო ქცევის მქონედ ითვლება, აივ-ზე ტესტი რეგულარულად უნდა ჩაიტაროს. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში გამოკვლევა უფასოა და მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენაა საჭირო. პაციენტის ვინაობა კონფიდენციალური რჩება.

სარისკო ქცევა ძირითადად ნარკოტიკების არასტერილური, საზიარო შპრიცით ან სხვა საინექციო საშუალებების მოხმარებას და დაუცველ ჰეტეროსექსუალურ ან ჰომოსექსუალურ სქესობრივ კავშირს გულისხმობს.

დედიდან ნაყოფზე ვირუსის გადაცემის ალბათობა პროფილაქტიკური მკურნალობის გარეშე 15-დან 30%-მდე მერყეობს. მკურნალობა კი ნაყოფის ან ახალშობილის ინფიცირების რისკს თითქმის ნულამდე ამცირებს.

„ვინც პროფილაქტიკურ მკურნალობას გადიოდა, ყველას ჯანმრთელი შვილი გაუჩნდა", – ამბობს ნინო ბადრიძე.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც სტიგმასა და დაგვიანებულ დიაგნოსტიკასთან ერთად შიდსთან ბრძოლას აფერხებს, საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონეა.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, 2011 წელს თბილისში 1900-მდე უფროსკლასელსა და სტუდენტთა შორის ჩატარდა კვლევა, რომლითაც გაირკვა, რომ ტერმინი „აივ ინფექცია" თითქმის მესამედს არ სმენია.

გამოკითხვის ავტორები რესპონდენტთა ცოდნას აივისა და მისი გადაცემის გზების შესახებ ხუთი სტანდარტული კითხვით ამოწმებდნენ:

- ერთი ერთგული პარტნიორის ყოლა და კონდომის გამოყენება დაგიცავთ თუ არა ინფექციისგან?
- ამცირებს თუ არა ინფიცირების რისკს კონდომის გამოყენება ყოველი სქესობრივი კავშირის დროს?
- აივ ინფიცირებული შეიძლება თუ არა ჯანმრთელად გამოიყურებოდეს?
- არის თუ არა საშიში ინფიცირებულ ადამიანთან ერთად საკვების მიღება?
- გადადის თუ არა აივ ინფექცია კოღოს ნაკბენით?

„საკალალო შედეგები მივიღეთ!" – ამბობს აივ პოლიტიკისა და ადვოკატირების ექსპერტი მზია ტაბატაძე.

მისი თქმით, სწორად ყველა კითხვას სტუდენტების მხოლოდ 10-მა პროცენტმა უპასუხა, სკოლის მოსწავლეებში კი ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი (6%) იყო.

ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა ისევ არ იცის, როგორ გადადის აივ ინფექცია. გამოკითხულ მოსწავლეთა ნახევარი ამბობს, რომ ინფიცირებულ კოლეგასთან არ იმუშავებდა.

ასევე, ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი მიიჩნევს, რომ ინფიცირებული პირები იზოლირებული უნდა იყვნენ საზოგადოებისგან.

სწორედ ამიტომ, ინფორმირებულობის გაზრდა საქართველოში შიდსთან ბრძოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

„დავიყვანოთ ნულამდე" – ამ სლოგანით ხვდება წელს მსოფლიო შიდსის საერთაშორისო დღეს, რომელიც 1 დეკემბერს აღინიშნება.

„დავიყვანოთ ნულამდე ინფიცირების ახალი შემთხვევები, ინფიცირებულთა სტიგმა და შიდსთან ასოცირებული სიკვდილიანობა" – საქართველოსთვის „სამივე ნული" თანაბრად მნიშვნელოვანია.



ბავშვთა უფლებები

უხილავი ბავშვები

თინა ყიფშიძე

ფოტო: ნორდი ცაბირიანი/ეროვნული / RFE/RL

მარი 14 წლისაა და 10 თვეზე მეტია, გლდანის ბავშვთა კრიზისულ ცენტრში ცხოვრობს. მანამდე დროის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებდა. კითხვაზე, თუ რას აკეთებდა ქუჩაში, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ პასუხობს: „ვმათხოვრობდი... წებოს ვყნოსავდი...“

მისი ისტორია ტიპურია იმ ბავშვებისთვის, რომლებიც მარის მსგავსად ქუჩაში ცხოვრობენ. მათ ე.წ. „ქუჩის ბავშვებს“ უწოდებენ.

„ქუჩის ბავშვი“ – ბავშვი, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს ქუჩაში.

ამ კატეგორიის ბავშვების აღსანიშნად ჯერჯერობით არც ზუსტი დეფინიცია და არც ტერმინი არ არსებობს. არ არსებობს არც მათი სტატისტიკა. ერთადერთი კვლევა, რომელსაც მათი რაოდენობა და სპეციფიკური პრობლემები უნდა გამოეკვეთა, 2007 წელს ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ ჩაატარა. კვლევის მიხედვით, 2007 წლის ნოემბერში საქართველოს 4 დიდ ქალაქში – თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში 1600-მდე ბავშვი დაითვალა.

ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ ხელმძღვანელი ნანა იაშვილი მიიჩნევს, რომ ეს რიცხვი საქართველოსთვის საკმაოდ მაღალია, მით უმეტეს, რომ კვლევა მხოლოდ 4 ქალაქში ჩატარდა.

„რუმინეთში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 34 მილიონია, სულ 800-მდე ბავშვი ცხოვრობს ქუჩაში, საქართველოში, მაქსიმუმ 5 მილიონიანი მოსახლეობით, სულ ცოტა – 1600. კატასტროფული მაჩვენებელია“, – ამბობს იაშვილი.

ქუჩაში მცხოვრები ბავშვების საკითხი ბუნდოვანია. როგორც ითქვა, არ არსებობს მათი სტატისტიკა, ხშირ შემთხვევაში, არაა ცნობილი საცხოვრე-

ბელი გარემო და არ აქვთ დოკუმენტები.

ასეთი ბავშვების სამი კატეგორია გამოიყოფა:

- „ქუჩის ბავშვები – ბავშვები, რომლებიც მოკლებულნი არიან ოჯახთან ყოველგვარ კავშირს, მუშაობენ, ცხოვრობენ და სძინავთ ქუჩაში;
- ქუჩის ბავშვები, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში მუშაობენ ქუჩაში, მისდევენ ეკონომიკურ აქტივობას, საღამოს ბრუნდებიან სახლში და მთელი დღის მონაპოვარს უნაწილებენ ოჯახს. ამ კატეგორიის ბავშვები შეიძლება დადიოდნენ სკოლაში;
- ქუჩის ბავშვები, რომელთა ოჯახებიც ცხოვრობენ ქუჩაში.“ (სახალხო დამცველი, 2009 წლის ანგარიში).

მათი კატეგორიზება სხვა ნიშნითაც შეიძლება – ბავშვები, რომლებსაც აქვთ საბუთები და ბავშვები, რომლებსაც არ აქვთ საბუთები. როგორც ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებში ამბობენ, ქუჩაში მცხოვრებ ბავშვთა დიდი ნაწილი ამ უკანასკნელ კატეგორიას მიეკუთვნება.

ის, რომ საბუთები არ აქვთ, ორმაგ პრობლემას ქმნის. არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision“-ის ბავშვთა პროგრამების კოორდინატორის – თამარ ალექსიძის თქმით, რამდენადაც ქუჩაში მცხოვრები ბავშვების დიდ ნაწილს არ აქვს დოკუმენტები, მათი ჩართვა სოციალურ და საგანმანათლებლო სერვისებში შეუძლებელია. ისინი იურიდიულად არ არსებობენ.

გაეროს ბავშვთა კომიტეტის ორმოცდამერვე სხდომაზე 2008 წელს საქართველოს, როგორც ბავშვთა უფლების დაცვის კონვენციის ხელმომწერს, მდგომარეობის გამოსასწორებლად რეკომენდაციები მისცეს.

„ჩაატაროს კომპლექსური კვლევა ქვეყანაში ქუჩის ბავშვების მასშტაბის, ბუნებისა და მიზეზების შესაფასებლად, რათა ჩამოაყალიბოს პრევენციის ეროვნული სტრატეგია“, – აღნიშნულია კომიტეტის ანგარიშში.

ჯერჯერობით სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა. რაც შეეხება ეროვნულ სტრატეგიას, სოციალური მომსახურების სააგენტოში ამბობენ, რომ მიმდინარეობს მუშაობა სტრატეგიის შესამუშავებლად. ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველომ უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში დაბადებული ყველა ბავშვის რეგისტრაცია.

არასამთავრობო ორგანიზაციებში ამბობენ, რომ ბავშვთა რეგისტრაცია პრობლემაა, რამდენადაც ქუჩის ბავშვების ნაწილი სამშობიარო სახლებში არ იბადება. აქედან იწყება დოკუმენტაციის არარსებობის პრობლემაც. არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური მუშაკები ცდილობენ, ქუჩაში მცხოვრებ დოკუმენტაციის არმქონე ბავშვებს მათ მიღებაში დაეხმარონ, თუმცა, როგორც აღნიშნავენ, ეს ხანგრძლივი და ბიუროკრატული პროცესია.

„ჩვენს დღის ცენტრში მოხვედრილ ბავშვთა უმეტესობას არ აქვს დოკუმენტები, არ გააჩნია პირადობის მოწმობები. ასეთ შემთხვევაში, მივდივართ სამშობიაროში, რომ გამოვითხოვოთ დაბადების დამამტკიცებელი საბუთი. შემდეგ საჯარო რეესტრში, მაგრამ საჭიროა მშობლის თანხლებაც, მან უნდა მოითხოვოს საბუთები ბავშვისთვის. აქ უკვე მეორე პრობლემა ჩნდება – ხშირად მშობლებს ვერ ვპოულობთ,“ – ამბობს ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში მომუშავე სოციალური მუშაკი.

იმ შემთხვევების უმეტესობაშიც, თუ მშობლის პოვნა მოხერხდა, თავად მათაც არა აქვთ დოკუმენტები. ასეთ დროს ჯერ მშობელს უნდა გაუკეთდეს საბუთები, შემდეგ – ბავშვებს, რაც პროცესს კიდევ უფრო ახანგრძლივებს.

გვანცაც, მარის მსგავსად, 14 წლისაა. ძირითად დროს ქუჩაში ატარებს, თავს გამვლელებისთვის ფულის თხოვნით ირჩენს. როგორც სოციალურ მუშაკს უხსნის, დიდი სიამოვნებით ივლიდა სკოლაში, შეიცვლიდა ცხოვრების წესს და შეთავაზებულ დახმარებაზეც არ იტყოდა უარს. მაგრამ ამ ყველაფრისათვის საბუთები წესრიგში უნდა ჰქონდეს.

„სკოლაში არ იღებენ, საბუთებია საჭირო, სხვა შემთხვევაში, სკოლა მასზე გათვალისწინებულ ვაუჩერს ვერ მიიღებს,“ – აღნიშნავს გვანცასთან მომუშავე სოციალური მუშაკი, რომელიც მისთვის საბუთების მომზადებას ცდილობს.

არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსად, ბავშვებისთვის დოკუმენტების მომზადებაზე სახელმწიფო სოციალური მუშაკებიც მუშაობენ. არასამთავრობოების სოციალური მუშაკებისგან განსხვავებით, მათ ბავშვისთვის საბუთების დასამზადებლად მშობლის მონახვა არ სჭირდებათ. მაგრამ აქ უკვე სხვა პრობლემასთან მივდივართ. სოციალური მუშაკების რაოდენობა არაადეკვატურად მცირეა ქუჩის ბავშვების რაოდენობასთან შედარებით. ფიზიკურად შეუძლებელი ხდება ქუჩის ბავშვების მასობრივი დოკუმენტაცია. რეაგირება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებზე ხდება, რაც პრობლემას საბოლოოდ ვერ აგვარებს.

ამ ბავშვების დოკუმენტაცია აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისედაც მწირ სოციალურ სერვისებში მათი ჩართვა ვერ ხერხდება.

რამდენიმე წლის წინ ქუჩაში მყოფი ბავშვებისთვის განკუთვნილი სერვისების დაფინანსებაში მომხდარმა ცვლილებებმა მდგომარეობა უფრო გაართულა.

„რუმინეთში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 34 მილიონია, სულ 800-მდე ბავშვი ცხოვრობს ქუჩაში, საქართველოში, მაქსიმუმ 5 მილიონიანი მოსახლეობით, სულ ცოტა – 1600. კატასტროფული მაჩვენებელია“.

„რამდენიმე წელი არასამთავრობო ორგანიზაციები დონორთა დახმარებით ახორციელებდნენ სხვადასხვა სერვისს. მობილური ჯგუფები, პირდაპირ ქუჩებში მუშაობდნენ და ნელ-ნელა ბავშვებთან კომუნიკაციაში შედიოდნენ, შედეგად ჩნდებოდა ნდობა და უკვე ამ ბავშვების თანხმობითა და არჩევნით გადაჰყავდათ თავშესაფრებში. ასევე არსებობდა დღის ცენტრები, რომლებსაც რეაბილიტაციის სერიოზული ფუნქციები ჰქონდა. 2009-2010 წლებში დონორთა დაფუძნებული სერვისები გადავიდა სახელმწიფო მართვის ქვეშ, ანუ არასამთავრობო ორგანიზაციები გადავიდნენ სახელმწიფო დაფინანსებაზე. მაგრამ სახელმწიფომ დააწესა ვაუჩერული სისტემა და მხოლოდ იმ ბავშვებს აფინანსებს, რომლებიც სოციალურად დაუცველ ოჯახს წარმოადგენენ“, – ჰყვება სახალხო დამცველის ბავშვებისა და ქალთა უფლებების ცენტრის ხელმძღვანელი ანა არღანაშვილი.

მისივე თქმით, ბავშვებისთვის შექმნილი ცენტრები ბავშვების გარეშე დარჩა. ამ ცენტრებით სარგებლობა მხოლოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების ბავშვებს შეუძლიათ, მათ, ვისაც დოკუმენტები წესრიგში აქვთ: „მაგრამ თუ ქუჩაში მცხოვრებ ბავშვს არ აქვს ოჯახი? ან ოჯახს ვერ პოულობ, ან მათ დოკუმენტები არ აქვთ?“ – კითხვას სვამს არღანაშვილი.

დაფინანსების წესი ცვლილების გამო „ბავშვი და გარემოს“ ორგანიზაციამაც გააუქმა ზოგიერთი სერვისი.

„რაც სახელმწიფო დაფინანსებაზე გადავედით, რესურსების არარსებობის გამო გაუქმდა მობილური ჯგუფები, სადღეღამისო ცენტრი „ბეღურები“ დაფინანსდა 15 ბავშვზე, დღის ცენტრში დამკვიდრდა ვაუჩერული სისტემა. შედეგად მივიღეთ ის, რომ დღის ცენტრით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ სოციალურად დაუცველ ბავშვებს,“ – აღნიშნავს ნანა იაშვილი.

მისივე თქმით, მის ცენტრში მოსული დოკუმენტაციის არმქონე ბავშვისთვის, რომელიც შესაბამისად არაა ჩართული სიღარიბის დაძლევის პროგრამაში, შეუძლებელი ხდება მომსახურების გაწევა.

„საჭიროა კანონმდებლობაში ცვლილებები, რათა მათთვის დოკუმენტაციის გაცემა გამარტივდეს. არსებობს უამრავი ოჯახი, რომლებიც არსებობენ ფიზიკურად და არ არსებობენ იურიდიულად. ამ საკითხის სამართლებრივად მოგვარებაზე იურისტებმა უნდა იმსჯელონ“, – ამბობს იაშვილი.

დღის ცენტრების მნიშვნელობაზე არასამთავრობო ორგანიზაციებში არ კამათობენ. აქ მოხვედრილ ბავშვებს საკვების გარდა სხვადასხვა აქტივობებსა და წრეებში ჩართვა შეუძლიათ – ცეკვა, ხატვა, თეატრი, ფსოქოთერაპიული ჯგუფები. რამდენადაც ასეთ ცენტრებს მხოლოდ ქუჩაში მცხოვრები ბავშვები არ სტუმრობენ, შერეული ჯგუფები იქმნება, შედეგი კი მათი სხვა ბავშვებთან ინტეგრირებაა.

თუმცა სახელმწიფოს მხრიდან ეს არაა ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ზედაპირული და ნაჩქარევი გადაწყვეტილების გამო პრობლემა მოუგვარებელი რჩება.

„შარშან ვახორციელებდით ბავშვთა სახლების მონიტორინგს. აღმოჩნდა, რომ ბავშვთა სახლებიდან ბავშვები თავიანთ ოჯახებში დააბრუნეს. რაც თავისთავად მისასალმებელია, ისევე, როგორც მთლიანად სახელმწიფოს დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკა. მაგრამ ვინაიდან ეს ოჯახები ბავშვების დასაბრუნებლად მზად არ აღმოჩნდნენ, ისინი ისევ ქუჩაში აღმოჩნდნენ. ოჯახებს არ ეყოთ რესურსები. ამასთან ერთად, ბავშვის წაყვანის შემდეგ აღარ ხორციელდებოდა მონიტორინგი. როგორც ოჯახები ჩვენთან ამბობდნენ, მათ მოსთხოვეს ბავშვების უკანვე წაყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მმობლის უფლების შეზღუდვით დაემუქრნენ,“ – იხსენებს არღანაშვილი.

მისივე თქმით, ნაჩქარევ რეინტეგრაციას ვერ ჩავთვლით წარმატებულ პროცესად, რამდენადაც ამის პარალელურად აუცილებელია ქუჩაში არსებული ბავშვების რაოდენობის კონტროლი და იმის გარკვევა, ოჯახში დაბრუნების შემდეგ ეს ბავშვები ისევ ქუჩაში ხვდებიან თუ არა.

არასამთავრობო ორგანიზაციებში აღნიშნავენ, რომ ქუჩაში მომუშავე ბავშვები ხშირად ტრეფიკინგის მსხვეპლებიც ხდებიან.

„გოგონებს ხშირად იძულებით რთავენ პროსტიტუციაში, აიძულებენ, იმათხოვრონ. ამასთან ერთად ბევრ მათგანს არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი და სეზონურად გადაადგილდებიან. ამ კრიტერიუმების მიხედვით, ბევრი მათგანი შეიძლება ტრეფიკინგის მსხვერპლიც კი აღმოჩნდეს. თუმცა, ამ ეტაპზე სახელმწიფო, გარკვეული მიზეზების გამო, ამ პრობლემას არ აღიარებს. ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს რეიტინგზე ტრეფიკინგთან ბრძოლაში და მეორე მხრივ, შეიძლება სახელმწიფო არ არის მზად, არ გააჩნია ადეკვატური რესურსი და პოლიტიკა, რომ უზრუნველყოს ინტერვენცია“, – ამბობს „ლიბერალთან" საუბრისას ორგანიზაცია „World Vision“-ის ყოფილი თანამშრომელი თინა ბრეგვაძე.

მისივე თქმით, მწირია კონკრეტულად ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის სერვისების რაოდენობა, ვითარებას ბავშვების მიერ მათი უფლებების არცოდნა ართულებს.

ამ საკითხზე მომუშავე თითქმის ყველა ორგანიზაციაში თანხმდებიან, რომ საჭიროა მობილური ჯგუფების არსებობა, რომლებიც ქუჩებში იმუშავებენ, მოიპოვებენ ამ ბავშვების ნდობას და შეატყობინებენ მათ მათთვის არსებული სერვისების შესახებ. ეს მობილური ჯგუფები იქნებიან დამაკავშირებელი რგოლები ქუჩასა და ამ ბავშვების რეაბილიტაციის საფეხურს შორის. ამასთან, ქუჩიდან მოყვანილ ბავშვს სერვისების მთელი კომპლექსი უნდა დახვდეს მისი სრული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისათვის. ასეთი სერვისებიც ჯერჯერობით არ არსებობს.

სოციალური მომსახურების სააგენტოში ამბობენ, რომ ქუჩაში მცხოვრებ ბავშვთა შესახებ პოლიტიკის შემუშავება მიმდინარეობს. უფრო კონკრეტული კომენტარის მოცემისგან ჯერჯერობით თავი შეიკავეს.

ფოტორეპორტაჟი

ბამჯობილი თბილისი

ალექსანდრე ელისაშვილი

23 ნოემბერს „ვარდების რევოლუციის“ მერვე წლისთავზე თბილისზე მზრუნველთა გაერთიანება „ტფილისის ჰამქარმა“ „ფონდ ღია საზოგადოება – საქართველოს“ საგამოფენო დარბაზში გამართა ფოტოგამოფენა „გამქრალი თბილისი“. გამოფენაზე ფოტოების მეშვეობით წარმოვადგინეთ 2003 წლიდან დღემდე თბილისის ურბანული გარემოდან გამქრალი ის შენობები და სივრცეები, რომლებიც ქმნიდნენ ამ ქალაქის სახეს – მირზა შაფის ქუჩა, ელბაქიძის (მოგვიტევეთ საბჭოური მოხსენიებისთვის) დაღმართი, ქაშუეთის გადაღმა ჯორჯაძის ქუჩაზე მანანა ორბელიანის დანგრეული სახლი, უგემოვნოდ გადაკეთებული ფუნიკულიორის ასასვლელი, ურჩხული შენობა პირველი სკოლის უკან – ეს ყველაფერი ჩვენს ქალაქში 2003 წლის ნოემბრის შემდეგ მოხდა და დამთვალიერებელმაც სწორედ ეს იხილა ჩვენს ფოტოგამოფენაზე. საპანაშვიდე სიტუაცია და განწყობა იყო და ჰამქრელები დარდიანად ვხუმრობდით, ჭირისუფლებივით დავდგეთ და მომსვლელ-მოზიარეთა სამძიმარი გავიზიაროთ-თქო. ხუმრობა იქით იყოს და, გამოფენილ ფოტო-ფაქტთაგან დიდი ნაწილი უკანონობაზე მეტყველებს – მირზა შაფის ისტორიული ქუჩა ერთ ღამეში ისე დაანგრიეს, რომ დემონტაჟის ნებართვა არავის გაუცია; დანგრეულ შენობათაგან ერთ-ერთი სახლი (№16) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი იყო, მისთვის არც სტატუსი მოუხსნია ვინმეს, არც დანგრევის ნებართვა გაუცია. მესამე წელია, ამ უკანონობის შესახებ პროკურატურას დაწვრილებით ეცნობა, მაგრამ არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

მეტისმეტად გაცვეთილად ჟღერს, მაგრამ უნდა ითქვას – ურბანულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ხელისუფლებას მართებს საჯაროობისა და დაინტერესებული საზოგადოების ჯეროვანი ჩართულობის უზრუნველყოფა, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის პატივისცემა, სხვაგვარად მივიღებთ იმას, რაც 23 ნოემბრიდან ერთი კვირის მანძილზე „ღია საზოგადოება – საქართველოს“ საგამოფენო სივრცეშია გამოფენილი – თბილისის ისტორიული სივრციდან გამქრალი ღირებული შენობები, დამახინჯებული ურბანული გარემო და მხოლოდ ფოტოებზე შემორჩენილი ქალაქის არქიტექტურული წარსული.

დროა, ეს შეჩერდეს!

ელბაქიძის დაღმართი

XX ს.

2011 წ.

ერეკლეს მოედანი

2009 წ.

2011 წ.

ფუნიკულიორი

XIX ს.

2011 წ.

ლერმონტოვის ქ. 8
2006 წ.
PARKING
2011 წ.


მხატვრის სახლი
XIX ს.
2005 წ.
2010 წ.
2011 წ.

პურის მოედანი

2008 წ.

2010 წ.

ყველაზე დიდი, დიდებს შორის

ნინია კაკაბაძის ბლოგი

19 ნოემბერი ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის საერთაშორისო დღე იყო. ამ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდმა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ერთობლივი შეხვედრა-დისკუსია გამართეს.

ვიდრე საუბარი დაიწყებოდა, შეხვედრაზე 7-9 წლის ბავშვების ნახატები და მათთან ჩატარებული ინტერვიუების ფრაგმენტები წარმოადგინეს.

ბავშვებთან ურთიერთობაში ჩვენ ყოველთვის ვუშვებთ შეცდომებს, რაც უნდა დიდი იყოს ბავშვთან მოპყრობის თეორიული ცოდნა, პრაქტიკა შეცდომების გარეშე, ფაქტობრივად, გარდაუვალია. ისინი მუცლად ყოფნის პერიოდიდან იღებენ იმ ემოციურ ინფორმაციას, რომელსაც მათი მშობლები ატარებენ.

ძალადობის 4 ფორმა არსებობს: ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური და უგულებელყოფა. ის, რომ ბავშვი ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არ უნდა გახდეს, მშობლებმა დეკლარირებულად იციან, მაგრამ ბუნებრივია არსებობენ მშობლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მკაცრი ხელი და ამ ხელის დამსჯელ იარაღად გამოყენება სწორი აღზრდისთვის აუცილებელია.

ამ სურათის გამოსწორებას მშობლის მეტი განათლება სჭირდება, როგორც სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში, ისე მედიაში, სოციალური რეკლამების დახმარებით.

შოკისმომგვრელი იყო 8 წლის ბავშვის ინტერვიუ, სადაც ის ცუდი მოვლენების დიფერენცირებას ახდენს. „1. არც ისე ცუდია, როდესაც დედა და მამა ჩხუბობენ, ხანდახან ყველა ჩხუბობს; 2. ცუდია, როდესაც არ უნდათ, რომ ერთმანეთს აპატიონ; 3. ყველაზე ცუდია, როდესაც არ უყვართ და როდესაც იტყუებიან. როდესაც შენც გაიძულებენ, არ გიყვარდეს და გაიძულებენ, მოიტყუო“.

არ მინდა, დღეს ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობაზე ვისაუბრო. არანაკლებ პრობლემურია ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც სოციალური რეკლამებით ვერ ავიცილებთ.

მასალა, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა წარმოადგინა, როგორც უკვე მოგახსენეთ, არა თეორიულ ნაშრომებს, არამედ უშუალოდ ბავშვების ნახატებსა და მათთან ჩატარებულ ინტერვიუებს მოიცავდა. სწორედ ამ მასალის მეშვეობით აღიქმება პრობლემა სიღრმისეულად. ჰიპერმზრუნველი მშობელი ბავშვისთვის ისეთივე მატრავმირებელია, როგორც გულგრილი მშობელი, რომლისთვისაც ბავშვი ხელისშემშლელი სუბიექტია.

ხშირად ვფიქრობთ, რომ ბავშვი, რადგანაც პატარაა, ჯერ ვერაფერს ხვდება და ვერ აცნობიერებს თავის თუ მშობლების პრობლემებს. ამ მასალიდან ჩანს, რომ ეს ასე არ არის. მაგალითად, ერთ-ერთ ნახატში, სადაც ბავშვი საკუთარ ოჯახს აღწერს, მამა შავ ტანსაცმელში, შემოსასვლელ კარში, ბავშვისგან და დედისგან მოშორებით დგას.

ფსიქოლოგი ნახატს შემდეგნაირად განგვიმარტავს: „მამა ღამე, გვიან მოდის სახლში და რადგან ბავშვი ამას ნახატში გამოხატავს, ეს იმას ნიშნავს, რომ მამის დეფიციტს განიცდის“.

ჩემთვის ყველაზე შოკისმომგვრელი 8 წლის ბავშვის ინტერვიუ იყო, სადაც ის ცუდი მოვლენების დიფერენცირებას ახდენს. „1. არც ისე ცუდია, როდესაც დედა და მამა ჩხუბობენ, ხანდახან ყველა ჩხუბობს; 2. ცუდია, როდესაც არ უნდათ, რომ ერთმანეთს აპატიონ; 3. ყველაზე ცუდია, როდესაც არ უყვართ და როდესაც იტყუებიან. როდესაც შენც გაიძულებენ, არ გიყვარდეს და გაიძულებენ, მოიტყუო“.

ჩვენ ზედაპირულად ვიცით, რომ ბავშვი ემოციურად გრძნობს, მის მშობლებს მართლა უყვართ ერთმანეთი თუ იტყუებიან, მაგრამ ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომ ბავშვი ამას იმდენად აცნობიერებს, რომ მასზე საუბრობს კიდეც.

გულწრფელად დამაინტერესა გარედან შემეხედა ამ პატარა გოგოს მშობლების ურთიერთობისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვი აქცენტს ტყუილზე აკეთებს და არა „უსიყვარულობაზე“, ან დაუსრულებელ კონფლიქტზე – ვფიქრობ, მშობლები ამ სიყვარულს იმიტირებენ და განსაკუთრებულად ავი ურთიერთობა არ აქვთ. მდგომარეობა გამოუვალია. ამ შემთხვევაში, არ ვიცით, რა არის უკეთესი, რადგან ცხადია, ბავშვი ოჯახის დაშლასაც განიცდის. რა ერჩივნა მას, ტყუილისთვის ეყურებინა თუ განცალკევებული დედ-მამისთვის? ამაზე პასუხი ალბათ ზრდასრულობაში ექნება, თუმცა არავინ იცის, რამდენად გამართლებული.

ვცოდავთ მაშინ, როდესაც სიყვარულს ვთამაშობთ და ვცოდავთ მაშინაც, როდესაც ამ ტყუილს სიმართლეს ვამჯობინებთ და ოჯახს ვშლით. მდგომარეობა გამოუვალია, შემთხვევები კი – ინდივიდუალური. არ არსებობს მოდელი ან რეცეპტი, რომელსაც გამოსავლამდე ან ჭეშმარიტებამდე მივყავართ.

ბავშვთან ურთიერთობას იქამდე ვსწავლობთ, ვიდრე მათთან, როგორც ადამიანებთან, ვურთიერთობთ. მხოლოდ ერთია, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში ზრდასრულებზე უფრო ჭკვიანები და მგრძნობიარენი არიან.

ხანდახან ვფიქრობ, რომ ჩვენი, უფროსების, მშობლების შეცდომებით, ბავშვი საწყისშივე განწირულია ტრავმებისთვის. არც ის ვიცი, როგორ მოვიქცეთ სწორად, ან კი რომელია სწორი საქციელი. ერთადერთი, რაც ახლა მახსენდება, გასულ ზაფხულს ნანახი ძმები დარდენების ფილმია – „ბიჭი ველოსიპედით“, სადაც ჩანს, რომ ბავშვი ყველაფერს ხვდება, ბავშვს ყველაფრის გაგება შეუძლია და ბავშვი ყველაფერს გვპატიობს – ის ყველაზე დიდი ადამიანია დიდ ადამიანებს შორის.

ლიბერალი

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“

მიიღეთ თქვენი ჟურნალი ყოველ ხუთშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ:
2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი
08:00-14:00 სთ.

სოტა ჰამ ჯაზიოლების შესახებ

კახა თოლორდავა
ჟურნალისტი

რამდენიმე თვის წინ ერთი ამერიკული ფილმი ვნახე, კარგი, ცუდი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. იმ ფილმში ორი თუ სამი ეპიზოდი სკოლის წინ ხდება, სადაც, რამდენადაც მივხვდი, სკოლის მიერვე დაქირავებული პერსონალი გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეების და მათ წასაყვანად მანქანებით მოსული მშობლების მიმოსვლას არეგულირებს. რატომ? ქ ა ო ს ი ს თავიდან ასაცილებლად.

ის თითქმის უკვე მივიწყებული ფილმი დღეს, 28 ნოემბერს, დაახლოებით დღის ორი საათისკენ ამომიტივტივდა მეხსიერებაში. თბილისში თოვდა. ტაქსი, რომელშიც ვიჯექი საბურთალოს სასაფლაოს და უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსისკენ მიმავალ გზაზე საცობში იყო გაჩხერილი, სადღაც ყოფილი ველოტრეკის მიდამოებში. თავიდან, სანამ მძღოლი ყველაფერს ამიხსნიდა და მერე უკვე მეც გავერკვეოდი მომხდარში, მეგონა, რომ ავარია მოხდა. სხვანაირად იმ გზაზე საცობი არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც არც დაკრძალვის დღე იყო და არც პიკის საათი, თუმცა ასეთ დროსაც კი იმ გზაზე საცობი არასდროს დამხვედრია. ცუდისთვის შევემზადე, მაგრამ ამასობაში მძღოლი დამეხმარა და ყველაფერს ნათელი მოფინა, – არა, ეს ავარია არ იყო, უბრალოდ, იმ მონაკვეთზე არსებულ, არ ვიცი რომელ ნომერ, ს კ ო ლ ა შ ი გაკვეთილები დამთავრდა და მშობლებმა შვილებს მანქანებით მოაკითხეს.

„ამათი დედები ვატირე ყველასი“, — ამოიყმუვლა ჩემმა მძღოლმა, – „რაღა ამ დროს ვხვდები ხოლმე აქ, კაცო, ბედი არ გინდა?“ რა თქმა უნდა, შევეკითხე, ასე რატომ ბრაზობ-მეთქი. სკოლასთან ახლოს რომ მივალთ, მიხვდებიო, მიპასუხა. მივხვდი და ის ამერიკული ფილმიც იმიტომ გამახსენდა და ეს ტექსტიც იმიტომ იწერება.

მოკლედ, წარმოიდგინეთ, რომ მე ვარ მანქანიანი მშობელი და შვილს სკოლაში მივაკითხე სახლში წასაყვანად. ჩემს წინ თავისუფალი, გაზიზინებული გზაა; თუ იქაურობა უკვე გადატვირთულია და გზის პირზე ვერ მოვახერხებ გაჩერებას, თავისუფლად შემიძლია წინ წავიწიო და არაფერი მოხდება, თუ ჩემს შვილს ოცი-ოცდაათი მეტრის გავლა მოუწევს მანქანაში ჩასაჯდომად (თანაც თუ ეს უკვე შეთანხმებული მექნება შვილთან, რომ არ მეძებოს). ამის მაგივრად, აი, როგორ ვიქცევი – მანქანას სასწრაფოდ ვაყენებ უკვე ერთ რიგად ჩამწკრივებული მანქანების გასწვრივ და ვქმნი მეორე (თუ მეორე რიგი უკვე არსებობს, მესამე ან მეოთხე) რიგის შესაძლებლობას. რა თქმა უნდა, მოტორს ვრთავ და რადგანაც ოცი წუთით ადრე მოვედი, ჟურნალს ან გაზეთს მაინც გადავშლი, დრომ სწრაფად რომ გაირბინოს. მთავარია, რომ ადგილი დავიკავე და შვილიც ადვილად შემამჩნევს. რა თქმა უნდა, ცოტა ხნის შემდეგ ვამჩნევ მომატებული მანქანების რიცხვს და პიპინის ხმაც ლამის აუტანელი ხდება, მაგრამ ეს მე არ მეხება, თანაც ძალიანაც რომ მინდოდეს, ველარსად წავალ, რადგანაც უკვე გარშემორტყმული ვარ სხვა მშობლების მანქანებით. მეორე მხრივ, წასასვლელის მეტი რაა, წინ მინიმუმ სამასი მეტრი ცარიელი გზაა გაჭიმული, მაგრამ მე აქ ვამჯობინებ გაჩერებას, რადგანაც არ მინდა, რომ ჩემმა ისედაც დაღლილმა (ალბათ, უფრო სწავლისგან) შვილმა გაკვეთილების შემდეგ კიდევ ფეხით იაროს. მერე კი ისიც გამოჩნდება. მე მანქანიდან გადმოვდივარ და ხელს ვუქნევ, მერე კი, რაწამს ის მანქანაში ჯდება, იმის მაგივრად რომ წინ წავიდე და სადმე ნაკლებად გადატვირთულ ადგილას მოვტრიალდე, ი ქ ვ ე, ა დ გ ი ლ ზ ე ვ ე ვიწყებ მანქანის მოტრიალებას. ასევე იქცევა ყ ვ ე ლ ა იქ მყოფი მანქანიანი მშობელი.

„ყველა სკოლასთან ასე ხდება“, – მეუბნება მძღოლი, მერე კი ისევ წინ იყურება და ყვირილს იწყებს, – „თქვე კაზიოლებო! თქვე კაზიოლებო! ევროპაში გინდათ, არა?“

FM 101.9
ქალაქი
WWW.RADIOKALAKI.GE
რადიოქალაქი წარმოგიდგენთ
ყოველ სამუშაო დღეს
17:30
გადაცემას
დღის ბიზნეს სტუმარი
მაია ჯავახიშვილთან ერთად



WWW.LIBERALI.GE